



იპუ

კასუხისმგებლობა იძულებით გადაადგილებულთა

UNHCR



იძულებითი გადაადგილება:  
კასუხისმგებლობა და მოქმედება



Inter-Parliamentary Union



---

სახელმწიფო პარლამენტარებისთვის

---

# იკულებითი გადაადგილება: კანონმდებლობა და მოქმედება



Inter-Parliamentary Union





## წინათქმა

### გაღლიერების სიცყვაბი

ეს წიგნი მომზადდა საპარლამენტათმორისო კავშირის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის კომიტეტის წევრების ხელშეწყობით. განასკუთრებულ მაღლობას ვუხდით ბატონ ანდი ვიჯაიას (კომიტეტის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი ინდონეზიიდან), ქ-ნ გაბრიელა გუევას (პარლამენტის წევრი მექსიკიდან) და ქ-ნ ურლიკე კარლსონს (პარლამენტის წევრი შვედეთიდან).

**ავტორი:** ბ-ნი მაიკ ასპლეთი

**მრჩეველთა ჯგუფი:** ბ-ნი ჩალოკა ბეიანი, ბ-ნი ვოლტერ კელინი, ბ-ნი ვოლკერ ტურკი, ქ-ნი ლუის ობინი, ქ-ნი ელიზაბეტ ფერის, ქ-ნი როზა და კოსტა, ქ-ნი გრეტა ზეინდერი, ბ-ნი სებასტიან ალბუჯა და ქ-ნი ნინა შრეკფერი

**საპარლამენტათმორისო კავშირი და გაეროს ღტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი:**

**საპარლამენტათმორისო კავშირი:** ბ-ნი ანდრეს ბ. ჯონსონი, ქ-ნი

კარენ ჯაბრე და ქ-ნი ნორა ბაბიკი

**გაეროს ღტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი:** ბ-ნი ხოსე რიერა და ბ-ნი ალეკონე აბეზე

დღეს საკუთარ ქვეყნებში გადაადგილებულ პირთა რაოდენობა ისე დიდია, როგორც არასდროს. 2012 წელს შეიარაღებული კონფლიქტების, საყოველთაო ძალადობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევების შედეგად მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) რაოდენობა 2,4 მილიონით გაიზარდა და დაახლოებით 28,8 მილიონს მიაღწია.<sup>1</sup> ამას თუ დავუმატებთ 32,4 მილიონ ადამიანს, რომლებსაც 82 ქვეყანაში იძულებითი გადაადგილება მოუხდათ ბუნებრივი კატაკლიზმების გამო, სრულიად ნათელი გახდება ის გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს მსოფლიო დგას ამ მიმართებით.

მრავალ ქვეყანაში მუდმივი დევნილობა ნორმად იქცა, რაც უფრო ხშირად ისეთ ქვეყნებში ხდება, სადაც განვითარების მაჩვენებლები დაბალია, ხოლო ძალადობის დონე - მაღიან მაღალი. ზოგ ქვეყანაში ძალადობას აღვივებს და ამკვიდრებს მოუგვარებელი ეთნოსთაშორისი, რელიგიური ან პოლიტიკური დამაბულობა. იძულებითი გადაადგილება ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ადამიანის უფლებათა დარღვევებისთვის, წამების, გაუპატიურების, მკვლელობების, ბავშვი ჯარისკაცების იძულებითი დაქირავებისთვის, იძულებითი გამოსახლებისთვის და საკუთრების დაკარგვა-განადგურებისთვის.

ასეთი დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისა და მოქალაქეთა დაცვის პასუხისმგებლობას ხშირად თავს არიდებენ სახელმწიფოები, სადაც იძულებითი გადაადგილება ხდება. უმრავლეს შემთხვევაში თვით ამ სახელმწიფოებში პოლიტიკური მდგომარეობა მყიფეა, სახელმწიფო ინსტიტუტები არასაკმარისია, ხოლო არსებული ინსტიტუტების შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია. ისინი დგანან ისეთი საკითხების წინაშე, რომლებიც აუცილებელია გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემის გადასაჭრელად, როგორცაა კანონის უზენაესობა, გარდამავალი მართლმსაჯულება, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, გენდერული თანასწორობა, ცხოვრების პირობების აღდგენა, ეკოლოგიური მდგრადობა და საცხოვრებლის, მიწისა და ქონების ფლობა.

დიდ წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევა აღიარება იმისა, რომ იძულებითი გადაადგილება არის არა მხოლოდ ჰუმანიტარული პრობლემა, არამედ, ეს არის საკითხი, რომელიც პირდაპირ ზიანს აყენებს ადამიანის უფლებებს, მშვიდობის დამყარებასა და სახელმწიფოს სტაბილურობას. ასეთი ურთიერთდაკავშირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტკონფლიქტური ან გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნებისთვის, რომლებიც დემოკრატიული და მშვიდობიანი მომავლისკენ ისწრაფვიან. მათი საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სოციალური განვითარება სწორედ ამაზეა დამოკიდებული.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა იძულებით

<sup>1</sup> IDMC, გლობალური მიმოხილვა 2012: კონფლიქტისა და ძალადობის შედეგად იძულებითი გადაადგილებული პირები. [http://www.internal-displacement.org/8025708F004BE3B17/\(httpInfoFiles\)/DB8A259305B071A8C1257B5C00268DDC/\\$file/global-overview-2012.pdf](http://www.internal-displacement.org/8025708F004BE3B17/(httpInfoFiles)/DB8A259305B071A8C1257B5C00268DDC/$file/global-overview-2012.pdf).

გადაადგილებულ პირთა მიმართ პოლიტიკურ ჭრილში გაწეული დახმარება. ეროვნულ კანონებში და სტრატეგიებში თანდათანობით იკიდებს ფეხს საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის, სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ.<sup>2</sup>

იძულებითი გადაადგილების სფეროში განსაკუთრებულ პოლიტიკურ პროგრესს მიაღწიეს აფრიკის კონტინენტის ქვეყნებმა, სადაც მსოფლიოს დევნილთა ერთიმესამედი ცხოვრობს. «დიდი ტბების» ოქმის სახელწოდებით ცნობილი დოკუმენტი მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს განახორციელონ სახელმძღვანელო პრინციპები და აფრიკის კავშირის კონვენცია იგპ-ის დაცვისა და დახმარების შესახებ (კამპალას კონვენცია),<sup>3</sup> რომელიც იგპ-თა დაცვასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ვალდებულებებს აყალიბებს. ამ ვალდებულებათა შორისაა ეროვნული კანონმდებლობის მიღება და მათი აღსრულება. დღეისათვის კამპალას კონვენცია ცხრამეტი აფრიკული ქვეყნის მიერაა რატიფიცირებული.

ამჟამად იძულებითი გადაადგილების შესახებ კანონები ან სტრატეგიები 25 - ზე მეტ ქვეყანას აქვს შემუშავებული, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

ეს სახელმძღვანელო, რომელიც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისისა და საპარლამენტთაშორისო კავშირის მიერ არის შექმნილი, პრაქტიკული ინსტრუმენტია თქვენთვის, პარლამენტარებისთვის. იგი დაგეხმარებათ სათანადო კანონმდებლობის მიღებასა და მის განხორციელებაში. ამით თქვენი მანდატი მოიცავს ყველა მოქალაქეს, გადაადგილებულთა ჩათვლით. იგი ასევე ხელს შეუწყობს მათი პრობლემების მოგვარებას და მშვიდობიანი, ძლიერი და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას, რომელიც ადამიანის უფლებათა პატივისცემაზე იქნება დაფუძნებული.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენ შეძლოთ პარლამენტის მიერ მისი უნიკალური როლის შესრულების უზრუნველყოფა იძულებითი გადაადგილების მიმართ სახელმწიფოს მოვალეობებისა და იგპ-თა დაცვის განხორციელების კუთხით. ამით თქვენ დახმარებას გაუწევთ მსოფლიოში ერთ-ერთი ურთულესი ჰუმანიტარული პრობლემის დამლევას, რომელიც სერიოზულად აფერხებს კაცობრიობის განვითარებას.



ანდერს ბ. ჯონსონი  
საპარლამენტთაშორისო კავშირის  
გენერალური მდივანი



ანტონიო გუტერეში  
უმაღლესი კომისარი, გაეროს  
ლტოლვილთა უმაღლესი  
კომისრის ოფისი

## გზავნილი

მსოფლიოში მილიონობით იძულებით გადაადგილებული პირი უმძიმეს პირობებში ცხოვრობს და ხშირად ადგილმონაცვლეობა მრავალი წელი უჭიანურდება. უფრო ხშირად ისინი არც დაცვით არიან უზრუნველყოფილი და არც საკუთარი უფლებების განხორციელება შეუძლიათ. ეროვნული კანონმდებლობა ხშირად არ ანიჭებს საკმარის დაცვას კონკრეტულ სიტუაციაში მყოფ გადაადგილებულ პირებს. ამ მხრივ კარგი საშუალება იქნება კონკრეტული კანონმდებლობის შექმნა იძულებითი გადაადგილების შესახებ. აქედან გამომდინარე, ქვეყნის პარლამენტები, კანონმდებლობის მეშვეობით, გადამწყვეტ როლს ასრულებენ თავიანთი იძულებით გადაადგილებული მოქალაქეების დაცვაში. «დიდი ტბების» პაკტი ან აფრიკის კავშირის კამპალას კონვენცია იძულებითი გადაადგილების შესახებ კანონმდებლობის შექმნას საერთაშორისო ვალდებულების სახით აყალიბებს. სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ ფუნდამენტურ ბაზას ქმნის ეროვნული საკანონმდებლო მოქმედებებისთვის, რადგან ისინი ყველა სახელმწიფოს მიერ არის აღიარებული მსოფლიო დონეზე. საკანონმდებლო მექანიზმების გამოყენებასთან ერთად, იგპ-თა მდგომარეობის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ თვით პარლამენტის წევრებს. ისინი, როგორც პოლიტიკური ლიდერები, დახმარებას უწევენ დევნილთა თემებს და შეუძლიათ სამშვიდობო მისია შეასრულონ თავიანთ ელექტორატში იძულებითი გადაადგილებით გამოწვეული კრიტიკული პერიოდების დროს და პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტილების მიებისას.

საპარლამენტთაშორისო კავშირისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ გამოცემული ეს სახელმძღვანელო შესაბამის რჩევებს აძლევს პარლამენტის წევრებს იძულებით გადაადგილებაზე რეაგირების საუკეთესო საშუალებების შესახებ, რათა მათ სათანადოდ გამოიყენონ კანონმემოქმედებითი საქმიანობა და პოლიტიკური ლიდერობა მათ ქვეყნებში იძულებითი გადაადგილების სიტუაციათა გადასაჭრელად.

ჩალოკა ბეიანი  
სპეციალური მომხსენებელი იძულებით გადაადგილებულ  
პირთა ადამიანის უფლებების საკითხებში

2 E/CN.4/1998/53/Add.2, 1998 წლის 11 თებერვალი, <http://www.idpguidingprinciples.org/>.

3 [http://www.internal-displacement.org/8025708F004BE3B1/\(httpInfoFiles\)/0541BB5F1E5A133BC12576B900547976/\\$file/Convention\(En\).pdf](http://www.internal-displacement.org/8025708F004BE3B1/(httpInfoFiles)/0541BB5F1E5A133BC12576B900547976/$file/Convention(En).pdf).

## შინაარსი

მაღლიერების სიყვები .....	2
წინათქმა .....	3
გზავნილი .....	5
შესავალი .....	11
სახელმძღვანელოს მიზანი .....	11
სახელმძღვანელოს გამოყენება .....	12
დამატებითი მასალა .....	13
<b>პარი პირველი</b> საკანონმდებლო მოქმედების საფუძვლები .....	15
<b>თავი პირველი</b> იძულებითი გადაადგილების აღქმა .....	17
იძულებითი გადაადგილების ბუნება და მისი გამომწვევი მიზეზები .....	18
იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები .....	21
სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ .....	22
სახელმძღვანელო პრინციპების გამამყარებელი საერთაშორისო ვალდებულებები .....	26
რეგიონული კონვენციები და სტანდარტები .....	28
აფრიკა .....	28
ევროპა .....	30
ამერიკის კონტინენტის ქვეყნები .....	30
საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების განხორციელება იგპ კანონის მეშვეობით .....	31
<b>პარი მეორე</b> პარლამენტართა კანონშემოქმედებითი როლი .....	35
<b>თავი მეორე</b> საკანონმდებლო პროცესის გამოყენება .....	37
კანონმდებლის როლი იძულებით გადაადგილებაზე ეროვნული რეაგირების სისტემაში .....	40
პარლამენტის ფუნდამენტური ვალდებულება .....	41
აღმასრულებელი შტოს მიერ მომზადებული ეროვნული პოლიტიკის ან სტრატეგიების დამტკიცება პარლამენტის მიერ .....	41

კონსულტაციები საკანონმდებლო პროცესის განმავლობაში . . . .	42
პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა . . . . .	43
იგბ-თა შესახებ კანონის შემუშავების პროცესის მთავარი აქტორები . . . . .	45
<b>თავი მესამე</b> იძულებით გადაადგილების შესახებ კანონმდებლობის ელემენტები . . . . .	50
ზოგადი მიმოხილვა . . . . .	50
იძულებით გადაადგილებაზე პასუხისმგებელი ეროვნული ორგანოს განსაზღვრა (ან საკონტაქტო პირის) . . . . .	51
„იძულებით გადაადგილებულ პირთა“ განსაზღვრა კანონმდებლობაში . . . . .	52
დისკრიმინაციის დაუშვებლობა . . . . .	53
იძულებითი გადაადგილებისაგან დაცვა . . . . .	56
იძულებითი გადაადგილებისაგან დაცვის ან მისი შედეგების შემცირების მექანიზმები . . . . .	56
გარდაუვალი იძულებითი გადაადგილების შემთხვევები . . . . .	57
თვითნებური გადაადგილების აკრძალვა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა . . . . .	58
დაცვა და დახმარება იძულებითი გადაადგილების განმავლობაში . . . . .	60
გრძელვადიანი გადაწყვეტილებები . . . . .	64
სამართლებრივი დაცვის საშუალებები და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა . . . . .	67
<b>პირი მესამე</b> პარლამენტართა, როგორც პოლიტიკურ ლიდერთა როლი . . . . .	73
<b>თავი მეოთხე</b> სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა . . . . .	75
ამომრჩეველთა ადვოკატირება: ქვემოდან ზემოთ მიდგომის ხელშეწყობა . . . . .	76
იგბ-თა და დაზარალებული მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფა . . . . .	78
ცნობიერების ამაღლება . . . . .	81
პარლამენტართა როლი ცნობიერების ამაღლებაში . . . . .	82
<b>თავი მეხუთე</b> ზედამხედველობა და მონიტორინგი . . . . .	87
საპარლამენტო კომიტეტების გამოყენება . . . . .	87
რესურსების განაწილება და საბიუჯეტო ზედამხედველობა . . . . .	88
ზედამხედველობა - ჩვეული საპარლამენტო საქმიანობის ელემენტი . . . . .	91

ზედამხედველობის და მონიტორინგის სხვა აქტორთა უზრუნველყოფა და მათთვის დახმარების განწევა . . . . .	91
არაფორმალური ზედამხედველობისა და მონიტორინგის როლი . . . . .	94
სასარგებლო წყაროები . . . . .	97
სახელმძღვანელო მასალა . . . . .	97
ხელშეკრულებები . . . . .	98
შესაბამისი ორგანიზაციები . . . . .	98
სპეციალური მომხსენებელი იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების საკითხებზე . . . . .	98
გაეროს ლტოვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი (UNHCR) . . . . .	99
საპარლამენტოშორისო კავშირი (IPU) . . . . .	99
გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა საკოორდინაციო ოფისი (OCHA) . . . . .	100
გაეროს კატასტროფების საფრთხის შემცირების ოფისი (UNISDR) . . . . .	100
წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC) . . . . .	101
იგბ პროფილის ერთობლივი სამსახურები (JIPS) . . . . .	101
ბრუკინგის -LSE პროექტი იძულებითი გადაადგილების შესახებ . . . . .	102
იძულებითი გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი (IDMC) . . . . .	102
<b>დანართი I</b> სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ . . . . .	103
შესავალი: მიზანი და ამოცანა . . . . .	103
კარი I - ზოგადი პრინციპები . . . . .	103
კარი II - პრინციპები გადაადგილებისაგან დაცვის შესახებ . . . . .	104
კარი III- პრინციპები გადაადგილებისას დაცვის შესახებ . . . . .	106
კარი IV- პრინციპები ჰუმანიტარული დახმარების შესახებ . . . . .	111
კარი V - პრინციპები დაბრუნების, განსახლების და რეინტეგრაციის შესახებ . . . . .	112
<b>დანართი II</b> აფრიკის კავშირის კონვენცია აფრიკაში იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების შესახებ (კამპალას კონვენცია) . . . . .	115
პრეამბულა . . . . .	115
დასკვნითი დებულებები . . . . .	129



## შესავალი

### სახელმძღვანელოს მიზანი

როდესაც ადამიანები იძულებული არიან თავიანთი სახლ-კარი დატოვონ კონფლიქტის, ადამიანის უფლებათა დარღვევების ან კატასტროფების გამო, მათი ცხოვრება, მრავალი თვალსაზრისით, რადიკალურად იცვლება, მაშინაც კი, როდესაც ისინი საკუთარი ქვეყნის შიგნით გადაადგილდებიან. მათ უხდებათ ჩვეული ყოფა-ცხოვრების, საკუთრების მიტოვება - ხშირად, ფესვებისგან მოწყვეტა. მრავალ შემთხვევაში მათ უწევთ თავიანთი ოჯახისაგან და თემისგან განცალკევება.

გამოცდილება უჩვენებს, რომ არსებული კანონები - რომლებიც ჩვეულებრივ არ არის შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისული სიტუაციებისთვის - ხშირად ვერ ახდენს ადეკვატურ რეაგირებას იძულებითი გადაადგილებით წარმოშობილ გამოწვევებზე.

ეს სახელმძღვანელო იძულებითი გადაადგილების შესახებ ეროვნული კანონების მიღების პროცესში პარლამენტარებისთვის დახმარების გაწევის მიზნით შეიქმნა. იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ) განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან, რის გამოც სახელმწიფომ (საზოგადოებრივ კანონმდებელმა) ისეთი საკანონმდებლო ჩარჩო უნდა შექმნას, რომელიც მათ უფლებებს უზრუნველყოფს.

პარლამენტარებს, როგორც კანონმდებლებს და ეროვნულ პოლიტიკურ ლიდერებს, ამის გაკეთება შეუძლიათ. ეს სახელმძღვანელო პარლამენტარებს დაეხმარება:

- ✘ იგპ-თა შესახებ კანონპროექტის მომზადებაში, რათა იგი წარუდგინონ საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტარები დახმარებას უწევენ კერძო პირების ჩართვას კანონპროექტისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში);
- ✘ ოფიციალურ პირთა, კანონპროექტის ავტორთა და სხვა მუშაკთათვის მიმართულების მიცემაში იგპ-თა შესახებ კანონმდებლობის მომზადების პროცესში (მინისტრის ან კაბინეტის წევრის რანგში ყოფნისას), ასევე შეხვედრების შედეგების ან პროექტების გადასინჯვაში;
- ✘ იგპ-თა შესახებ კანონპროექტის გადასინჯვაში, კომენტარების მომზადებასა და კანონპროექტისთვის მხარდაჭერაში (როდესაც ისინი არიან საპარლამენტო კომიტეტის წევრები ან იძულებითი გადაადგილების მიმართ ეროვნული ძალისხმევის მხარდამჭერები).

✎ საკანონმდებლო ძალისხმევაში, როდესაც მათი ელექტორატის წევრები იძულებით გადაადგილებული პირები არიან, ან ისეთი თემები, რომლებიც დაზარალებული არიან გადაადგილების გამო;

✎ სამოქალაქო საზოგადოების, იგპ-თა და დაზარალებული თემების გაძლიერებაში, რადგან პარლამენტარები საკანონმდებლო პროცესის აქტიური მონაწილენი არიან.

ეს სახელმძღვანელო, ასევე ქვემოთ მითითებული მრავალი სხვა დამატებითი მასალა, პარლამენტის წევრებს მოამზადებს იმ გამოწვევებისთვის, რომლებიც თან სდევს იძულებითი გადაადგილების პრევენციისთვის საჭირო სრულყოფილი და ეფექტური კანონმდებლობის შექმნას, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვას და მათთვის დახმარების გაწევას და გრძელვადიანი გადაწყვეტის ხელშეწყობას - მოკლედ, იმ ფუნქციის განხორციელებას, რომელსაც სახელმწიფო ასრულებს თავისი მოსახლეობის დასაცავად.

## სახელმძღვანელოს გამოყენება

სახელმძღვანელო სამი კარისაგან და ხუთი თავისაგან შედგება:

კარი პირველი: საკანონმდებლო მოქმედების საფუძვლები

პირველ თავში შესავლის სახით განხილულია იძულებითი გადაადგილება და მისი მიზეზები, აღწერილია ის საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები, რომლებსაც უნდა დაეფუძნოს ეროვნული კანონმდებლობა.

კარი მეორე: პარლამენტარის, როგორც კანონშემოქმედის როლი

მეორე და მესამე თავი პარლამენტარებს სთავაზობს კონკრეტულ მიდგომებს, რომლებიც მათ უნდა გაითვალისწინონ იძულებითი გადაადგილების შესახებ კანონმდებლობის შექმნისას. მეორე თავში ჩამოყალიბებულია პროცედურული ამოცანები, რომლებიც უნდა განახორციელონ პარლამენტებმა, საპარლამენტო კომიტეტებმა და პარლამენტარებმა. მესამე თავში აღწერილია საკვანძო ელემენტები და კონცეფციები, რომლებსაც უნდა მოიცავდეს ტიპური კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ.

კარი მესამე: პარლამენტართა, როგორც პოლიტიკურ ლიდერთა როლი

მეოთხე და მეხუთე თავი ფოკუსირებულია იმ ფუნქციებზე, რომლებსაც პარლამენტარები ახორციელებენ კანონმდებლის ფორმალური როლის მიღმა. მეოთხე თავში განხილულია პარლამენტის წევრთა ურთიერთობა ამომრჩეველთან და სამოქალაქო საზოგადოების აქტორებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ იგპ-თა შესახებ კანონმდებლობის შექმნაში. მეხუთე თავი ეთმობა კანონმდებლობის მიღების შემდეგ პარლამენტართა მონაწილეობას იგპ-თა დაცვაში და კანონის

ზედამხედველობაში.

სახელმძღვანელოში ბლოკების სახითაა გამოკვეთილი განსჯისთვის საჭირო მაგალითები, უფრო კონკრეტული ინფორმაცია და მნიშვნელოვანი მითითებები. თითოეული თავის დასასრულს მოცემულია მოკლე რეზიუმე და სამოქმედო საკითხები.

## დამატებითი მასალა

ამ სახელმძღვანელოსთან ერთად შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა შესაბამისი მასალა, განსაკუთრებით პარლამენტის აპარატის წევრების მიერ, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ. კერძოდ:

✎ სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ (შემდგომში, "სახელმძღვანელო პრინციპები") არის საერთაშორისოდ აღიარებული ჩარჩო იძულებითი გადაადგილების შესახებ. ეს პრინციპები დეტალურად აღწერილია მეორე თავში.

✎ აფრიკის კავშირის კონვენცია აფრიკაში იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების შესახებ ("კამპალას კონვენცია") მნიშვნელოვანი რეგიონული ხელშეკრულებაა. იგი აყალიბებს ვალდებულებებს, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეასრულონ იძულებითი გადაადგილების მიმართებით (აღწერილია მეორე თავში). მას შეუძლია მსოფლიოს სხვა რეგიონებსაც გაუღვივოს მსგავსი ინიციატივების განხორციელების სურვილი.

✎ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა: სახელმძღვანელო კანონმდებელთა და პოლიტიკის შემქმნელთათვის, გამოცემული 2008 წელს ბრუკინგსის ინსტიტუტის მიერ ("იგპ სახელმძღვანელო"). იგი ვრცელი დოკუმენტია, სადაც აღწერილია იგპ-თა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებული ასპექტები, რომლებიც ეფუძნება დიდ გამოცდილებას, კვლევასა და საუკეთესო პრაქტიკას. იგი ძალზე ღირებული დოკუმენტია ამ სფეროში მომუშავე კანონმდებლებისთვის.

✎ ეროვნული დოკუმენტები იძულებითი გადაადგილების შესახებ: გზამკვლევი მათი შემუშავებისთვის, გამოცემულია 2013 წელს იძულებითი გადაადგილების შესახებ ბრუკინგსის-LSE-ის პროექტის, იძულებითი გადაადგილების მონიტორინგის ცენტრის და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს მიერ ("პრაქტიკოსთა გზამკვლევი"). იგი ნაბიჯ-ნაბიჯ აღწერს იძულებითი გადაადგილების შესახებ ეროვნული დოკუმენტის შემუშავების პროცესს და განკუთვნილია ხელისუფლების ორგანოებისთვის და სხვა თანამდებობის პირთათვის.

✎ უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის ჩარჩო იგპ-თა გრძელვადიანი გადაწყვეტის შესახებ („IASC ჩარჩო“) აღწერს თუ როგორ უნდა მოხდეს პროცესის ორგანიზება, რომელიც შედეგად მოიტანს გრძელვადიან გადაწყვეტილებას. მასში ასევე მოცემულია ნიშნულები, რომლებიც გრძელვადიანობის საზომად გამოიყენება.



კარი პირველი

საკანონმდებლო მოქმედების საფუძვლები



## თავი პირველი

### იძულებითი გადაადგილების აღქმა

იძულებითი გადაადგილების გამო ქვეყნის მოქალაქეები და მუდმივი მცხოვრებლები - იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ) - განსაკუთრებით მოწყვლად სიტუაციაში ექცევიან. ისინი გაურბიან კონფლიქტს, კატასტროფებს და ძალადობას და მათი უსაფრთხოების დამკვიდრების პროცესში განსაკუთრებით დაუცველნი არიან. ქალები ხშირად ხდებიან ძალადობისა და სქესობრივი ექსპლუატაციის მსხვერპლნი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მარტო გადაადგილდებიან. შეიძლება მოხდეს ბავშვების გატაცება, ტრეფიკინგში ჩართვა, ან არანებაყოფლობით ჯარში გაწვევა. ბავშვებმა, როდესაც ისინი უფროსების ზედამხედველობის გარეშე არიან, შეიძლება ვერ მოახერხონ საარსებო საშუალების მოპოვება და თავის გადარჩენა.

#### იგპ-ის ნაამბობი: ზამზამ მ. დეგ აჰმედი - მოგადიშუ, სომალი

„ჩემი ქმარი ბოლოს 12 თვის წინათ ვნახე. ჩვენ გვეძინა, როდესაც ნიღბიანი ადამიანები სახლში შემოგვივდნენ; მას ეძებდნენ. იგი ვერ იპოვეს, საწოლის ქვეშ იმალებოდა. მათი წასვლის შემდეგ ჩემი მეუღლე გარეთ გავიდა. მას შემდეგ აღარ მინახავს.

ჩვენ დილით ადრე გავიქეცი, ლოცვების შემდეგ. ქუჩაში ნიღბიანმა კაცმა ჩვენი მიმართულებით სროლა დაიწყო. სატვირთო მანქანა გააჩერეს და ბუჩქებში გადააყენეს. გვიბრძანეს გადმოვსულიყავით და ყველაფერი დაგვეყარა. მე ჩემი გოგონას ბედი მაღელვებდა. იგი 14 წლის იყო და მეშინოდა არ გაეუპატიურებინათ.

ახლა ჩვენ მშვიდობიან ადგილზე ჩამოვედით. მაგრამ მე ჩემი შვილების ბედი მაწუხებს - როგორ გაიზრდებიან ისინი, როგორ მოუვლიან საკუთარ თავს, და როგორ დამეხმარებიან მე“.

ადგილნაცვალი პირები, დასამკვიდრებელი ადგილის შერჩევის შემდეგ, ხშირად აწყდებიან მათი მოთხოვნების უგულვებელყოფას. თავშესაფარში შეიძლება არ იყოს საცხოვრებელი, წყალი და საჭირო საკვები. იქაც კი, სადაც ეს პირობები დაკმაყოფილებულია, უკვე დასახლებულ ტერიტორიაზე იგპ-თა ტალღის შეჭრამ შეიძლება გამოიწვიოს დისკრიმინაცია და შემდგომი ძალადობა. იგპ-ს ხშირად არა აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ან დაკარგული აქვს, ან - დარჩენილი), რაც ხელს უშლის სახელმწიფო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობაში. ზოგჯერ შეუძლებელია სამედიცინო მომსახურება მიიღონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა ან ხანდაზმულმა ადამიანებმა, ფეხმძიმე ქალებმა. განათლება, თუკი დევნილები პროპორციულად მეტია ადგილობრივ მოსახლეობაზე,



შეიძლება ასევე მიუწვდომელი იქნეს მათთვის. ხშირად სამუშაოს პოვნა და ფინანსურ საშუალებებზე ხელმისაწვდომობა რთულია თვით მასპინძელი საზოგადოების წევრებისთვისაც, იგპ-ზე რომ არაფერი ვთქვათ. ასეთი პირობებით გამოწვეული ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედება მძიმე დაღს ასვამს ადამიანებს.

ძალზე ინდივიდუალური განცდის მიუხედავად, იძულებითი გადაადგილება მასიურ ხასიათს ატარებს. შეიარაღებულმა კონფლიქტმა და ძალადობამ გარკვეული ხარისხის იძულებითი გადაადგილება -50ზე მეტ ქვეყანაში გამოიწვია. წყალდიდობების, ქარიშხლების, მიწისძვრებისა და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად ათობით მილიონ იგპ-ს სჭირდება სახელმწიფოს დაცვა და დანხარება.

ამრიგად, იძულებითი გადაადგილების ზემოქმედება შეიძლება ანალოგიურად მძიმე აღმოჩნდეს სახელმწიფოებისთვისაც, რომლებსაც არა აქვთ სათანადო შესაძლებლობები და ინსტიტუციური სტრუქტურები, რომლებიც საჭიროა დასაცავად და დასახმარებლად მოსახლეობისა, რომელიც მანამდე დამოუკიდებელი იყო. მოსალოდნელია, რომ იგპ-თა ჩასახლების ადგილები არიყოს სათანადოდ მომზადებული და განიცდიდეს რესურსების ნაკლებობას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია მოცემულ ადამიანთა ნაკადის მოულოდნელი ზრდის დროს. ფართომასშტაბიანმა ადგილმონაცვლეობამ შეიძლება მთელი რეგიონების დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, მწვავე საფრთხე შეუქმნას უსაფრთხოებას და ჰუმანიტარული პრობლემები წარმოშვას.

### **იძულებითი გადაადგილების ბუნება და მისი გამომწვევი მიზეზები**

ამ გამოწვევათა დამღვეის მიზნით სახელმწიფოების მთავრობებმა კანონით უნდა განსაზღვრონ ის ჯგუფები, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ დაცვა და დანხარება. იძულებითი გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების ანოტაციებში იძულებითი გადაადგილება განმარტებულია როგორც „პირთა ან პირთა ჯგუფების არანებაყოფლობით ან იძულებით გადაადგილება, ევაკუაცია ან გადაადგილება სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში“. ასეთი აღწერის შესაბამისად იძულებითი გადაადგილების პროცესი სამი ფაზისაგან შედგება:

- გადაადგილების წინა პერიოდი, როდესაც სახელმწიფოს ყურადღება გადატანილი უნდა იქნეს იმ მიზეზთა აღმოფხვრაზე, რომლებმაც შეიძლება გადაადგილება გამოიწვიოს;
- გადაადგილების პერიოდი, როდესაც ფოკუსირება უნდა მოხდეს იგპ-თა და დაზარალებულ თემთა დაცვაზე და დანხარებაზე, ასევე იძულებითი გადაადგილების გამოწვევი გარემოებების დარეგულირების ღონისძიებებზე;
- გადაადგილების შემდგომი პერიოდი, როდესაც, ასეთ გარემოებათა მოგვარების შემდეგ ყურადღების ცენტრი გადადის დაზარალებულ იგპ-თა მდგომარეობის გრძელვადიანი გადაწყვეტილებების ძიებაზე, განვითარების შესაძლებლობებსა და ჰუმანიტარულ დანხარებაზე, და ცხოვრების მდგრადი პირობების შექმნაზე.

ეს ფაზები განყენებული ღონისძიებები არ არის; ისინი იძლევა სასარგებლო,

მაგრამ მოქნილ ჩარჩოს, რომელიც პრიორიტეტების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ზოგ შემთხვევაში ეს ფაზები ერთმანეთს ემთხვევა: მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი შეიძლება ადგილმონაცვლე იყოს გარკვეული დროით, ხოლო სხვები უკვე დასაბრუნებლად ემზადებოდნენ (ან სხვაგან იყვნენ განსახლებული, ან სულაც ინტეგრირებული ადგილობრივ საზოგადოებაში).

იძულებით გადაადგილებული არიან პირები, რომლებსაც სიტუაცია აიძულებს შეიცვალონ საცხოვრებელი ადგილი. მრავალ ხელშეკრულებაში და ეროვნულ კანონში იძულებით გადაადგილებული პირები ორი სახითაა აღწერილი:

- იძულებით გადაადგილებულ პირებად მიიჩნევიან ის პირები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი;
- მათ არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი (ანუ, ისინი იმყოფებიან საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე).

### **იძულებით გადაადგილებული პირები: დეფინიცია**

*იძულებით გადაადგილებულ პირებად ითვლებიან პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს და, ამასთან, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი.*

შესავალი, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ; კამპალას კონვენცია, მუხლი 1(k).

*იძულებით გადაადგილებული პირები: ასევე ნიშნავს იმ პირებსა და პირთა ჯგუფებს, რომლებიც გამოძევებული იქნენ ან იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა თავიდან აეცილებინათ ფართომასშტაბიანი განვითარების პროექტების შედეგები, და რომლებსაც არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი.*

დიდი ტბების ოქმი იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დანხარების შესახებ, მუხლი 5(1).

მაშასადამე, იგპ უნდა განვასხვავოთ “ლტოლვილებისგან”, რომელთა დაცვაც არსებული საერთაშორისო დოკუმენტებითაა უზრუნველყოფილი. ამ დოკუმენტთა საფუძველზე, ლტოლვილებს, იძულებით გადაადგილებული პირებისაგან განსხვავებით, გადაკვეთილი აქვთ საერთაშორისო საზღვარი და ამის გამო ვეღარ სარგებლობენ საკუთარი ქვეყნის დაცვით. იგპ-ები, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში იმყოფებიან, თავიანთი ხელისუფლების დაცვის უფლებით სარგებლობენ. ამიტომ, ასეთი დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება სწორედ ქვეყნის მთავრობებს ეკისრებათ.

ცნება “იძულებით გადაადგილებული პირი” არ გადასცემს პირს კონკრეტულ სამართლებრივ სტატუსს, როგორც ეს “ლტოლვილის” შემთხვევაშია. ტერმინი მხოლოდ აღწერს ინდივიდუალური პირის ფაქტიურ გარემოებებს. იგი მიესადაგება ნებისმიერ პირს, რომელიც იძულებულია დატოვოს საცხოვრებელი, გადაადგილების გამოწვევი მიზეზის მიუხედავად, მაგრამ რჩება თავისი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ. მაშასადამე, იგი მიესადაგება:



- ❖ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც ქვეყნის მოქალაქეები არიან; ასევე
- ❖ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც არიან სხვა ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მოცემულ ქვეყანაში (“მუდმივი საცხოვრებელი ადგილი”).

იძულებითი გადაადგილება ჩვეულებრივ გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

- ❖ შეიარაღებული კონფლიქტი, როგორც ეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალითაა განსაზღვრული, როდესაც ხდება, ან შეიძლება მოხდეს მოსახლეობაზე თავდასხმა. ამგვარი კონფლიქტები შეიძლება მოხდეს სახელმწიფოთა შორის, ან სახელმწიფოსა და არასახელმწიფო სუბიექტებს შორის, ან არასახელმწიფო სუბიექტებს შორის;
- ❖ საყოველთაო ძალადობა, რომლის ინტენსიურობა ან დონე ვერ აღწევს შეიარაღებული კონფლიქტისთვის დამახასიათებელ ძალადობას, რომელიც ჟენევის 1949 წლის კონვენციებით და მათი დამატებითი I და II ოქმებითაა განსაზღვრული.
- ❖ სტიქიური და ადამიანის მიერ შექმნილი კატასტროფები, რომლებიც მოიცავს როგორც მოულოდნელ, ისე - გარკვეულ გარემოებებში - ნელა მიმდინარე კატასტროფებს, მაგალითად, რომელთა გამომწვევი მიზეზია კლიმატის ცვლილება.



2012 წლის 21 მაისი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთში მდებარე კივუს პროვინციის რიტმურუს დასახლებული პუნქტიდან კონგოს მოქალაქეები გარბიან თავიანთი ნივთებით, კონგოს სამთავრობო ძალებსა და მეამბოხეთა ახალშექმნილ ჯგუფს (M23) შორის იქ მომხდარი შეტაკების გამო.

- ❖ ადამიანის უფლებათა დარღვევები, რომლებიც განზრახ არის მიმართული მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფის წინააღმდეგ, რომლებიც შეიძლება გაიქცნენ უსაფრთხო ადგილისა და თავშესაფრის პოვნის იმედით;
- ❖ განვითარებით ან გარემოსდაცვითი ღონისძიებებით გამოწვეული იძულებითი გადაადგილება, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილებას მოითხოვს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ან სხვა სახის პროექტები.

**განვითარების პროექტებით გამოწვეული იძულებითი გადაადგილება**

განვითარების პროექტებით გამოწვეული იძულებითი გადაადგილების აუცილებლობა შეზღუდულ ფარგლებში აღიარებულია, თუმცა, საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს, რომ ეს მოხდეს მხოლოდ გამოუვალი გარემოებების დროს. მე-6 სახელმძღვანელო პრინციპი მოითხოვს აიკრძალოს ისეთი იძულებითი გადაადგილება, რომელსაც “ადგილი აქვს განვითარების ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებისას და როდესაც ეს უკანასკნელი არ არის გამართლებული საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.” კამპალას კონვენციის მე - 10 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოებმა “შესაძლებლობის მაქსიმალურ ფარგლებში, თავიდან უნდა აიცილონ გადაადგილება, რომლებიც გამოწვეულია სახელმწიფო ან კერძო სუბიექტების მიერ განხორციელებული პროექტებით” და მოითხოვს, რომ “ჩართულმა მხარეებმა გამოიკვილონ რეალური ალტერნატიული შესაძლებლობები, რომლის დროსაც სრული ინფორმაცია უნდა მიაწოდონ და კონსულტაციები გამართონ პირებთან, რომელთა ადგილმონაცვლეობა შეიძლება მოხდეს პროექტის განხორციელების შედეგად.” ანალოგიურად, იძულებითი გადაადგილების შესახებ დიდი ტბების ოქმის მე-5 მუხლის 1 - ლი პარაგრაფი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა “უზრუნველყონ, რომ ფართომასშტაბიანი განვითარების პროექტებით გამოწვეული იძულებითი გადაადგილება ეროვნული განვითარების გადაუდებელი და უმნიშვნელოვანესი ინტერესებით იყოს გამართლებული. აქედან გამომდინარე, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ განვითარების ყველა შესაძლო ალტერნატივის შესწავლა, რათა მთლიანად იქნეს თავიდან აცილებული განვითარებით გამოწვეული იძულებითი გადაადგილება.”

**იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები**

იმის მიუხედავად, თუ რამ გამოიწვია იძულებითი გადაადგილება, იძულებით გადაადგილებული პირები მრავალი და რთული გამოწვევის წინაშე დგანან:

- ❖ სახლებიდან გამოქცევის გამო მათ დაუყოვნებლივ სჭირდებათ დროებითი თავშესაფარი და, ადგილმონაცვლეობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ნახევრად მუდმივ ან სულაც მუდმივ საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობა, მათი სახლებიდან მოშორებით. იძულებითი გადაადგილების დასრულების შემდეგ, როდესაც იგპ დაბრუნდებიან, შეიძლება საჭირო გახდეს სახლების, მიწისა და სხვა საკუთრების დაბრუნებისა და დავების მშვიდობიანად გადაჭრის მექანიზმები.

➤ მათ შესაძლოა დაკარგული ან განადგურებული ჰქონდეთ პირადი დოკუმენტები. ეს იძულებით გადაადგილებული მოსახლეობისთვის ჩვეული პრობლემაა. ამის შედეგად მათ შესაძლოა ვერ მიიღონ საზოგადოებრივი მომსახურება, მაგალითად, სამედიცინო დახმარება და განათლება, ან ვერ განახორციელონ სამოქალაქო უფლებები, სამართლებრივი დახმარების, პოლიტიკური მონაწილეობისა და ხმის მიცემის ჩათვლით. იგპ-ს ადვილად უნდა მიუწვდებოდეს ხელი დაკარგული ან განადგურებული დოკუმენტების აღდგენის მექანიზმებზე და ნებისმიერ გარემოებაში მათ არ უნდა მოსთხოვონ აღნიშნული დოკუმენტების ან მსგავსი დოკუმენტების მოსაპოვებლად მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

➤ შეიძლება მოხდეს მათი სოციალური და ოჯახური კავშირების რღვევა, ან სულაც განადგურება. ექსპლუატაციისა და დისკრიმინაციის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადი არიან მარტო დარჩენილი ხანდაზმულები და ბავშვები. იძულებითი გადაადგილებით გამოწვეულ ტრავმასთან გამკლავებაში მათ შეიძლება ხელი შეუშალოს თემისაგან მოწყვეტამ.

➤ მოწყვლად ჯგუფებს მიეკუთვნებიან ქალები, განსაკუთრებით, მარტო მოგზაურობის დროს, ან როდესაც მათ ოჯახის უფროსის როლი აკისრიათ. შეიძლება მათი ამ როლის აღიარება არ მოხდეს.

➤ იგპ-ს შეიძლება არ ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა დასაქმებაზე ან საარსებო საშუალებებზე, რის გამოც ისინი სურსათისა და ძირითადი მომსახურებების გარეშე დარჩებიან.

➤ ხშირად მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებულია ცუდი სანიტარული პირობებისა და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმიუწვდომლობის გამო.

იგპ-თა უფლებების განხორციელებისა და მათ წინაშე მდგარი სპეციფიკური პრობლემების მოგვარების საფუძვლებს ქმნის საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები, ძირითადად ადამიანის უფლებათა სამართლის, ჰუმანიტარული სამართლისა და სისხლის სამართლის სფეროებში. ამ სტანდარტებს უნდა მოიცავდეს ეროვნული კანონმდებლობა იძულებითი გადაადგილების შესახებ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგპ-თა მდგომარეობაში პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად. საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებებით დადგენილი სტანდარტების დიდი უმრავლესობა სავალდებულოა სახელმწიფოებისთვის და ისინი შიდასახელმწიფო დონეზე აღიარებას მოითხოვს. მაგალითად, იგპ-თა შესახებ დიდი ტბების ოქმი მისი მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვს (მუხლი 2) სახელმძღვანელო პრინციპების ჩართვას ეროვნულ კანონმდებლობაში. ეს სტანდარტები ამ თვალსაზრისით ძირითადი რესურსია და საჭიროა მათი ასახვა ან სულაც ჩართვა ეროვნულ იგპ კანონმდებლობაში.

**სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ**

სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების რეგულირებისთვის საჭირო ძალისხმევის საერთაშორისო ნორმატიული სტანდარტია. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ ისინი პირველად 1998 წელს წარმოადგინა. სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაზე

წლების განმავლობაში მუშაობდა იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის ყოფილი წარმომადგენელი, რომელსაც დახმარებას უწევდნენ კომიტეტის იურიდიული ექსპერტები. მას შემდეგ მათი, როგორც ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტის მნიშვნელობა, მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ იქნა აღიარებული. 2005 წელს, სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობის ლიდერების მსოფლიო სამიტზე სახელმძღვანელო პრინციპები ერთხმად იქნა აღიარებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის მნიშვნელოვან საერთაშორისო ჩარჩოდ“. ეს აღიარება მრავალგზის და ერთსულოვნად დაადასტურეს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ და გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ (UNGA A/RES/66/165, პარ. 12 (2012); A/HRC/RES/23/8 (2013), პარ.12). ეს პრინციპები შემდეგ აღიარეს რეგიონულმა ინსტიტუტებმა, მაგალითად, ევროპის საბჭომ, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ და აფრიკის კავშირმა. აფრიკაში სახელმწიფოთა მიერ მათ გათვალისწინებას მოითხოვს დიდი ტბების ოქმი იგპ-თა შესახებ, ხოლო კამპალას ოქმი მათ საფუძველზეა შემუშავებული. გარდა ამისა, სახელმძღვანელო პრინციპებს სულ უფრო მეტი სახელმწიფო იყენებს იძულებითი გადაადგილების შესახებ ეროვნული კანონებისა და პოლიტიკის საფუძვლად. სახელმძღვანელო პრინციპებს თავიანთ იურისპრუდენციაში საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოებიც იყენებენ.

*ჩვენ სახელმძღვანელო პრინციპებს ვაღიარებთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ჩარჩოდ იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაცავად და გადაწყვეტილებას ვიღებთ მიღებული იქნეს ეფექტიანი ზომები იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის განსამტკიცებლად.*

.....  
2005 წლის მსოფლიო სამიტის  
შემაჯავებელი დოკუმენტი, პარ. 132.

ეს პრინციპები სამ ფუნდამენტურ დოქტრინას ეფუძნება:

- ასახავს საერთაშორისო სამართალს;
- აღიარებს, რომ იგპ-თა დაცვისა და დახმარების უპირველესი მოვალეობა ეროვნულ ხელისუფლებას ეკისრება;
- აღიარებს დისკრიმინაციის დაუშვებლობას:
  - იგპ-ს აქვთ იგივე უფლებები და თავისუფლებები, რითაც სარგებლობენ სხვა პირები, რომლებიც იძულებით გადაადგილებულნი არ არიან. მათ უნდა გაუწიონ დახმარება და დაიცვან მათი განსაკუთრებული საჭიროებებიდან გამომდინარე; დაუშვებელია მათ მიმართ რაიმე სახის დისკრიმინაცია იმ მიზეზით, რომ ისინი იძულებით არიან გადაადგილებულნი;
  - ეს პრინციპები გამოიყენება ყველა იძულებით გადაადგილებული პირის მიმართ რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. ზოგიერთ ჯგუფს (მაგალითად, ბავშვებს, მოხუცებს, ქალებს ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს) შეიძლება სპეციალური დახმარება და დაცვა ესაჭიროებოდეთ.

ეს პრინციპები ეხება იძულებითი გადაადგილების სამივე ფაზას. გადაადგილების გამომწვევი მიზეზების თავიდან აცილების მიზნით იგი აცხადებს:



- სახელმწიფოებმა თავიდან უნდა აიცილონ ისეთი მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს იძულებითი გადაადგილება (პრინციპი 5).
- იძულებით გადაადგილებულ პირებს აქვთ თვითნებური გადაადგილებისაგან დაცვის უფლება (პრინციპი 6); იმ შემთხვევაში, როდესაც იძულებითი გადაადგილება გარდაუვალია, მიღებული უნდა იქნეს მისი შედეგების მინიმუმამდე შემცირების ყველა ზომა (პრინციპი 7);
- გადაადგილება არ შეიძლება განხორციელდეს ისე, რომ დაირღვეს სიცოცხლის, ღირსების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (პრინციპი 8);
- სახელმწიფოებს აკისრიათ განსაკუთრებული ვალდებულება, რათა გადაადგილებისაგან დაიცვან მოსახლეობის ჯგუფები, რომლებიც უპირატესად არიან დამოკიდებულნი და მიმაგრებულნი მიწაზე (პრინციპი 9).

სახელმძღვანელო პრინციპები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირები სარგებლობენ საერთაშორისო სამართლით დაცული ყველა უფლებით, რომლებიც ქვემოთაა ჩამოწერილი. ეროვნული ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა იმ სფეროებში, სადაც ისინი განსაკუთრებით მოწყვლადი არიან.

<b>იგპ-თა უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია სახელმძღვანელო პრინციპებით</b>	
უფლება	შესაბამისი პრინციპი
სიცოცხლის, თავისუფლების და ძალადობისაგან დაცვის უფლება	მე - 10, მე - 11 და მე - 12 პრინციპები
საკვებზე ხელმისაწვდომობის უფლება	მე - 18 პრინციპი
სასმელ წყალზე და სანიტარულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უფლება	მე - 18 პრინციპი
ადეკვატური საცხოვრებლის უფლება	მე - 18 პრინციპი
სამედიცინო დახმარების და ჯანმრთელობის დაცვის უფლება	მე - 18 და მე - 19 პრინციპები
საკუთრების უფლება; საკუთრების თავდასხმისაგან დაცვის უფლება	21-ე და 29-ე პრინციპები
გადაადგილების თავისუფლება	მე - 14, მე - 15 და 28 - ე პრინციპები
უფლება იყოს კანონის წინაშე ალიარებული სუბიექტი	მე - 20 პრინციპი
ოჯახური ცხოვრების და ერთიანობის პატივისცემის უფლება	მე - 16 და მე - 17 პრინციპები
განათლების უფლება	23 - ე პრინციპი
შრომის და ცხოვრების სათანადო პირობების უფლება	მე - 18 და 22 - ე პრინციპები
გამოხატვის, აზრის და სინდისის, რელიგიის ან რწმენის თავისუფლება	22 - ე პრინციპი
ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება	22 - ე და 29 - ე პრინციპები
ჰუმანიტარული დახმარების უფლება	მე - 3 და 25 - ე პრინციპები

ამ უფლებათა მნიშვნელობა და მათი კანონმდებლობაში გამოყენება დეტალურად განხილულია მესამე თავში.

საბოლოოდ პრინციპები აცხადებს, რომ იძულებითი გადაადგილების შემთხვევაში იგპ-ს უნდა ჰქონდეთ მათი პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტილების უფლება. გრძელვადიანი გადაწყვეტილების უზრუნველყოფაზე, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოა პასუხისმგებელი. ეს პასუხისმგებლობა რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტისაგან შედგება:

- იგპ-ს უფლება აქვთ აირჩიონ თვითნებური სახლები დაბრუნება ან ქვეყნის სხვა ნაწილში განსახლება (ახალ თემებში ინტეგრაციის ჩათვლით) (28 - ე პრინციპი);
- ხელისუფლებამ განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა მიმართოს იგპ-თა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტილების დაგეგმვასა და მართვაში მათი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად (28-ე პრინციპი);
- იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ან ისინი ვინც დასახლდნენ ქვეყნის სხვა ნაწილში, არ შეიძლება დისკრიმინირებულნი იყვნენ თავიანთი მდგომარეობის გამო. მათ აქვთ უფლება, შეუზღუდავად და თანაბრად, ნებისმიერ დონეზე მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ურთიერთობებში, აგრეთვე თანაბრად ისარგებლონ საზოგადოებრივი მომსახურებით (29-ე პრინციპი);
- ხელისუფლების ორგანოები უნდა დაეხმარონ იგპ-ს მათი დაკარგული საკუთრების აღდგენაში, ან, როდესაც აღდგენა შეუძლებელია, უნდა უზრუნველყონ შესაბამისი კომპენსაციის მექანიზმები (29 - ე პრინციპი);
- ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა უნდა დაუშვან და გაუადვილონ საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებსა და შესაბამის დაწესებულებებს თავისი მანდატის განხორციელების შესაძლებლობა, რათა მათ სწრაფად და შეუფერხებლად განახორციელონ იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება მათი დაბრუნების, განსახლების ან რეინტეგრაციის პროცესში (30-ე პრინციპი).

**იგპ-ის ნაამბობი: დორის ბერიო - კართაგენა, კოლუმბია**

„ჩვენს უბანში შეიარაღებული ჯგუფი შემოვიდა, მეზობლები შეგვყარეს და გამოგვიცხადეს, რომ ამ ტერიტორიაზე კონტროლს განახორციელებდნენ. ისინი, ვისაც “მათთან დგომა” არ სურდა, უნდა წასულიყვნენ. ჩვენ კართაგენასკენ წავედით, რათა ყველაფერი თავიდან დაგვეწყო. ჩვენ დავიწყეთ ადამიანის უფლებათა შესახებ სემინარების ორგანიზება ქალებისთვის. კოლუმბიაში დევნიან ყველას, ვინც კი ადამიანის უფლებებს იცავს. პროექტის დაწყების დღიდან ჩვენ მუდმივად გვემუქრებოდნენ. გასულ წელს ჩემი ნაბოლარა ვაჟი ჩამოვიდა კართაგენაში ჩვენი სახლის სანახავად. 2009 წლის 31 ოქტომბერს ჩემი ვაჟი ჯაირი სახლიდან გაიტყუეს და მოკლეს. ვინაიდან შეიარაღებულმა ჯგუფმა ჩემი საქმიანობის შეწყვეტა ვერ მოახერხა, მათ ჩემი ვაჟი მოკლეს, უბრალოდ ჩემზე ზემოქმედების მიზნით. ჩემი ოცნებაა მქონდეს სახლი. ჩემი ოცნებაა სამართლიანობის მიღწევა: რეპარაციის და სიმართლის მიღწევა, და ჩემი შვილის მკვლელების გასამართლება“.



## სახელმძღვანელო პრინციპების გამამყარებელი საერთაშორისო ვალდებულებები

სახელმძღვანელო პრინციპები მიზანად ისახავს საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების აღწერას, რომლებიც ქვეყნის შიგნით ადგილობრივ პირთა მიმართ გამოიყენება. მათი ძალა მომდინარეობს პრაქტიკულად საყოველთაოდ აღიარებული ხელშეკრულებებიდან, რომლებიც მათ მეტ სიმტკიცეს ანიჭებს. სახელმძღვანელო პრინციპები სამართლის სამ მიმართულებაშია ასახული: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში და საერთაშორისო სისხლის სამართალში.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი არის უფლებათა და ვალდებულებათა სინთეზი, რომელიც სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას აყალიბებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც მათი იურისდიქციის ქვეშ ცხოვრობენ. ადგილობრივ ევოლუციასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი უფლებები ადამიანის უფლებათა ორ ძირითად ხელშეკრულებაშია ჩამოყალიბებული:

- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლესთან, თავისუფლებასთან და უსაფრთხოებასთან, ასევე ადგენს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ უფლებებს;
- საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ, რომელიც ადგენს ოჯახთან, განათლებასთან, შრომასთან, სათანადო საცხოვრებელთან, საკვებთან, ტანისამოსთან და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ უფლებებს.

გარდა ამისა, იგპ-თა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებს მიეკუთვნება კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) და გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ (UNCRC).

ამ ხელშეკრულებათა საფუძველზე სახელმწიფოები ვალდებული არიან დაიცვან და პატივი სცენ იგპ-თა ადამიანის უფლებებს და უზრუნველყონ მათ მიერ ამ უფლებებით სარგებლობა.

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების შესრულების მთავარი ასპექტია მოხსენებების წარდგენა მონიტორინგის ორგანოებისთვის და მათ მიერ ამ მოხსენებებზე რეაგირება. ამ ორგანოებში მუშაობენ საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც იხილავენ ქვეყნის შიდასახელმწიფო სისტემას, ადარებენ მას საერთაშორისო სტანდარტებს და, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავენ რეკომენდაციებს.

2005 და 2012 წელს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, რომელსაც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტთან შესაბამისობის მონიტორინგი ევალებოდა, მოითხოვა, რომ კენიას მიეღო იგპ-თან დაკავშირებული პოლიტიკა და „პრიორიტეტული წესით“ აემოქმედებინა კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ. მომზადდა პოლიტიკის პროექტი და 2012 წლის დეკემბერში კენიის პარლამენტმა მიიღო ვრცელი

კანონი იგპ-თა შესახებ, რომელიც იძულებითი გადაადგილების ყველა ასპექტს მოიცავს.

შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციებში ასევე გამოიყენება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. იგპ მიიჩნევიან სამოქალაქო პირებად და, აქედან გამომდინარე, ისინი სარგებლობენ სამოქალაქო პირთათვის მინიჭებული დაცვით. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მთავარი წყაროებია 1949 წლის ჟენევის ოთხი კონვენცია და 1977 წლის ორი დამატებითი ოქმი, რომლებიც სამოქალაქო პირებს (იგპ-თა ჩათვლით) და მათ საკუთრებას ან „ობიექტებს“ ფართო დაცვით უზრუნველყოფს. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალიდან გამომდინარე ვალდებულებებია:

- სამოქალაქო პირებზე და მათ ობიექტებზე თავდასხმის აკრძალვა;
- იძულებითი გადაადგილების აკრძალვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი გამოწვეულია სამხედრო აუცილებლობით, ან როდესაც ამას მოითხოვს თვით სამოქალაქო პირთა უსაფრთხოება;
- მიწოდებულ დახმარებაზე თავისუფალი, სწრაფი და შეუფერხებელი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მოთხოვნა.

## საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წესები, რომლებიც დაკავშირებულია გადაადგილებულ მოსახლეობასთან

სამოქალაქო პირთათვის მინიჭებული ზოგადი დაცვის გარდა, ICRC-მ განსაზღვრა ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის წესები, რომლებიც საგანგებოდ მისადაგება გადაადგილებულ მოსახლეობას. ეს წესებია:

- ნახი 129**
- A. საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს არ შეუძლიათ მოახდინონ ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის, მთლიანად ან მისი ნაწილის, დეპორტაცია ან იძულებითი გადაყვანა, თუ ეს გამოწვეული არ არის სამოქალაქო პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნით ან უკიდურესი სამხედრო აუცილებლობით. (გამოიყენება საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების დროს).
  - B. არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა არ უნდა გასცენ ბრძანება კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზებით სამოქალაქო მოსახლეობის, მთლიანად ან მისი ნაწილის, გადაადგილების შესახებ, თუ ეს გამოწვეული არ არის სამოქალაქო პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნით ან უკიდურესი სამხედრო აუცილებლობით. (გამოიყენება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების დროს)

**ნახი 130**  
სახელმწიფოებს არ შეუძლიათ მოახდინონ საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის დეპორტაცია ან გადაყვანა მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე (გამოიყენება საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების დროს).

**ნახი 131**  
გადაადგილების შემთხვევაში მიიღება ყველა შესაძლო ზომა სამოქალაქო მოსახლეობის თავშესაფრის, ჰიგიენის, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კვების თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ პირობებში მისაღებად, და არ უნდა მოხდეს ოჯახის წევრთა განცალკევება. (ეხება ყველა კონფლიქტს).

**ნახი 132**  
გადაადგილებულ პირებს აქვთ საკუთარ სახლებში ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე უსაფრთხო ნებაყოფლობითი დაბრუნების უფლება, როგორც კი აღარ იარსებებს მათი გადაადგილების გამომწვევი მიზეზი. (ეხება ყველა კონფლიქტს).

**ნახი 133**  
აუცილებელია გადაადგილებულ პირთა საკუთრების უფლებების პატივისცემა. (ეხება ყველა კონფლიქტს).  
ICRC, საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის კვლევა (2005).

საერთაშორისო სისხლის სამართალში დადგენილია იმ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომლებიც სწადიან საერთაშორისო სამართლით აკრძალულ ქმედებებს - ე.წ. საერთაშორისო დანაშაულს. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი საერთაშორისო დანაშაულად განსაზღვრავს გენოციდის დანაშაულს (მუხლი 6), კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს (მუხლი 7) და სამხედრო დანაშაულს (მუხლი 8). სტატუტის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან ამ ქმედებათა დასჯადობა განსაზღვრონ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში და აქტიურად გამოიძიონ ისინი. როდესაც სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ან არ სურთ ასეთი დანაშაულის გამომიყვანა და დამნაშავე პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა, მაშინ ამას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ახორციელებს.

### იძულებითი გადაადგილება შეიძლება დანაშაულის ცოლფასი იყოს

“არ უნდა გაიცეს ბრძანება კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზებით სამოქალაქო მოსახლეობის გადაადგილების შესახებ, თუ ეს გამოწვეული არ არის სამოქალაქო პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნით ან უკიდურესი სამხედრო აუცილებლობით. ამგვარი გადაადგილების აუცილებლობის შემთხვევაში მიიღება ყველა შესაძლო ზომა სამოქალაქო მოსახლეობის თავშესაფრის, ჰიგიენის, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კვების თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ პირობებში მისაღებად.”

ქენეის კონვენციების II დამატებითი ოქმის მე - 17 მუხლი.

კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული ნიშნავს:

„... მოსახლეობის დემორტაციას ან იძულებით გადაყვანას“, ანუ, „მოცემულ პირთა იძულებითი გადაადგილება გამკვების ან სხვა ძალადობრივი ქმედებების მეშვეობით იმ ტერიტორიიდან, სადაც ისინი კანონიერად იმყოფებიან, საერთაშორისო სამართლით ნებადართული საფუძვლების გარეშე“.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის მე - 7 მუხლის ‘დ’ პარაგრაფის მე - 2 პუნქტი.

სამხედრო დანაშაული ნიშნავს:

„...ბრძანების გაცემას კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზებით სამოქალაქო მოსახლეობის გადაადგილების შესახებ, თუ ეს გამოწვეული არ არის სამოქალაქო პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნით ან უკიდურესი სამხედრო აუცილებლობით.“

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის მე - 8 მუხლის მე - 2 პარაგრაფის ‘ე’ პუნქტის (viii) ქვეპუნქტი.

### რეგიონული კონვენციები და სტანდარტები

რეგიონული კონვენციები და სტანდარტები დამატებით მითითებებს იძლევა კანონმდებლობის ფორმულირებისთვის, რადგან ისინი რეგიონის მიდგომებსა და საჭიროებებს გამოხატავს. ამიტომ, პარლამენტის წევრებმა, რომლებიც ეროვნული კანონების შექმნაზე მუშაობენ, უნდა გაითვალისწინონ როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონული სტანდარტები, რომლებიც მათ ქვეყანას მიესადაგება.

### აფრიკა

აფრიკის კავშირის 2009 წლის კონვენცია აფრიკაში იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების შესახებ (კამპალას კონვენცია) 2012 წელს შევიდა ძალაში. კონვენცია ინტენსიურად ეყრდნობა სახელმძღვანელო პრინციპებს და განამტკიცებს იმ დებულებებს, რომლებიც ეხება იძულებითი გადაადგილების დროს სახელმწიფოს მოვალეობებსა და დისკრიმინაციის დაუშვებლობას. კამპალას კონვენცია გადაადგილების

ყველა ფაზას მოიცავს:

- მე- 4 და მე- 10 მუხლები ეხება გადაადგილების პრევენციას;
- მე- 5 – მე- 9 მუხლები ეხება გადაადგილების დროს დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფას;
- მე - 11 – მე- 13 მუხლები ეხება გრძელვადიანი გადაწყვეტილების უზრუნველყოფას.

პაქტი დიდი ტბების რეგიონის უსაფრთხოების, სტაბილურობისა და განვითარების შესახებ 2006 წელს მიიღეს, ხოლო ძალაში იგი 2008 წელს შევიდა. მას აქვს ორი დამატებითი ოქმი, რომლებიც იძულებით გადაადგილების საკითხებს ეხება: ოქმი იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების შესახებ და ოქმი დაბრუნებულ პირთა საკუთრების უფლებების შესახებ.

ოქმი იგპ-თა შესახებ მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვს „მიიღონ და განახორციელონ სახელმძღვანელო პრინციპები, როგორც დიდი ტბების რეგიონში იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების ჩარჩო“. ოქმის მიზანია „სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფა სახელმძღვანელო პრინციპების ეროვნულ კანონმდებლობაში ჩასართავად“. სახელმწიფოები ვალდებული არიან არ დაუშვან თვითნებური გადაადგილება, აღკვეთონ გადაადგილების გამომწვევი მიზეზები და შეარბილონ მისი შედეგები; უზრუნველყონ იგპ-თა უსაფრთხოება; უზრუნველყონ მათთვის წყალი, საკვები, თავშესაფარი და სანიტარული პირობები. ოქმი უზრუნველყოფს იგპ-თა უფლებების ზოგად დაცვას და იგპ-თა დაცვის მონიტორინგის რეგიონული მექანიზმის შექმნას.



ირისე ალუი, მისი მეუღლე ნორი და მათი შვიდი შვილი თავიანთი თავშესაფრის წინ, ალ ადლას იგპ დასახლების ბანაკში; მოგადიშუ, სომალი, 2011 წლის 13 აგვისტო.



ოქმი საკუთრების შესახებ მოითხოვს დევნილთა ყველა ჯგუფის საკუთრების დაცვას, დაბრუნებული მეუღლეებისა და ბავშვების ჩათვლით. იგი აღდგენს ზარალის კომპენსაციის ვალდებულებებს და განსაზღვრავს საკუთრების აღდგენის მექანიზმებს.

## ევროპა

ევროპის საბჭო, 1631-ე (2003 წ.) და მე-6 (2006 წ.) რეკომენდაციებში იძულებითი გადაადგილების შესახებ, წევრ სახელმწიფოებს ურჩევს სახელმძღვანელო პრინციპები გაითვალისწინონ იძულებითი გადაადგილების შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის ჩამოყალიბების პროცესში. ევროპის საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ:

- იგპ არ უნდა იქნენ დისკრიმინირებულნი თავიანთი გადაადგილების გამო;
- სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ეროვნულ უმცირესობებს და მოწყვლად ჯგუფებს;
- სახელმწიფოებმა თვითნებურად არ უნდა უთხრან უარი სხვა სახელმწიფოებსა და ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს შეთავაზებულ დახმარებაზე;
- იგპ-თა მიმართ მოპყრობა უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ოჯახების კვლავ გაერთიანებას;
- არ უნდა დაირღვეს საკუთრების უფლება, ხოლო დარღვევის შემთხვევაში უნდა მოხდეს სათანადო კომპენსაციის გადახდა;
- მიღებული უნდა იქნეს პრაქტიკული ზომები, რათა იგპ-მა შეძლონ ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ არჩევნებში თავიანთი ხმის მიცემის უფლების განხორციელება;
- იგპ-ს უფლება აქვთ დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხოდ და ღირსეულად, ან განსახლდნენ ქვეყნის სხვა ნაწილში.

## ამერიკის კონტინენტის ქვეყნები

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ყოველწლიური რეზოლუციები წევრ სახელმწიფოებს ანალოგიურად ავალეს სახელმძღვანელო პრინციპების ჩართვას მათ ეროვნულ კანონებში. რეზოლუციები (მაგალითად, რეზოლუცია AG/RES.2055 (2004)):

- სახელმწიფოებს შეახსენებს მათ „პასუხისმგებლობას იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ“, და იმას, რომ იგპ-თა დაცვის, დახმარებისა და გრძელვადიანი გადაწყვეტილების უზრუნველყოფა უნდა დააფუძნონ ადამიანის უფლებებს;
- სახელმწიფოებს ავალეს ითანამშრომლონ კარგი გამოცდილების გაზიარებისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული იძულებითი

გადაადგილება;

- სახელმწიფოებისაგან მოითხოვს თავისუფლად, დაუბრკოლებლად და პირდაპირ მიმართონ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დახმარებისთვის, რათა რეაგირება მოხდეს იმ მიზეზებზე, რომლებმაც შეიძლება გადაადგილება გამოიწვიოს.

გარდა ამისა, 2010 წელს, სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის თვრამეტმა ქვეყანამ მიიღო ბრაზილიის დეკლარაცია ამერიკის კონტინენტზე ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის შესახებ. დეკლარაციაში ხაზგასმითაა ნახსენები ასეთი დაცვის დროს ჰუმანიტარული დახმარების მნიშვნელობა, აღნიშნულია „ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის აპოლიტიკური და ჰუმანიტარული ბუნება, და მათი უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე საზოგადოებაში მათ მიერ შეტანილი პოზიტიური წვლილის აღიარება“.

## საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების განხორციელება იგპ კანონის მეშვეობით

საერთაშორისო ვალდებულებებისა და სტანდარტების შესრულებაში პარლამენტის წევრის მოვალეობაა:

- ლობირება გასწიოს მთავრობასთან (ან აღმასრულებელ ხელისუფლებასთან) სათანადო ხელშეკრულებებზე ხელმოწერის მიზნით;
- ხელი შეუწყოს სტანდარტების ჩართვას იგპ-თან დაკავშირებულ სპეციალურ კანონში.

ამ როლის შესრულებისას პარლამენტის წევრებს მრავალი სახის მხარდაჭერა აქვთ. მაგალითად, აფრიკაში, პან-აფრიკულ პარლამენტს და სხვა უფრო ლოკალიზებულ ორგანოებს (როგორცაა ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამეგობრობის პარლამენტართა ქსელი (REPAC) და სამხრეთ აფრიკის განვითარების თანამეგობრობის საპარლამენტო ფორუმი (SADC-PF), ამ მიზნით შექმნილი აქვთ პარლამენტართა მხარდაჭერის ინტენსიური რეგიონული და ქვე-რეგიონული ქსელი. მსგავსი საპარლამენტაშორისო ორგანოები სხვა რეგიონებსაც აქვთ, მაგალითად: არაბული საპარლამენტაშორისო კავშირი; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების ასოციაცია (ASEAN IPA); ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის საპარლამენტაშორისო ასამბლეა (OIC); ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოთა საპარლამენტო კონფედერაცია და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. ასეთ ფორუმებში აქტიური მონაწილეობის მეშვეობით პარლამენტარებს საშუალება აქვთ კონტაქტები დაამყარონ თავიანთ კოლეგებთან და გაიზიარონ მსგავს სახელმწიფოთა საუკეთესო გამოცდილება.





2012 წლის ივნისში დიკოს ოჯახი საფრთხეს გაექცა მშობლიური დუენტზადან და თავი ყოფილ სასტუმროს შეაფარა მოპტიში (მალი).

საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) პარლამენტარებისთვის მხარდაჭერის მრავალი მექანიზმი აქვს. იგი მათ ეხმარება საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებათა განხორციელების უზრუნველყოფაში ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე. მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტარებს საშუალება ჰქონდეთ პირდაპირ მიიღონ მონაწილეობა გაეროს ადამიანის უფლებათა მექანიზმების ძალისხმევაში, კერძოდ, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოსა და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების მუშაობაში. ასეთი საქმიანობით საპარლამენტთაშორისო კავშირი პარლამენტარებს ხელს უწყობს მტკიცე და გრძელვადიანი თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა აქტორებთან, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან. საპარლამენტთაშორისო კავშირი ეროვნულ პარლამენტებს ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტების შექმნასა და ფუნქციონირებაშიც ეხმარება. ყოველწლიური შეხვედრები ადამიანის უფლებათა კომიტეტებისთვის დეპუტატებს ერთმანეთისაგან სწავლისა და გამოცდილების გაზიარების კარგ საშუალებას აძლევს. კატასტროფებზე რეაგირებისა და მართვის სფეროში გაეროს კატასტროფების შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის ფარგლებში (UNISDR) აღიარებულ იქნენ „საპარლამენტო ჩემპიონები“, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საკანონმდებლო რეფორმებში. ეს ადამიანები, რომლებიც მსოფლიოს ყველა კუთხეს წარმოადგენენ, ცნობილი გახდნენ ეროვნულ საკანონმდებლო საქმიანობაში მათი ფასდაუდებელი საქმიანობით. იძულებით გადაადგილებულ პირთა

ნაკადები - რაც უმრავლეს შემთხვევაში ბუნებრივი კატასტროფების შედეგია - პარლამენტარებს საშუალებას აძლევს შეუერთდნენ ამ „ჩემპიონებს“ და მათ მაგალითს მიბადონ. ამ „ჩემპიონთა“ გამოცდილება ადასტურებს, რომ საკუთარ ქვეყანაში მიღებული კარგი გამოცდილება შეიძლება სხვა ქვეყნებშიც გავრცელდეს. შემოქმედებითი გადაწყვეტილებების მიგნების მიზნით პარლამენტის წევრებმა უნდა გადაიღონ ამ ადამიანთა მეთოდები.

**დასავლეთ აფრიკაში შიდასახელმწიფო რეფორმის რეგიონული სამოქმედო გეგმა**

იგპ-თვის, რომლებიც ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალდნენ, ყველაზე ეფექტიანი რეაგირება ხშირად რეგიონული მასშტაბის სამოქმედო გეგმებით მიიღწევა. მაგალითად, დასავლეთ აფრიკაში, სენეგალელი დეპუტატი აბდუ სანე, ინტენსიურად მუშაობდა კლიმატის ცვლილების პროფილის ამალეზაზე, ხოლო 2010 წელს UNISDR-მა იგი რეგიონში კატასტროფების რისკის შემცირების საპარლამენტო ჩემპიონად აღიარა. სანე, სხვა დეპუტატებთან ერთად ბურკინა ფასოდან, კაპე ვერდედან, კოტ დ'ივუარიდან, მალიდან, ტოგოდან და კენიადან, აქტიურად იღვწოდა რეგიონული სამოქმედო გეგმის შესაქმნელად. ეს გეგმა 2010 წელს მიიღეს. მასში აღიარებულია კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნელა მიმდინარე ბუნებრივი კატაკლიზმები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს იძულებითი გადაადგილება და საბოლოოდ ზიანი მიაყენოს ათასწლეულის განვითარების მიზნებს. ამ პარლამენტარებმა ხელი შეუწყვეს რეგიონული პარტნიორობის განვითარებას და გადასინჯეს თავიანთი ეროვნული კანონები, რაც მიზნად ისახავდა დაზარალებული მოსახლეობისთვის, კერძოდ, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის სამედიცინო მომსახურებისა და წყლის მიწოდების უზრუნველყოფას.



## თავი პირველი: რეზიუმე და სამოქმედო საკითხები

ტერმინი „იძულებითი გადაადგილება“ მიუთითებს ინდივიდუალურ პირებზე, რომლებიც იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ არ გადაუკვეთავთ თავიანთი ქვეყნის საზღვრები.

✓ პარლამენტარებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია მათ ქვეყნებში იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ნებისმიერი ჯგუფის შესახებ.

იძულებითი გადაადგილება შეიძლება გამოიწვიოს შეიარაღებულმა კონფლიქტმა, საყოველთაო ძალადობამ, ადამიანის უფლებათა დარღვევებმა და სტიქიურმა ან ადამიანის მიერ შექმნილმა კატასტროფებმა - ან შეიძლება იყოს განვითარების პროექტების შედეგი.

გადაადგილების გამომწვევი მიზეზის მიუხედავად, იგპ-თა დაცვისა და დახმარების ძირითადი ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება.

სახელმძღვანელო პრინციპები იგპ-თა დაცვისა და დახმარების საერთაშორისო ნორმატიული სტანდარტია.

✓ პარლამენტარებმა უნდა წაიკითხონ და იცოდნენ სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ.

სახელმძღვანელო პრინციპებს განამტკიცებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, ადამიანის უფლებათა სამართალი და საერთაშორისო სისხლის სამართალი. საერთაშორისო სტანდარტებს მნიშვნელოვნად ავსებს რეგიონული ხელშეკრულებები და სტანდარტები.

✓ პარლამენტარებმა უნდა იცოდნენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ადამიანის უფლებათა სამართლის და საერთაშორისო სისხლის სამართლის ხელშეკრულებები, რომლებიც მათი სახელმწიფოს მიერ არის რატიფიცირებული.

✓ პარლამენტარებმა აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ადამიანის უფლებათა სამართლის და საერთაშორისო სისხლის სამართლის ხელშეკრულებების რატიფიცირებას, რომელთა მონაწილე მხარე მათი სახელმწიფო ჯერ არ არის.

✓ პარლამენტარებმა უნდა უზრუნველყონ სახელშეკრულებო ორგანოების ანგარიშების მექანიზმებში მათი პარლამენტების მონაწილეობა.

✓ პარლამენტარებმა უნდა იცოდნენ იმ ვალდებულებათა შესახებ, რომლებიც ამ ხელშეკრულებებით ეკისრება მათ სახელმწიფოს.

✓ პარლამენტარებმა უნდა იცოდნენ ის რეგიონული ხელშეკრულებები, რომელთა მონაწილე მხარე არის მათი სახელმწიფო.

✓ პარლამენტარებმა უნდა განიხილონ იმ რეგიონულ ხელშეკრულებებთან მიერთების საკითხი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მათ ქვეყანაში და ეს საკითხი უნდა განიხილონ თავიანთ მთავრობასთან ან აღმასრულებელ შტოსთან.

ჩვეულებრივ, ზოგადი კანონები, იგპ-თა კონკრეტულ საჭიროებებსა და მოწყვლადობის საკითხებს სათანადოდ ვერ აკმაყოფილებს. იგპ-თა დაცვისა და დახმარებისთვის საუკეთესო გზაა იგპ-თა შესახებ სპეციალური ეროვნული კანონის შექმნა.

✓ პარლამენტარებმა უნდა განიხილონ, თუ რა პრობლემები და დაბრკოლებები შეიძლება შეუქმნას მათ ქვეყანაში იძულებით გადაადგილებულ პირებს ზოგადმა კანონებმა.

მრავალი საერთაშორისო და რეგიონული ორგანო არსებობს, რომლებიც ქვეყნებს ეხმარებიან მათი საერთაშორისო ვალდებულებების გააზრებასა და განხორციელებაში, რომლებიც იძულებით გადაადგილებასთანაა დაკავშირებული.

✓ პარლამენტარებმა უნდა იცოდნენ და აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ საპარლამენტარული ორგანოების საქმიანობაში.

## კარი მეორე

## პარლამენტართა პანორამული როლი





## თავი მეორე

### საკანონმდებლო პროცესის გამოყენება

გამოცდილებამ აჩვენა, რომ არსებული კანონები - რომლებიც, ჩვეულებრივ, ჰუმანიტარული კრიზისების გათვალისწინებით არ არის შექმნილი - ხშირად ვერ ახერხებს იძულებითი გადაადგილებით გამოწვეული პრობლემების სათანადოდ გადაჭრას:

- არსებულ კანონებს აქვს ხარვეზები და არ ითვალისწინებს იგპ-თა საჭიროებებსა და მოწყვლადობას (მაგალითად, ზოგიერთი კანონი არ ითვალისწინებს საკვების განაწილებას, საცხოვრებელი უზრუნველყოფას, ან ეროვნულ დონეზე იგპ-თან დაკავშირებული საკითხების კოორდინირების მექანიზმებს).
- ზოგიერთი კანონი, რომლებიც სხვაგვარად სათანადოდ მიიჩნევა, იძულებით გადაადგილებულ პირებს პრობლემებს უქმნის მათი უფლებების განხორციელებისას (მაგალითად, როდესაც საზოგადოებრივ მომსახურებაზე და ქონების აღდგენაზე ხელმისაწვდომობისთვის დოკუმენტებია საჭირო).

აქედან გამომდინარე, იგპ-თა შესახებ ეროვნული კანონის შემუშავება სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს. მას შეუძლია უზრუნველყოს იგპ-თა უკეთესი დაცვა და დახმარება და იმავდროულად ხელი შეუწყოს ამგვარი დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ქვეყნის მიერ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებას.

#### კამპალას კონვენციის ჩართვა შიდასახელმწიფო სამართალში

კამპალას კონვენცია ხაზგასმით მიუთითებს იგპ-თა დაცვის გათვალისწინებას ეროვნულ კანონმდებლობაში და ამას წევრ სახელმწიფოებს ვალდებულების სახით აკისრებს.

#### მუხლი 3(2)

*მონაწილე სახელმწიფოები:*

ა. ამ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს ასახვენ შიდასახელმწიფო კანონმდებლობაში, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის და მათთვის დახმარების გაწევის შესახებ სათანადო კანონმდებლობის მიღების ან არსებული შესწორების მეშვეობით, საერთაშორისო სამართლის საფუძველზე მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

#### მუხლი 12(2)

*მონაწილე სახელმწიფოები, საჭიროების შემთხვევაში, ქმნიან ეფექტურ სამართლებრივ ჩარჩოს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გადაადგილებით მიყენებული ზიანის კანონიერი და სამართლიანი კომპენსაციის და ანაზღაურების სხვა ფორმების უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.*

იგპ-თა შესახებ კანონის შემუშავებისას და მიღებისას პარლამენტარებმა უნდა შეასრულონ როგორც ინდივიდუალური, ისე მათი ინსტიტუციური როლი. ისინი ერთი მხრივ არიან მათი ამომრჩევლების წარმომადგენლები, ხოლო, მეორე მხრივ - კანონშემოქმედებითი ორგანოსი. ისინი იმავდროულად შეიძლება იყვნენ საპარლამენტო კომიტეტების წევრები ან სამინისტროს წარმომადგენლები. პარლამენტის წევრებს კარგად უნდა ესმოდეთ განსხვავება იმ როლებს შორის, რომლებსაც ისინი სხვადასხვა სტატუსით ასრულებენ. ქვემოთ მოცემულ ცხრილში განხილულია როლები, რომლებსაც ჩვეულებრივ პარლამენტარები და საპარლამენტო ორგანოები ასრულებენ.

**პარლამენტარების, საპარლამენტო კომიტეტებისა და პარლამენტების როლი საკანონმდებლო პროცესში**

ფაზა	პარლამენტარები	საპარლამენტო კომიტეტები	პარლამენტები
კანონმდებლობის მომზადება/პოლიტიკის შემუშავება	<ul style="list-style-type: none"> <li>კანონპროექტის მომზადება ან განხილვა;</li> <li>თანამშრომელთა ხელმძღვანელობა კანონპროექტის მომზადებისას</li> <li>კავშირების დამყარება სამოქალაქო საზოგადოებასთან და ჩართულ სუბიექტებთან</li> <li>რეფორმისთვის პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>არსებულ კანონმდებლობაში ხარვეზების დადგენა;</li> <li>კავშირი სამოქალაქო საზოგადოებასთან</li> </ul>	ფაქტობრივად არაფერი
კანონმდებლობის მიღების პროცესი	<ul style="list-style-type: none"> <li>კანონპროექტის წარდგენა</li> <li>კანონპროექტის განხილვა</li> <li>კანონპროექტში შესწორებების მომზადება და წარდგენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>უკვე არსებული კანონების გადასინჯვა და მათში შესწორებების შეტანა</li> <li>კანონპროექტების შეფასება უკვე არსებული კანონების/საერთაშორისო სტანდარტების მიმართებაში</li> </ul>	კანონპროექტის განხილვა და მისი მიღება კანონის სტატუსით
კონსულტაციები და ცნობიერების ამაღლება	<ul style="list-style-type: none"> <li>ამომრჩევლისაგან / სამოქალაქო საზოგადოებისაგან კორესპონდენციების მიღება და მათთან შეხვედრები</li> <li>კონსულტაციების შესახებ ანგარიში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ზეპირი წინადადებების მოსმენა;</li> <li>წერილობითი წინადადებების მიღება;</li> <li>კონსულტაციების შესახებ ანგარიში</li> </ul>	ფაქტობრივად არაფერი
იმპლემენტაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>ამომრჩევლებთან შედეგების განხილვა;</li> <li>სამინისტროების მიმართვა ან მონიტორინგი, რომლებზედაც შეიძლება დეპუტატები პასუხისმგებელი იყვნენ</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეკითხვების სესიის მოწყობა, როდესაც პარლამენტი ახორციელებს ასეთ მიმართვას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეკითხვების სესიის ინიცირება;</li> <li>სამოქმედო გეგმის, პოლიტიკის ან სტრატეგიების დამტკიცება</li> </ul>
მინიტორინგი და ზედამხედველობა	<ul style="list-style-type: none"> <li>ბიუჯეტების მომზადება ან გადასინჯვა;</li> <li>ამომრჩევლებთან კონტაქტი;</li> <li>სათანადო ანგარიშების მიღება და განხილვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ბიუჯეტების და ანგარიშების მომზადება ან განხილვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>საბიუჯეტო ასიგნებების დამტკიცება და გადასინჯვა;</li> <li>ანგარიშების მიღება და დებატები</li> </ul>

როგორც ქვემოთ იხილავთ (იგპ-თა შესახებ კანონის შემუშავების პროცესის მთავარი აქტორები), პარლამენტის წევრები შეიძლება პირდაპირ არ იყვნენ ჩართულნი კანონპროექტის შექმნაში ან პოლიტიკის განსაზღვრაში (კერძო პირთა კანონპროექტის შემთხვევის გარდა), თუმცა, პარლამენტარები, ყოველთვის აქტიურად იქნებიან ჩართულნი ამ პროცესის შედეგების განხილვაში: პოლიტიკის დოკუმენტისა და კანონპროექტის. ეს თავი მიზნად ისახავს პარლამენტარებს გააცნოს ამ პროცესის მიმდინარეობა და ის ელემენტები, რომლებსაც ეს დოკუმენტები უნდა მოიცავდეს.

**ეროვნული ჩარჩო, კანონები, პოლიტიკა, სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები: რა განსხვავებაა მათ შორის?**

ეროვნული ჩარჩო არის კანონების, პოლიტიკის, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ერთობლიობა, რომელიც აყალიბებს სახელმწიფოს რეაგირებას იძულებით გადაადგილებაზე.

კანონები (აქტები, დეკრეტები, ბრძანებულებები და ა.შ.) უნდა ქმნიდეს ეროვნული ჩარჩოს ხერხემალს და ისინი რეაგირების ყველაზე ხელსაყრელ საშუალებებს წარმოადგენს:

- ინსტიტუციური სტრუქტურა
- უფლებების აღიარება
- საკუთრებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საშუალებები
- სამართლისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების არსებობა
- დაფინანსების მექანიზმები
- სისხლის სამართლის დარღვევები

კანონები, რომელთა ძალაში შესვლას ხანგრძლივი დრო სჭირდება, იძულებითი გადაადგილების სასწრაფო და გადაუდებელი სიტუაციების დროს ჩვეულებრივ ვერ გამოიყენება. კანონების ამოქმედება პარლამენტის მიერ ხდება.

პოლიტიკის შემუშავება შეიძლება წინ უსწრებდეს კანონმდებლობას, ან ემსახურებოდეს კანონების განხორციელებას მათი ამოქმედების შემდეგ. ისინი ხშირად დაკავშირებულია:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესებთან და მხედველობაში მისაღებ ინდიკატორებთან და ფაქტორებთან;
- საკოორდინაციო მექანიზმებთან, ანუ არხებთან, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად;
- სამოქმედო სახელმძღვანელო პრინციპებთან და პროცედურებთან.

პოლიტიკის შემუშავება ჩვეულებრივ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ხდება, ხოლო პარლამენტი მას ამტკიცებს. სტრატეგიები აყალიბებს მიზნებს, ამოცანებსა და მოსალოდნელ შედეგებს, რასაც ეფუძნება სათანადო დოკუმენტები (კანონები, პოლიტიკის კონცეფციები და გეგმები). სტრატეგიები ქმნის „ღუზას“ იძულებით გადაადგილებაზე რეაგირებისთვის. სტრატეგიებს, ჩვეულებრივ, აღმასრულებელი ორგანოები ქმნის. ზოგ შემთხვევაში მათ პარლამენტი ამტკიცებს.

სამოქმედო გეგმები დაკავშირებულია განხორციელებასთან. ისინი განსაკუთრებით კარგად შეესაბამება სასწრაფო, გადაუდებელ სიტუაციებს, თუმცა იგპ კანონების აღსრულებისთვისაც გამოიყენება. სტრატეგიებში დადგენილია კონკრეტული მოვალეობები და ამოცანები, რომელთა შესრულებაც მოცემულ სიტუაციაში სხვადასხვა სუბიექტებს ევალებათ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე. სამოქმედო გეგმებს, ჩვეულებრივ, სამთავრობო დეპარტამენტები ადგენენ.



## კანონმდებლის როლი იძულებით გადაადგილებაზე ეროვნული რეაგირების სისტემაში

იძულებით გადაადგილებაზე რეაგირების ეროვნული ჩარჩოს შემუშავება რთული პროცესია და მისი ყველა კომპონენტი სამართალთან არ არის დაკავშირებული. გამოცდილება უჩვენებს, რომ საუკეთესო შიდასახელმწიფო ჩარჩო არის სხვადასხვა ტიპის მექანიზმების სინთეზი: კანონების, პოლიტიკის, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების. ამიტომ, პარლამენტის წევრებმა უნდა იცოდნენ, როგორ შეიძლება იგპ-თა კონტექსტში კანონმდებლობის საუკეთესო გზით გამოყენება.

კანონმდებლობის მომზადების ან გადასინჯვის დროს პარლამენტის წევრებს უნდა ახსოვდეთ იგპ კანონის მთავარი ამოცანები:

- იგპ-თა უფლებებისთვის მკაფიო ბაზისის ჩამოყალიბება;
- ინსტიტუციური ორგანოს და მთლიანი პასუხისმგებლობის განსაზღვრა, რათა აქტორებს შორის ეფექტიანად განაწილდეს შრომა, კოორდინაცია და ანგარიშვალდებულება.
- ეროვნული ჩარჩოს განხორციელებაში ჩართული აქტორებისთვის (სამთავრობო დეპარტამენტები, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, ჰუმანიტარული და განვითარების ორგანიზაციები) მკაფიო და ნათელი ამოცანების დასახვა. აქტორებისთვის, რომლებიც სახელმწიფოსთან ერთად მოქმედებენ, ნათელი უნდა იყოს, თუ რას ელოდებიან მთავრობისაგან, რათა მათ ეფექტიანად განახორციელონ დაცვისა და დახმარების აქტივობები.
- ფინანსირების უზრუნველყოფა.

პარლამენტარებმა, რომლებიც იგპ-თა შესახებ კანონზე მუშაობენ, უნდა განსაზღვრონ ერთი ყოვლისმომცველი კანონის მიღება სჯობს თუ რეფორმებთან დაკავშირებული ცვლილებების შეტანა უკვე არსებულ კანონებში. ამ საკითხის გადაწყვეტა უმჯობესია მოხდეს პოლიტიკის შექმნისა და პროექტის შემუშავების ეტაპზე, თუმცა, პარლამენტარებს, უმრავლეს შემთხვევაში, შეუძლიათ მოახდინონ კომბინირება, ან მოთხოვნის შესაბამისად დაეყონ კანონები. ამიტომ, პარლამენტის წევრებმა უნდა იცოდნენ თითოეული მიდგომის უარყოფითი და დადებითი მხარეები.

- ერთი ყოვლისმომცველი დოკუმენტი შეამცირებს ხარვეზების ალბათობას და გაამარტივებს პოლიტიკის შემუშავებას, რადგან ყველა საკითხის მოგვარება ცენტრალური დონიდან ხდება. საჭირო იქნება დამატებითი მუშაობა, რომელიც მოითხოვს ეროვნული აქტორების ჩართვას, რომლებიც შესაძლოა არ იყვნენ ჩართული პოლიტიკის შემუშავების პროცესში.
- საკანონმდებლო რეფორმის გატარება რამდენიმე კანონში დეპარტამენტების დონეზე დაგროვილი გამოცდილების უკეთ გამოყენების საშუალებას იძლევა და ამარტივებს პოლიტიკური კაპიტალის უზრუნველყოფას. თუმცა, მან შეიძლება გაართულოს კოორდინაცია და განხორციელების ფოკუსი არ დაემთხვეს იგპ-თვის დაგეგმილ შედეგებს.

უმჯობესია გამოყენებული იქნეს შერეული მეთოდი, რომლის დროსაც ძირითადი პრინციპები და ინსტიტუციური სტრუქტურები ცენტრალურ

დონეზე განსაზღვრული, ხოლო კანონმდებლობა გამოიყენება იქ, სადაც საჭიროა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საუკეთესო შედეგების უზრუნველყოფა. მაგალითად, საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორგანო შეიძლება დაკონკრეტებული იყოს იგპ კანონში, მაგრამ შეიძლება ცალკე კანონი შეიქმნას (ან შესწორდეს) საცხოვრებლის შესახებ, სადაც უფრო კონკრეტულად იქნება აღწერილი პასუხისმგებელი სამინისტროს როლი. ანალოგიურად, ზოგ ქვეყანაში, დანაშაული შეიძლება განისაზღვროს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რომელიც ასევე სისხლის სამართლის პროცესსაც უზრუნველყოფს. დამატებითი ინფორმაცია საკანონმდებლო მიდგომების შესახებ შეიძლება იხილოთ პუბლიკაციაში „პრაქტიკოსთა სახელმძღვანელო“.<sup>1</sup>

## პარლამენტის ფუნდამენტური ვალდებულება

ქვეყნებში, სადაც იძულებითი გადაადგილება ხდება, მნიშვნელოვანია მოხდეს შექმნილი პრობლემისა და რეაგირებაზე ქვეყნის პასუხისმგებლობის ოფიციალურად აღიარება, საკანონმდებლო პროცესის მეშვეობით. ამგვარი აღიარება შეიძლება გახდეს იგპ-თა შესახებ კანონის წინამორბედი ან მისი განუყოფელი ნაწილი. აღიარების სხვადასხვა ფორმა არსებობს, მაგრამ ყველაზე ეფექტური იქნება პარლამენტის მიერ გაკეთებული დეკლარაცია ან განცხადება. თუ კონსტიტუციური წყობა ამის საშუალებას იძლევა, ასეთი განცხადების გაკეთება შეუძლიათ მინისტრებს ან პარლამენტის წევრებს, რომელთა ელექტორატიც განსაკუთრებით დაზარალებულია შექმნილი სიტუაციის შედეგად. განცხადება უნდა იყოს მკაფიო და იგი იძულებით გადაადგილებას არ უნდა ასახავდეს პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე. იგი უნდა აღიარებდეს:

- ქვეყანაში იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის არსებობას (თუკი გადაადგილება ჭეშმარიტად მოხდა);
- იგპ-თა უფლებებს, თითოეული უფლების კონკრეტული აღწერით;
- იძულებით გადაადგილებაზე რეაგირების მნიშვნელობას, მისი ეროვნულ პრიორიტეტად გამოცხადებით.

## აღმასრულებელი შტოს მიერ მომზადებული ეროვნული პოლიტიკის ან სტრატეგიების დამტკიცება პარლამენტის მიერ

აღმასრულებელ ორგანოს (ან მთავრობას) შეუძლია შეიმუშავოს ეროვნული სტრატეგია ან პოლიტიკა იძულებით გადაადგილებაზე რეაგირებისთვის. იგი შეიძლება იყოს იგპ-თა შესახებ კანონის შემცველი, მისი წინამორბედი, ან შემავსებელი. ამ პროცესში პარლამენტის წევრებიც ერთვებიან, ვინაიდან ეროვნული სტრატეგია ან პოლიტიკა პარლამენტის მხრიდან დამტკიცებას მოითხოვს, რაც მნიშვნელოვანი საპარლამენტო ვალდებულებაა იძულებით გადაადგილებაზე რეაგირების თვალსაზრისით. მთავრობის პოლიტიკის ან სტრატეგიის განხილვისას პარლამენტარებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იგი:

- დაკავშირებული იყოს და ეფუძნებოდეს სახელმძღვანელო პრინციპებს;
- აღიარებდეს (სასურველია, ჩამონათვალის სახით) იგპ-თა ადამიანის უფლებებს;
- მკაფიოდ ანაწილებდეს პასუხისმგებლობებს სათანადო აქტორებს შორის;

<sup>1</sup> [www.internal-displacement.org/idmc/website/resources.nsf](http://www.internal-displacement.org/idmc/website/resources.nsf)

- ❖ მოიცავდეს - როდესაც იძულებითი გადაადგილება უკვე მიმდინარეობს - გადაუდებელ ღონისძიებებს იგპ-თა საჭიროებებსა და მოწყვლადობაზე რეაგირების მიზნით.

ეროვნული სტრატეგია და პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს:

- გადაადგილების გამომწვევი მიზეზების პრევენციას;
- იგპ-თა დაცვასა და მათთვის დახმარების გაწევას იძულებითი გადაადგილების საწყისი ეტაპიდანვე;
- გრძელვადიანი გადაწყვეტილების მიგნებას.

ეროვნული პოლიტიკის ან სტრატეგიის შინაარსთან ასევე დაკავშირებულია მეოთხე თავი, სადაც აღწერილია იგპ კანონის ელემენტები.

### კონსულტაციები საკანონმდებლო პროცესის განმავლობაში

რეალური და ინტენსიური კონსულტაციები უკეთესი კანონების მიღების საწინდარია. ისინი ხელს უწყობს უფრო დეტალური და, მოქმედების თვალსაზრისით, ეფექტიანი ჩარჩოს ჩამოყალიბებას, რომელიც შემდგომ ყველა ჩართულ მხარეს “დააკმაყოფილებს”. პარლამენტარებმა საზოგადოებასთან უნდა აწარმოონ, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური კონსულტაციები:

- ❖ არაფორმალური კონსულტაციები უნდა ჩატარდეს მთელი საკანონმდებლო პროცესის განმავლობაში, და იგი რაც უფრო ადრეულ ეტაპზე დაიწყება, მით უფრო ეფექტიანი იქნება. იდეალურ შემთხვევაში იგი უნდა დაიწყოს პარლამენტში კანონპროექტის წარდგენამდე. ამგვარი არაფორმალური კონსულტაციების ჩატარების მეთოდები მეხუთე თავშია აღწერილი.
- ❖ ფორმალური კონსულტაციები საპარლამენტო პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომლებსაც, ჩვეულებრივ, საპარლამენტო კომიტეტები ატარებენ, რის გამოც ისინი საკომიტეტო პროცედურებს ექვემდებარება და პროცესს გარკვეულწილად ზღუდავს. ამიტომ, ფორმალური კონსულტაციები არ უნდა ჩაენაცვლოს არაფორმალურ კონსულტაციებს. პარლამენტარებს, რომლებიც ამ კომიტეტების წევრები არიან, რამდენიმე კონკრეტული როლის შესრულება შეუძლიათ:
  - სრულად გაეცნონ კანონპროექტს და პოლიტიკის შემუშავების პროცესს იმ მომენტისთვის;
  - კონსულტაციაში ჩართული მხარეები, ქალი და მამაკაცი იგპ-თა ჩათვლით, უზრუნველყონ საკმარისი ინფორმაციით (მათ შორის, კანონპროექტით), რათა მათ აქტიური წვლილი შეიტანონ დისკუსიაში;
  - წაიკითხონ წერილობით წარმოდგენილი წინადადებები და გააანალიზონ თუ როგორ უკავშირდებიან ისინი კანონპროექტს;
  - იქ, სადაც პროცედურა ამის საშუალებას იძლევა, მოიწვიონ მთავარი დაინტერესებული მხარეები (მაგალითად, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები, დაზარალებული თემები, და ა.შ.) ზეპირი განცხადებების გაკეთების ან ჩვენებების მიცემის მიზნით;
  - შეკითხვები დაუსვან ასეთ მოწმეებს ზეპირი მოსმენის დროს, რათა:
    - კომიტეტის ყველა წევრი გაეცნოს მათ პოზიციებსა და ინტერესებს;
    - მოწმეებს მისცენ საკმარისი საშუალება თავიანთი მოსაზრებების

გამოსახატად.

- პარლამენტის წევრებმა ყოველთვის პატივი უნდა სცენ გამოხატულ შეხედულებებსა და წარმოთქმულ წინადადებებს, უნდა განიხილონ ისინი რეალურად და სამართლიანად.

### პოლიტიკის შემუშავება და მომზადება

პოლიტიკის შემუშავება ეფუძნება კვლევებს, ანალიზსა და კონსულტაციებს და იგი საბოლოოდ კანონმდებლობაში აისახება, რასაც წინ უსწრებს მომზადების პროცესი. როგორც ზემოთ განვიხილეთ, პოლიტიკის შემუშავება არ უნდა აგვირიოს პარლამენტის მიერ „ეროვნული პოლიტიკის“ დამტკიცებაში, ანუ მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში, სადაც აღწერილია ამ უკანასკნელის მიდგომა იძულებითი გადაადგილებისადმი. კანონმდებლობის მომზადებისას პოლიტიკის შემუშავება ჩვეულებრივ სამინისტროების ამოცანაა. იგპ კანონმდებლობის შემთხვევაში ამ პროცესს ხშირად ხელმძღვანელობს ან კოორდინირებს უწევს იუსტიციის სამინისტრო ან შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ამ პოლიტიკის მთავარი კომპონენტია არსებული კანონების გადასინჯვა, რათა მოხდეს ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უშლის იგპ-თა დაცვასა და დახმარებას. ასევე უნდა შემოწმდეს, რამდენად შეესაბამება არსებული კანონები საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებს იძულებითი გადაადგილების შესახებ. სულ მცირე, განხილული უნდა იქნეს შემდეგი კანონები:

- ❖ ნებისმიერი საკონსტიტუციო დოკუმენტი ან ადამიანის უფლებათა კანონმდებლობა;
- ❖ კატასტროფების მართვასთან და ჰუმანიტარულ კრიზისებთან დაკავშირებული კანონმდებლობა;
- ❖ მიწის სამართლის, საკუთრების უფლებებისა (უმრავი, პირადი და მოძრავი საკუთრების) და საცხოვრებელი უზრუნველყოფის უფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა;
- ❖ დაბადებასთან, გარდაცვალებასთან, ქორწინებასთან და მოქალაქეობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პოლიტიკა;
- ❖ სასამართლო პროცედურები ან რეგულაციები;
- ❖ სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობა;
- ❖ კანონი პოლიციის შესახებ, სამხედრო კოდექსი ან ოპერატიული პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც სამხედროებისა და პოლიციის მიერ ძალის გამოყენებასთანაა დაკავშირებული;
- ❖ საკვანძო სოციალურ მომსახურებასთან (მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვასთან და განათლებასთან) დაკავშირებული კანონმდებლობა ან პოლიტიკა;
- ❖ სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან, საჭიროების შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეები და პრეცედენტები.

პოლიტიკის შემუშავების ძირითადი ტვირთი ზოგადად სამთავრობო დეპარტამენტებს აწევს, მაგრამ პარლამენტარები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შემდეგ საკითხებში:



- პარლამენტის წევრებს რომლებიც კერძო პირების კანონპროექტებს წარადგენენ, შესაძლოა მოუწიოთ პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართვა;
- პარლამენტარები, როგორც შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტების წევრები, კრიტიკულად აფასებენ სამთავრობო დეპარტამენტების/ მინისტრების (და სხვა პარლამენტარების) მიერ შემუშავებულ პოლიტიკას;
- პარლამენტის წევრები მონაწილეობენ დებატებში კანონპროექტის შესახებ, რაც მათ საშუალებას აძლევს დაადგინონ, რამდენად არის პოლიტიკის განვითარება ასახული ტექტში;
- კანონპროექტის განხილვისას პარლამენტის წევრებმა უნდა უზრუნველყონ პოლიტიკის შემუშავების პროცესის სათანადოდ წარმართვა და ყველა ჩართული მხარის ინტერესების გათვალისწინება;
- პარლამენტის წევრებთან შეიძლება შეხვედრა მოისურვონ ჩართულმა მხარეებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და დაზარალებულმა მოსახლეობამ და კანონპროექტის განმარტება მოითხოვონ.

პოლიტიკაზე დაფუძნებული კანონმდებლობის შექმნა ჩვეულებრივ მთავრობის წარმომადგენლებს ევალებათ. პარლამენტის წევრები სავარაუდოდ დაწერის პროცესში არ მონაწილეობენ. განხილვის პროცესი პარლამენტარებმა უნდა წარმართონ, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მათ აკმაყოფილებდეთ, თუ როგორ არის ასახული არსებულ კანონებში იგპ-თა სპეციალური საჭიროებები და მათი მოწყვლადობა. მათ უნდა შეძლონ პასუხის გაცემა შემდეგ შეკითხვებზე:



ალ-მიტაქის სკოლაში, ალ-კავდის ბადერის უბანში, მოსწავლეები საკლასო ოთახებს დაუბრუნდნენ. აბიანში დაბრუნებულნი (იემენი).

- აკმაყოფილებენ არსებული კანონები იგპ-თა სპეციალურ საჭიროებებს?
- იცავენ ისინი სათანადოდ იგპ-თა უფლებებს?
- თუ არა, რა ხარვეზები და ნაკლოვანებები აქვთ?
- ხომ არ უქმნიან არსებული კანონები ან პოლიტიკა მოუქნელ ადმინისტრაციულ პროცედურებს ან სხვა დაბრკოლებებს იძულებით გადაადგილებულ პირებს მათი უფლებების განხორციელებაში?
- არის თუ არა უზრუნველყოფილი იგპ-თა ეფექტური დაცვა და დახმარება იძულებითი გადაადგილების პერიოდში?
- თუკი იგპ-თა მხარდამჭერი კანონმდებლობა და პოლიტიკა უკვე არსებობს, ხდება კი მათი ეფექტური განხორციელება?
- თუ არა, რა ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ოპერაციული დაბრკოლებები უშლის ხელს მათ განხორციელებას?

პარლამენტარებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იგპ-თა შესახებ კანონი ითვალისწინებდეს კანონმდებლობის სხვა ელემენტებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული წინააღმდეგობა და უზრუნველყოფილი იქნეს ამ ელემენტთა ურთიერთთავსებადობა. მაგალითად, პარლამენტარებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იგპ-თა შესახებ ნებისმიერი კანონი ითვალისწინებდეს მნიშვნელოვან კავშირს კატასტროფების მართვასა და იგპ-თა დაცვასა და დახმარებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ კატასტროფების მართვის შესახებ კანონის შემუშავება დამოუკიდებელი და მნიშვნელოვანი საკანონმდებლო პროცესია, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ეს კავშირი და უზრუნველყოფილი იქნეს ორივე სფეროს კანონმდებლობის ურთიერთშემავსებელი ბუნება.

### იგპ-თა შესახებ კანონის შემუშავების პროცესის მთავარი აქტორები

პოლიტიკის შემუშავებაში მთელი რიგი აქტორები ერთვებიან, ხოლო პარლამენტის წევრებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ თითოეული მათგანის როლი. ასეთ აქტორებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ პარლამენტარებს პოლიტიკის შემუშავების პროცესში, უმრავლეს შემთხვევაში კი იგპ კანონმდებლობის განხორციელებაშიც იღებენ მონაწილეობას. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, პარლამენტარებმა უნდა იცოდნენ, ვინ რას აკეთებს, რა მანდატის ან უფლებამოსილების საფუძველზე, და სად შეიძლება მიღწეული იქნეს შესაძლებლობებისა და ქმედითობის გაუმჯობესება. ამ ცოდნის საფუძველზე ჩამოყალიბდება როლები და მოვალეობები, და კოორდინაცია - როგორც იგპ კანონის ნაწილი.

ამ სფეროში კარგი დახმარების გაწევა შეუძლიათ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, რომლებსაც აქვთ მდიდარი გამოცდილება ადამიანის უფლებათა სფეროში და მჭიდრო კონტაქტები სამოქალაქო საზოგადოებასთან. მათ უნარი შესწევთ შეაფასონ ქვეყნის მზადყოფნა იგპ-თა საკითხებზე რეაგირების თვალსაზრისით. კონკრეტულად, მათ შეუძლიათ:

- დახმარება გაუწიონ კანონმდებლობის ან ცვლილებების შემუშავებაში, კანონპროექტებზე კომენტარების მომზადებაში, დაცვისა და დახმარების მექანიზმების შეთავაზებაში, კონკრეტული მოწყვლადობისა და საჭიროებების განსაზღვრაში, და სიტუაციის შესახებ მონაცემების შეგროვებასა და შეფასებაში.
- შეაფასონ და კომენტარები მოამზადონ ოპერატიულ საკითხებზე,

პრიორიტეტების გამოკვეთის, დაფინანსებისა და ხელმისაწვდომობის ჩათვლით; განსაზღვრონ დაცვისა და დახმარების რომელი მექანიზმია არაქმედითი;

- რჩევები მისცენ პარლამენტს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებებისა და დეკლარაციების სტატუსის შესახებ (რეატიფიცირების, დათქმების და სხვა თვალსაზრისით). ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს ასევე შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ხელისუფლებას სახელმწიფოებო ორგანოებისა და ადამიანის უფლებათა საბჭოს რეკომენდაციების შესრულებაში, რაც საყოველთაო პერიოდული განხილვის ელემენტია.

იგპ-თა შესახებ კანონის განხორციელებაში მრავალი აქტორი იქნება ჩართული და მათ პოლიტიკის შემუშავების პროცესში უნდა მიიღონ მონაწილეობა. ეს აქტორები არიან:

- სამთავრობო დეპარტამენტები, მათ შორის:
  - იუსტიციის სამინისტრო;
  - ჯანმრთელობის სამინისტრო;
  - შრომის სამინისტრო;
  - ჰუმანიტარული დახმარების/ლტოლვილთა საკითხების სამინისტრო;
  - სოციალურ საქმეთა სამინისტრო;
  - შინაგან საქმეთა სამინისტრო;
  - განათლების სამინისტრო;
  - ადგილობრივი/მუნიციპალური ხელისუფლება;
  - ეროვნული და ადგილობრივი/მუნიციპალური პოლიცია;
  - შეიარაღებული ძალები;
  - სასამართლო;
  - პრემიერ მინისტრის/პრეზიდენტის/სახელმწიფო მეთაურის ოფისები;
  - ქვეყანაში მოქმედი ჰუმანიტარული, ადამიანის უფლებათა და განვითარების ორგანიზაციები;
  - ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტ(ებ)ი ან ომბუდსმენები;
  - საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული კომიტეტები.

იქ, სადაც იძულებითი გადაადგილება მიმდინარეობს, პარლამენტის წევრებმა ასევე უნდა უზრუნველყონ პოლიტიკის შემუშავების პროცესში დაზარალებული მოსახლეობის ჩართვა. ეს ჯგუფები მოიცავს:

- თვით იძულებით გადაადგილებულ პირებს, როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს;
- იგპ-თა წარმომადგენლებს, როგორც ინდივიდუალურ პირებს, ისე ჯგუფებს, რომლებიც დაკავშირებული არიან იგპ-თან, ან წარმოადგენენ/ეხმარებიან იგპ მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებს (მაგალითად, ქალებს, და ა.შ.).
- მიმღები თემები და მათი წარმომადგენლები.

პარლამენტის წევრებმა ხელი უნდა შეუწყონ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ჩართვას საკანონმდებლო პროცესში, პირადად უნდა უზრუნველყონ მათთან კავშირი, მიიწვიონ ისინი საპარლამენტო კომიტეტების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად და ყურადღებით განიხილონ მათი რეკომენდაციები და რჩევები.

ანალიტიკური და სამოქმედო თვალსაზრისით ასევე დახმარების გაწევა შეუძლიათ ქვეყანაში მოქმედ ჰუმანიტარულ და განვითარების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებს, რომლებიც ხშირად ასრულებენ მსგავს საქმიანობას ადმინისტრაციული და სამართლებრივი პროცესებისთვის. ასეთი ორგანიზაციაა:

- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი (UNHCR);
- გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF);
- გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR);
- გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა საკოორდინაციო ოფისი (OCHA);
- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP);
- გაეროს კატასტროფების რისკის შემცირების ოფისი (UNISDR);
- მსოფლიო სასურსათო პროგრამა (WFP);
- მსოფლო ბანკი და რეგიონული განვითარების ბანკები;
- წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC); და/ან წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთავარის საერთაშორისო ფედერაცია (IFRC);
- ნებისმიერი სამშვიდობო ან პოლიტიკური მისია, რომელიც ქვეყანაში მოქმედებს;
- ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დაზარალებულ მოსახლეობასთან მუშაობენ, კარგ სამსახურს გაუწევენ რეფორმის მიმდინარეობას.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი (UNHCR) ის ძირითადი ინსტიტუტია, რომელიც სახელმწიფოებს დახმარებას უწევს იძულებითი გადაადგილების შესახებ ეროვნული სისტემების შემუშავებაში. ოფისი მსოფლიოს ყველა კუთხეში მრავალ ოპერაციას ახორციელებს იგპ-თან მიმართებაში. მას უნარი შესწევს კონსულტაცია გაუწიოს სახელმწიფოებს იგპ კანონმდებლობის საკითხებზე და დაეხმაროს მათ ამ პროცესის წარმართვაში, ასევე შესთავაზოს მათ სხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითები. გარდა ამისა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი, რომელიც წამყვან როლს ასრულებს დახმარების მიწოდებაში ჯგუფში, თავის გამოცდილებას უზიარებს მათ და სხვა ჯგუფებსაც, რომლებიც იგპ-თა შესახებ კანონმდებლობის შექმნაზე მუშაობენ. დახმარების მიწოდებაში ჯგუფს შეუძლია შექმნას კარგი ფორუმი კონსულტაციებისთვის პოლიტიკის შემუშავებისა და კანონპროექტის შექმნის საკითხებზე. მაგალითად, კენიაში, სამართლებრივი დაცვის სამუშაო ჯგუფმა (დახმარების მიწოდებაში ჯგუფის ერთ-ერთი გავრცელებული სახელწოდება) და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისმა (როგორც ამ ჯგუფის წევრმა), დიდი წვლილი შეიტანეს იგპ-თა შესახებ კენიის 2012 წლის აქტის მიღებაში. დამატებითი ინფორმაცია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისისა და სხვა საერთაშორისო აქტორთა შესახებ იხ. ქვემოთ, განყოფილებაში „სასარგებლო წყაროები“.





იძულებით გადაადგილებული როჰინგიელები სამედიცინო დახმარების რიგში დგანან რვაისაიდის ლტოლვილთა პატარა ბანაკში; მიანმარი, რახინეს შტატი

იძულებითი გადაადგილების შესახებ ეროვნული სისტემის შექმნაში აგრეთვე მონაწილეობს იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების სპეციალური მომხსენებლის ოფისი, რომელსაც ამ სფეროში დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი. სპეციალური მომხსენებლის მონაწილეობის საკითხი ჩვეულებრივ მთავრობის ან აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა, თუმცა, პარლამენტარებმა, რომლებიც მინისტრები არიან ან სხვაგვარად აქვთ კავშირი მთავრობასთან, უნდა განიხილონ სპეციალური მომხსენებლის ოფისთან შეხვედრის საკითხი. მათ უნდა განიხილონ მათი ტექნიკური ექსპერტიზის გამოყენების შესაძლებლობა იგპ კანონმდებლობის შემუშავების პროცესში. დამატებითი ინფორმაცია სპეციალური მომხსენებლისა და სხვა შესაბამის საერთაშორისო აქტორთა შესახებ იხ. ქვემოთ, განყოფილებაში „სასარგებლო წყაროები“.

## თავი მეორე: რეზიუმე და სამოქმედო საკითხები

პარლამენტის წევრებს შეუძლიათ მრავალი სხვა ფუნქციაც შეასრულონ იგპ კანონმდებლობის შემუშავების პროცესში, როგორც დეპუტატებმა და როგორც შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტების წევრებმა. იგპ-თა ეროვნული ჩარჩო უნდა მოიცავდეს სხვადასხვა დოკუმენტებს, რომლებსაც განამტკიცებს ძლიერი იგპ კანონი.

- ✓ პარლამენტარებმა უნდა იცოდნენ ყველა ის ფუნქცია, რომლებსაც ასრულებს კანონები, პოლიტიკა, სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები. მათ უნდა გადაწყვიტონ ამ დოკუმენტთაგან რომელი შეესაბამება ყველაზე უკეთ მათ ეროვნულ სიტუაციას.
- ✓ პარლამენტარებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი იგპ კანონი შეიცავდეს, სულ მცირე, დებულებებს იგპ-თა უფლებების აღიარებისა და მასთან დაკავშირებული ინსტიტუციური სტრუქტურისა და დაფინანსების სქემების შესახებ.

იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებისთვის და პრობლემების გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია პარლამენტართა ძალისხმევა. მათი მონაწილეობა ასევე აუცილებელია იგპ-თა შესახებ კანონმდებლობის წარმატებული შემუშავების უზრუნველსაყოფად.

- ✓ პარლამენტარებმა უნდა მოამზადონ საჯარო განცხადება იძულებითი გადაადგილების შესახებ, ან სახელმწიფოს მიერ მისი აღიარების შესახებ.
- ✓ პარლამენტარებმა დეტალურად უნდა განიხილონ იგპ-თან დაკავშირებული ნებისმიერი პოლიტიკა და სტრატეგია, რომლებიც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მოამზადა და პარლამენტს წარუდგინა დასამტკიცებლად.

ძალზე მნიშვნელოვანია კონსულტაციები, რომლებიც საკანონმდებლო პროცესითაა გათვალისწინებული, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია არაფორმალური კონსულტაციები.

- ✓ არაფორმალური კონსულტაციები პარლამენტარებმა რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა დაიწყონ (იხ. მეოთხე თავი).
- ✓ პარლამენტარებმა, ისევე როგორც საპარლამენტო კომიტეტების წევრებმა, ყურადღებით უნდა განიხილონ ყველა შემოსული წინადადება და გაითვალისწინონ ისინი თავიანთ დასკვნებში.

პოლიტიკის შემუშავება არის იგპ კანონმდებლობისთვის იდეებისა და გადაწყვეტილების მიების პროცესი. პარლამენტის წევრები პოლიტიკის შემუშავებაში უშუალოდ ვერ ჩაერთვებიან, მაგრამ მათ კარგად უნდა იცოდნენ, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა პოლიტიკაზე, რომელსაც ეფუძნება ეროვნული კანონმდებლობა იგპ-თა შესახებ.

კანონების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ პოლიტიკის შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი აქტორები.

- ✓ პარლამენტარებმა უნდა იცოდნენ, თუ ვინ არის დაკავშირებული იგპ-თა კანონმდებლობასთან მათ ეროვნულ კონტექსტში.
- ✓ პარლამენტარებმა ამ ჯგუფებს უნდა მოუწოდონ საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობისკენ და უნდა უზრუნველყონ ამ პროცესში თავიანთი მონაწილეობა.

## თავი მესამე

### იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ

#### კანონმდებლობის ელემენტები

პარლამენტართა უმთავრესი მოვალეობაა საკანონმდებლო პროექტების მომზადება და განხილვა. როგორც მეორე თავში აღინიშნა, პარლამენტარები არ არიან აქტიურად ჩართულნი პოლიტიკის შემუშავებისა და მომზადების პროცესში. კანონმდებლობის შექმნის პროცესში კი პირიქით, ისინი ვალდებული არიან:

- უზრუნველყონ, რომ აპარატის თანამშრომლების, დეპარტამენტების, კერძო პირებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ მომზადებული კანონპროექტები მოიცავდეს იგპ კანონმდებლობის ძირითად მახასიათებლებს;
- დაადგინონ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და მოამზადონ მათი აღმოფხვრისთვის საჭირო შესწორებები ან გადაწყვეტილებები;
- ისაუბრონ კანონპროექტის შესახებ საპარლამენტო დებატების დროს;
- განუმარტონ კანონპროექტი ამომრჩევლებს ან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს და მიიღონ მათგან ნებისმიერი კომენტარი თუ გზავნილი.

ყველა შემთხვევაში, პარლამენტის წევრებმა უნდა იცოდნენ იგპ კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკვანძო მახასიათებლები. ამ თავში სწორედ ეს მახასიათებლებია აღწერილი, რათა პარლამენტის წევრებმა ადვილად დაადგინონ, არის თუ არა ეს მახასიათებლები გათვალისწინებული წარმოდგენილ კანონპროექტში. პარლამენტარებმა, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი ასეთი კანონპროექტის მომზადებაში, უნდა შეისწავლონ სხვა მასალებიც, რომლებიც უფრო დეტალურად განიხილავს პოლიტიკის შემუშავების საკითხს (მაგალითად, იგპ სახელმძღვანელო, პრაქტიკოსთა გზამკვლევი და IASC ჩარჩო გრძელვადიანი გადაწყვეტისთვის).

#### ზოგადი მიმოხილვა

პარლამენტის წევრებმა, სხვა კანონებზე მუშაობის პროცესის მსგავსად, უნდა უზრუნველყონ, რომ კანონპროექტი იყოს სათანადო დონეზე დეტალური და მოიცავდეს კანონის ფუნქციონირებისთვის საჭირო დებულებებს:

- დეტალურობის დონე. იგი უნდა მოიცავდეს საკმარის დეტალებს სამართლებრივი დამაჯერებლობისთვის, იმ აქტორთათვის, რომლებიც იძულებით გადაადგილებასთან არიან დაკავშირებულნი, ასევე ხელისუფლების ორგანოებისთვის, და მათი პასუხისმგებლობისთვის. ძალზე დეტალიზებული მიდგომით შეიძლება პროცესი დაიბლოკოს და ხისტი შედეგები გამოიწვიოს. ოპერატიული საკითხები უმჯობესია მოგვარდეს პოლიტიკის ან სამოქმედო გეგმების მეშვეობით (იხ. მეორე თავი);
- დებულებები აღსრულების შესახებ. ყველა კანონს სჭირდება რაიმე ფორმის აღსრულების მექანიზმი. თუკი ეს მექანიზმი სადმე სხვაგან არ არის გაწერილი (მაგალითად, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში), მაშინ იგპ კანონში უნდა არსებობდეს დებულებები, რომლებიც განმარტავს კანონის აღსრულებისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის

პროცედურას. კანონებისა და დეკრეტების აღსრულება ზოგადად ხდება აღმასრულებელი შტოსა (სამთავრობო დეპარტამენტებისა და პოლიციის ჩათვლით) და სასამართლოების მიერ; და

- მოქნილობა. მოქნილობის ხარისხი გათვალისწინებული უნდა იქნეს სათანადო სამთავრობო სქემებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა დისკრეციის ფარგლების მეშვეობით. თუმცა, კანონპროექტში არ უნდა იყოს დებულებები, რომლებიც უახლოეს მომავალში მოითხოვს ცვლილებების ან შესწორებების შეტანას.

#### იძულებით გადაადგილებაზე პასუხისმგებელი ეროვნული ორგანოს (ან საკონტაქტო პირის) განსაზღვრა

იგპ-თა დაცვისა და დახმარების კოორდინაციის მეტი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად უნდა არსებობდეს ერთი ეროვნული ორგანო. მისი უფლებამოსილება კანონით უნდა განისაზღვროს, რათა დაცული იქნეს ინსტიტუციური სტაბილურობის არსი და მოხდეს იგპ-თა საკითხების მოგვარებისადმი მთავრობის მზადყოფნის ასახვა.

იძულებითი გადაადგილების საკითხზე პასუხისმგებელი ორგანო იგპ-თა შესახებ კანონში შეიძლება სხვადასხვა გზით დადგინდეს, კონკრეტული ეროვნული პოლიტიკური ლანდშაფტიდან გამომდინარე:

- იგპ-თა საკითხებზე მუშაობისთვის უნდა შეიქმნას სამთავრობო დეპარტამენტი ან მინისტრის პორტფოლიო;
- არსებული დეპარტამენტების გარეთ შეიძლება შეიქმნას ორგანო, კომიტეტი, სამეთვალყურეო ჯგუფი ან სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალება იგპ-თა ეროვნული ჩარჩოს განხორციელება;
- ეროვნული საკონტაქტო პირი უნდა განთავსდეს არსებულ დეპარტამენტში ან კომიტეტში (შეიძლება იგპ-თა განყოფილების ან ქვეკომიტეტის სახით). მაგალითად, ასეთი განყოფილება შეიძლება შეიქმნას პრემიერ მინისტრის ანდა პრეზიდენტის ოფისში, სოციალურ საქმეთა, განვითარების ან კატასტროფების მართვის სამინისტროებში, ან მიგრანტებსა და ლტოლვილებზე პასუხისმგებელ დეპარტამენტში. მაგალითად, უგანდაში, ეს ბოლო შესაძლებლობა გამოიყენეს და ეროვნულ პასუხისმგებელ ორგანოდ დაინიშნა კატასტროფებისთვის მზადყოფნისა და ლტოლვილთა დეპარტამენტი, რომელიც პრემიერ-მინისტრის ოფისთან არსებობს.

იმის მიუხედავად, თუ სად არის განთავსებული ეს ორგანო, პარლამენტის წევრებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იგპ-თა შესახებ კანონი მას ანიჭებდეს:

- გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, მათ შორის, შემდეგ საკითხებზე:
  - სახელმძღვანელო მითითებებისა და საუკეთესო პრაქტიკის შემუშავება და მიღება, პოლიტიკის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების ჩათვლით;
  - შეხვედრების ორგანიზება, კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების მოწვევა;
  - დეპარტამენტებისა და ორგანიზაციებისათვის მოთხოვნის წაყენება იმომხდომ ეროვნული ჩარჩოს შესაბამისად, და ამ შესაბამისობის უზრუნველყოფაში მათთვის დახმარების გაწევა.





ბავშვი ალ ადალას იგპ-თა დასახლებაში; მოგადიშუ, სომალი, 2011 წლის 13 აგვისტო

- საკმარის პოტენციალს, სათანადო რესურსებისა და თანამშრომელთა ტრენინგის თვალსაზრისით, რათა მათ შეძლონ დაკისრებული როლის შესრულება (მიუხედავად იმისა, მათ ოპერატიული ამოცანები აქვთ გადასაჭრელი, თუ კოორდინირების);
- სათანადო ხელმისაწვდომობას პოლიტიკურ აქტორებზე, ასევე - დონორებზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი დაინტერესება და ჩართვა;
- ეროვნული ჩარჩოს განხორციელებაში ჩართულ სამინისტროებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ან ორგანიზაციებთან კოორდინაციის მკაფიოდ განსაზღვრულ სტრუქტურას - მოხსენების არხების, კომიტეტებში გაწევრიანების ან რეგულარული კონსულტაციების გამოყენებით;
- მონიტორინგისა და შეფასების ფუნქციები.

### **„იძულებით გადაადგილებულ პირთა“ განსაზღვრა კანონმდებლობაში**

აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს კონცეფცია „იძულებით გადაადგილებული პირი“, რათა იგი არ იყოს ბუნდოვანი იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც კანონის განხორციელება ევალებათ. პირველ თავში აღწერილი საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიცია ორ კრიტერიუმს ეფუძნება, რომლებიც ნათლად უნდა აისახოს კანონმდებლობაში:

იძულებით გადაადგილებული არიან პირები, რომლებიც:

- გამოძევებული იქნენ ან იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლები ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილები;
  - მათ არ გადაუკვეთიათ თავიანთი ქვეყნის საზღვრები.
- ამ ელემენტებს ყველა დეფინიცია უნდა მოიცავდეს, მაგრამ, ქვეყნებმა, თავიანთი მდგომარეობის გათვალისწინებით, სხვადასხვა მიდგომა გამოიყენეს. დეფინიცია ასევე უნდა მიუთითებდეს გადაადგილების გამომწვევ მიზეზებზე, რომლებიც პირველ თავშია აღწერილი, რათა კანონმა მოიცვას ყველა სახის გადაადგილება, მათი გამომწვევი მიზეზის მიუხედავად. ამ მიზეზთა არასრული ჩამონათვალი სახელმძღვანელო პრინციპებშია მოცემული:
- შეიარაღებული კონფლიქტი ან საყოველთაო ძალადობა;
  - ბუნებრივი ან ადამიანის მიერ შექმნილი კატასტროფები;
  - ადამიანის უფლებათა ხელყოფა.

იძულებითი გადაადგილების გამომწვევ მიზეზთა შორის ხშირია განვითარებისა და ეკოლოგიური პროექტები, რაც ირიბად ასახულია სახელმძღვანელო პრინციპებში, ხოლო პირდაპირ - დიდი ტბების ოქმში და კამპალას კონვენციაში. ასეთი პროექტებით გამოწვეული იძულებითი გადაადგილება ჩვეულებრივ გადაუდებელ გარემოებებში არ ხდება და მისი კანონიერების უზრუნველსაყოფად კონკრეტული პირობები და ამ პირობათა მკაცრი დაცვა მოითხოვება. ეს პრინციპები ასახულია მე-6 პრინციპის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში და 97 - ე პრინციპებში. პირობები და პროცედურები გადაადგილებისა, რომლებიც გადაუდებელი მდგომარეობიდან არ მომდინარეობს, იგპ-თა შესახებ კანონმდებლობაში უნდა ჩამოყალიბდეს. გამოყენებული დეფინიცია არ უნდა იწვევდეს არათანაბარ მოპყრობას ან დისკრიმინაციას ერთი და იმავე ქვეყნის იგპ-თა სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს, რომ პირის იძულებით გადაადგილებულად განსაზღვრა ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ გადაადგილება არამართლზომიერი (ანუ, „თვითნებური“) იყო. ქვემოთ, განყოფილებაში „თვითნებური/უკანონო იძულებითი გადაადგილების აკრძალვა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“, მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა რეაგირება უნდა იქნეს გათვალისწინებული იგპ კანონში იმ პირთა მიმართ, რომლებიც გადაადგილებას იწვევენ.

### **დისკრიმინაციის დაუშვებლობა**

ინდივიდუალურ იგპ-თა ან იგპ-თა ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციის დაუშვებლობა უნდა იყოს წესი, რომლის დაცვაც სავალდებულოა მათთვის დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფისას და ამ მიზნით შექმნილი ეროვნული ჩარჩოს განხორციელებისას. იგპ-თა შესახებ კანონი მკაფიოდ უნდა კრძალავდეს კონკრეტული იგპ ჯგუფების მიმართ რაიმე დისკრიმინაციას ან განსხვავებულ მოპყრობას.



## დისკრიმინაციის დაუშვებლობა სრპსკას რესპუბლიკაში

სრპსკას რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის პარლამენტარებმა დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი გამოიყენეს 2005 წლის კანონში იძულებითი გადაადგილების შესახებ: „გადაადგილებული პირები და დაბრუნებულები სარგებლობენ, სრული თანასწორობის საფუძველზე, საერთაშორისო და ეროვნული სამართლით დადგენილი იმავე უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც სრპსკას რესპუბლიკის სხვა მოქალაქენი.

ნებისმიერი უფლების ან თავისუფლების განხორციელებისას დაუშვებელია მათი დისკრიმინაცია რაიმე საფუძველით, განსაკუთრებით - იძულებითი გადაადგილების ნიშნით“.

სრპსკას რესპუბლიკის 2005 წლის კანონი გადაადგილებულ პირთა, დაბრუნებულთა და ლტოლვილთა შესახებ, მუხლი 13.

უფრო კონკრეტულად:

- კანონში უნდა იყოს დებულება, რომ ყველა იგპ სარგებლობს იმავე უფლებებითა და თავისუფლებებით, რომლებიც აქვთ სხვა მოქალაქეებს და ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ პირებს, და რომ დაუშვებელია დისკრიმინაცია იგპ-თა მიმართ მათი ადგილმონაცვლეობის გამო;
- კანონი უნდა ადასტურებდეს, რომ იგპ-თა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ მოპყრობა უნდა იყოს თანასწორი, რაიმე განსხვავების გარეშე ეთნიკური, რელიგიური, ასაკობრივი, გენდერული ან ნებისმიერი სხვა ნიშნით;
- თვით კანონის ტექსტი არ უნდა შეიცავდეს რაიმე დისკრიმინაციულ ენას. გარდა ამისა, უნდა შესწორდეს ან გაუქმდეს უკვე არსებული კანონები, რომლებიც დისკრიმინაციულ ენას შეიცავს. ეს მოთხოვნა იგპ-თა შესახებ კანონის შემუშავების ერთ-ერთი ასპექტია.



ორი შვილის დედა, 24 წლის მუსაჰიმამა ნდიკუზე შემას აგროვებს; კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

ზოგიერთი განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფი სპეციალურ მოპყრობას მოითხოვს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათ მიერ უფლებებით სარგებლობა სხვა იგპ ჯგუფების ან მოსახლეობის სხვა ჯგუფების თანაბრად. ეს ჯგუფები ხშირად ასეთ ტერიტორიებზე სტრუქტურული დისკრიმინაციის მსხვერპლი არიან, რაც გამოწვეულია დოკუმენტების გაცემის ან საკუთრების ფლობის ხარვეზით, ან სულაც იმით, რომ ზოგადი გამოყენების დოკუმენტებში მათი საჭიროებები გათვალისწინებული არ იქნა. იგპ-თა კანონში ეს ჯგუფები ცალკე უნდა განისაზღვროს და აღიარებული იქნას მათი კონკრეტული მოწყვლადობა. ასეთ ჯგუფთა მაგალითებია:

- ქალები, განსაკუთრებით ორსული ქალები და მარტოხელა დედები;
- ბავშვები, მზრუნველის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნების ჩათვლით;
- მოხუცები;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ან ავადმყოფები ან აივ/შიდსით დაავადებულები;
- უმცირესობათა ჯგუფები და მკვიდრი მოსახლეობა;
- სოფლად მცხოვრები ღარიბი მოსახლეობა;
- ნებისმიერი სხვა ჯგუფი, რომელიც სპეციალურ დახმარებას მოითხოვს კონკრეტული ქვეყნის კონტექსტში.

## იძულებით გადაადგილებული მკვიდრი მოსახლეობის დაცვა

2003 წლის მაისში მექსიკაში შეიქმნა მკვიდრი ხალხების განვითარების კომისია, რომელიც მიზნად ისახავს ფედერალური ხელისუფლებისთვის კონსულტაციების გაწევას, მათი პროგრამების შეფასებას და შესაძლებლობების განმტკიცებას, რათა დახმარება გაუწიონ მკვიდრ ხალხებს ფედერალურ, შტატისა და მუნიციპალიტეტის დონეებზე.

2006 წლის ივნისში კომისიამ შეიმუშავა დახმარების პროგრამა მკვიდრი ხალხებისთვის, რომლებიც გადაადგილებული იყვნენ ჩიაპას, გუერეროს, ჰიდალგოს, ჯალისკოს და ოაქსაკას შტატებში, რაც გამოიწვია ძალადობამ, მათ შორის, შეიარაღებულმა კონფლიქტმა და რელიგიურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა შეუწყნარებლობამ. პროგრამის ფარგლებში მათ ეხმარებიან მიწის ნაკვეთისა და სახლის მშენებლობისთვის საჭირო მასალის მოპოვებაში, დასამუშავებელი მიწისა და მოსავლის მოყვანისთვის საჭირო ხელსაწყოებისა და მასალების შექმნაში.

2012 წლის თებერვალში ჩიაპასში მიიღეს შტატის კანონი იძულებითი გადაადგილების პრევენციისა და იძულებითი გადაადგილებულთათვის ყურადღების მიქცევის შესახებ. ამ კანონში მოცემულია იძულებითი გადაადგილებულ პირთა დეფინიცია და დადგენილია მათი უფლებები. ამ კანონის საფუძველზე იქმნება პროგრამა და შტატის საბჭო, რომელიც იხილავს იძულებითი გადაადგილებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, მათ შორის, პრევენციას, ჰუმანიტარულ დახმარებას და გრძელვადიანი გადაწყვეტილების უზრუნველყოფას. შტატის საბჭო აგრეთვე პასუხისმგებელია ადგილმაცვალ პირთა სახელმწიფო რეესტრის შექმნაზე.

კანონში გამოკვეთილია იძულებითი გადაადგილების პრევენციის საკითხი და ადგილმაცვალთა ის ჯგუფები, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან. იგი აღიარებს ბავშვთა მოწყვლად ჯგუფებს, კერძოდ, მზრუნველის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანებს, ორსულ ქალებს, ჩვილბავშვიან დედებს, მარტოხელა ოჯახის უფროს ქალებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მოხუცებს, და უზრუნველყოფს მათ სპეციალური დახმარებით.

2012 წლის დეკემბერში კონგრესში შეიტანეს წინადადება ფედერალური კანონის მიღების მოთხოვნით, რომელიც შთაგონებულია ჩიაპასის შტატში მიღებული კანონით.



## იძულებითი გადაადგილებისაგან დაცვა

### იძულებითი გადაადგილებისაგან დაცვის ან მისი შედეგების შემსუბუქების მექანიზმები

კანონში უნდა იყოს დებულება, რომელიც ეროვნულ ხელისუფლებას აკისრებს სრულ პასუხისმგებლობას იძულებითი გადაადგილების პრევენციის და ისეთი პირობების თავიდან აცილების კუთხით, რომლებმაც შეიძლება იძულებითი გადაადგილება გამოიწვიოს.

### ძირითადი წყარო: მოდელური აქტი კატასტროფების დროს დახმარების გაწევის შესახებ

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების საერთაშორისო ფედერაციამ, საპარლამენტო კავშირთან და ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ოფისთან ერთად, შეიმუშავა მოდელური აქტი „საერთაშორისო კატასტროფების დროს დახმარებისა და აღდგენის მხარდაჭერის ხელშეწყობისა და რეგულირების შესახებ“. ეს აქტი 2013 წელს გამოქვეყნდა. იგი დეტალური დოკუმენტია, რომელიც ეხება კატასტროფების დროს დახმარების გაწევის ყველა ასპექტს. იგი კარგ სამსახურს გაუწევს პარლამენტის წევრებს იძულებითი გადაადგილების ეროვნული ჩარჩოს შემუშავებისას. მოდელური აქტი შეიცავს დებულებებს შემდეგ საკითხებზე:

- აქტორთა როლები და ვალდებულებები;
- კატასტროფების დროს საერთაშორისო დახმარების ინიცირების, კოორდინირებისა და შეწყვეტის პროცედურები;
- კატასტროფების დროს დახმარების გაწევის პროცესში ჩართულ აქტორთა განსაზღვრისა და რეგისტრირების მექანიზმები;
- სახელმწიფოთა ვალდებულება ეფექტიანი დახმარების უზრუნველყოფის მიმართებით.

მოდელური აქტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [www.ipu.org/PDF/publications/act-en.pdf](http://www.ipu.org/PDF/publications/act-en.pdf).

მაგალითად, ბუნებრივი კატასტროფების დროს იძულებითი გადაადგილების თავიდან აცილება ან მისი შედეგების მნიშვნელოვნად შერბილება შეიძლება მოხდეს ადრეული გაფრთხილების სისტემის გამოყენებით. გაფრთხილების სისტემები კატასტროფებზე რეაგირების ჩარჩოს ელემენტი უნდა იყოს. ისინი წარმატებით გამოიყენება იძულებითი გადაადგილების კონტექსტშიც. ამიტომ, ისინი უნდა აისახოს იგპ კანონში. კატასტროფების რისკის შემცირების გაეროს ოფისმა განსაზღვრა რამდენიმე ღონისძიება, რომლებიც ხელს უწყობს კატასტროფების მართვას. ზოგიერთი მათგანი კარგად მიესადაგება იძულებითი გადაადგილებას (იძულებითი გადაადგილების სხვა გამოწვევი მიზეზების დროსაც, მაგალითად, კონფლიქტის).

იგპ კანონში ან ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებულ შესაბამის კანონმდებლობაში ამ მექანიზმების გათვალისწინება საბოლოო ჯამში შეამცირებს იძულებითი გადაადგილების ზემოქმედებას ადგილობრივ მოსახლეობაზე. იძულებითი გადაადგილების ადრეული გაფრთხილების სისტემა უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ინფორმაცია გადაადგილების რისკების და გადაადგილებით გამოწვეული შესაძლო საფრთხეების შესახებ;
- მთავრობის მიერ, და ჰუმანიტარული და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, ასეთი საფრთხეების მონიტორინგი, ანალიზი და პროგნოზი;
- რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება საშიშროების შესახებ, ასევე სათანადო სამთავრობო დეპარტამენტებისთვის და ჰუმანიტარული დაწესებულებებისთვის, მიმღები თემებისთვის და სხვა ჩართული სუბიექტებისთვის;
- ადგილობრივი საშუალებების მობილიზება მიღებულ გაფრთხილებაზე რეაგირებისთვის და ეროვნული მთავრობის მიერ საკმარისი რესურსების უზრუნველყოფა, იძულებითი გადაადგილების დაწყების შემთხვევაში რეაგირების მზადყოფნის მიზნით. რესურსების მობილიზების საკითხი დეტალურად განხილულია მეექვსე თავში.

### გარდაუვალი იძულებითი გადაადგილების შემთხვევები

იძულებითი გადაადგილების თავიდან აცილება ყოველთვის შესაძლებელი არ არის. მაგალითად, განვითარების პროექტებით გამოწვეული გადაადგილება შეიძლება ზოგ შემთხვევაში გამართლებული იყოს. ანალოგიურად, მოსახლეობას შეიძლება დასჭირდეს გადაადგილება ხელშემშლელი კონფლიქტის ან ბუნებრივი კატასტროფების დროს. იგპ კანონში უნდა განისაზღვროს სპეციფიკური მოთხოვნები, რომლებიც დამახასიათებელია გარდაუვალი იძულებითი გადაადგილებისთვის.

ასეთი გარემოებები უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს და უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

- იძულებითი გადაადგილების ყველა სხვა შესაძლო ალტერნატივა დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი. სახელმწიფოებს აკისრიათ განსაკუთრებული მოვალეობა, რათა გადაადგილებისაგან დაიცვან მოსახლეობის ის ჯგუფები, რომლებიც უპირატესად არიან მიმგრებულნი მიწაზე, კერძოდ, მკვიდრი მოსახლეობა, უმცირესობები ან მწყემსები.
- პირები რომელთა გადაადგილებაც უნდა განხორციელდეს ინფორმირებული უნდა იყვნენ და უნდა გაეწიონ შესაბამისი კონსულტაცია; ხელისუფლება უნდა ეცადოს მიიღოს მათგან თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა;
- გადაადგილების შესახებ ბრძანების გაცემა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ამის სამართლებრივი უფლებამოსილება (ასეთი უფლებამოსილების წყაროთა ჩამონათვალი შეიძლება დაფიქსირდეს თვით იგპ კანონში) და უნდა განხორციელდეს სათანადოდ უფლებამოსილი სამთავრობო დეპარტამენტების მიერ;
- გადაადგილება უნდა წარიმართოს და დაიგეგმოს გადასადგილებელი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით. კონსულტაციებისა და მონაწილეობის მოთხოვნები ასევე შეიძლება განისაზღვროს იგპ კანონში;
- გადაადგილების განმავლობაში გადაადგილებულთა დაცვა და დახმარება უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (აღწერილია მეორე თავში);

## თვითნებური გადაადგილების აკრძალვა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა

„ყოველ ადამიანს აქვს თავისი სახლიდან ან მუდმივი საცხოვრებელიდან თვითნებური გადაადგილებისგან დაცვის უფლება“ (სახელმძღვანელო პრინციპი 6 (1)). ასეთი აკრძალვა, სასურველია, სისხლის სამართლის სანქციებთან ერთად, მკაფიოდ და ცხადად იყოს ჩამოყალიბებული იგპ კანონში. სახელმძღვანელო პრინციპები კიდევ უფრო დეტალურად განსაზღვრავს სიტუაციებს, რომლებიც შეესაბამება თვითნებურ გადაადგილებას და, მამასადამე, აკრძალულია საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.

### თვითნებური გადაადგილებისა და იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული სხვა ქმედებების კრიმინალიზაცია კენიაში

კენიის კანონი იძულებითი გადაადგილების შესახებ („იძულებითი გადაადგილების თავიდან აცილების, დაცვის და გადაადგილებულ პირთა და დაზარალებული თემების დახმარების აქტი“, 23-ე განყოფილების მე-2 და მე-3 პუნქტები) ახდენს იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული გარკვეული სამართალდარღვევების კრიმინალიზაციას და აწესებს სასჯელს იმ პირთა მიმართ, ვინც:

(2) ... განზრახ:

(ა) იწვევს სხვა პირთა თვითნებურ გადაადგილებას, ამ აქტის მე-6 ნაწილის შესაბამისად;

(ბ) აბრკოლებს მისაწვდომობას იძულებით გადაადგილებულ პირებზე;

(გ) ზიანს აყენებს იძულებით გადაადგილებულ პირებს;

(დ) ზიანს აყენებს ჰუმანიტარული დახმარების პერსონალს;

(ე) აბრკოლებს ჰუმანიტარული დახმარების პერსონალის მუშაობას;

(ვ) ხელს უშლის იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევას;

(ზ) იპარავს, ან აზიანებს, ან ანადგურებს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის განკუთვნილ ჰუმანიტარულ ტვირთს;

(თ) არასწორად ან ბოროტად იყენებს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის განკუთვნილ ჰუმანიტარულ დახმარებას;

(ი) ხელს უწყობს (ა) – (თ) პარაგრაფებში აღნიშნული ნებისმიერი ქმედების ან გადაცდომის ჩადენას, ან აქეზებს მათი ჩადენისკენ.

რა თქმა უნდა, იძულებითი გადაადგილება უნდა აიკრძალოს შემდეგ კონკრეტულ შემთხვევებში:

➤ როდესაც იგი ემყარება აპარტიდის პოლიტიკას, „ეთნიკურ წმენდას“ ან მსგავს ქმედებებს, რომლებიც გამიზნულია ან რომლებსაც შედეგად მოჰყვება დაზარალებული მოსახლეობის ეთნიკური, რელიგიური ან რასობრივი შემაღენლობის შეცვლა;

➤ როდესაც იგი ხდება შეიარაღებული კონფლიქტის დროს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას მოითხოვს სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოება ან აუცილებელი სამხედრო მიზნები;



ბავშვები წყალს აგროვებენ კვიანჯეს იგპ-თა ბანაკში; კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

➤ რომელიც ხდება განვითარების ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებისას და როდესაც იგი არ არის გამართლებული დამაჯერებელი და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესებით;

➤ რომელიც ხდება კატასტროფებისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაზარალებულთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა მოითხოვს მათ ევაკუაციას;

➤ როდესაც იძულებითი გადაადგილება გამოიყენება მოსახლეობის კოლექტიური დასჯის მიზნით.

თვითნებური გადაადგილების ქმედებებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა თავისუფალი უნდა იყოს დისკრიმინაციისაგან და ეფუძნებოდეს სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებს. იგი უნდა ვრცელდებოდეს შემდეგ სუბიექტებზე:

➤ სახელმწიფო და სახელმწიფო მოხელეები;

➤ შეიარაღებული დაჯგუფების წევრები;

➤ სხვა არასახელმწიფო აქტორები, მათ შორის, მრავალეროვნული კორპორაციების, განვითარების კომპანიებისა და კერძო უსაფრთხოების



კომპანიების სახელით (ზოგ შემთხვევებში თვით კომპანიების მიერ) აკრძალული ქმედებების ჩადენაზე პასუხისმგებელი.

გარემოებებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებმა შეიძლება მოისურვონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება იგპ კანონმდებლობის საფუძველზე დამატებითი დანაშაულებისთვის, მაგალითად, ჰუმანიტარული დახმარების დაბრკოლებისთვის.

**დაცვა და დახმარება იძულებითი გადაადგილების განმავლობაში**

იგპ კანონი უნდა მოიცავდეს დაცვისა და დახმარების ღონისძიებებს, რომლებიც იძულებითი გადაადგილების განმავლობაში უნდა განხორციელდეს. იგი, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს სახელმძღვანელო პრინციპებში დადგენილ უფლებებს და, სათანადო შემთხვევებში, იმ უფლებებს, რომლებიც შესაბამის რეგიონულ დოკუმენტებსა და ხელშეკრულებებშია გაცხადებული. პარლამენტის წევრებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კანონი:

- მკაფიოდ აღიარებდეს, რომ იგპ-ს აქვთ ეს უფლებები.
  - ადგენდეს დაცვისა და დახმარების ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა ჰუმანიტარული საჭიროებისა და მომსახურების (სურსათის, განათლების, თავშესაფრის და სხვ.) მიღების უფლების უზრუნველსაყოფად.
- იგპ კანონმა უნდა უზრუნველყოს:
- საკმარისი რაოდენობისა და სათანადო ხარისხის დახმარების არსებობა, რათა დაკმაყოფილდეს იგპ-თა საჭიროებები და შემსუბუქდეს მათი მოწყვლადობა;
  - იძულებით გადაადგილებული ყველა პირის (როგორც ბანაკებში განთავსებულთა, ისე მიმღებ თემებში მცხოვრებთა) ხელმისაწვდომობა დახმარებაზე, ამ თემებისა და ბანაკების ადგილმდებარეობის მიუხედავად (უნდა გავრცელდეს ინფორმაცია, თუ სად და როგორ იქნება მიწოდებული დახმარება);
  - დახმარების შესაბამისობა გადაადგილებული მოსახლეობისა და მისი კულტურისადმი;
  - დახმარების ადაპტაციის უნარი ცვალებადი საჭიროებებისადმი, გადაადგილების სხვადასხვა ფაზების დროს.

➤ შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დახმარებისა და დაცვის ღონისძიებების განხორციელებას ჰუმანიტარული პრინციპების შესაბამისად, კერძოდ, უზრუნველყოფენ ასეთი დახმარების მიმართ რაიმე ადმინისტრაციული დაბრკოლებების ან ბარიერების აღმოფხვრას. ეს შეიძლება მოითხოვდეს შესწორებების შეტანას სხვა კანონებში (მაგალითად, საბაჟო ან საიმიგრაციო კანონმდებლობაში).

იგპ-თან დაკავშირებულ კანონებზე მომუშავე პარლამენტის წევრებს დახმარებას გაუწევს ქვემოთ მოცემული ცხრილი, რომელშიც განხილულია იგპ-თა ძირითადი უფლებები და ის მექანიზმები, რომლებიც შეიძლება შეიქმნას მათი დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ მიმართებით უფრო დეტალური ინფორმაცია მოიპოვება იგპ სახელმძღვანელოს მითითებულ თავებში.

**გადაადგილების დროს იგპ-თა დახმარებისა და დაცვის მექანიზმები**

უფლება (როგორც სახელმძღვანელო პრინციპებშია მოცემული)	დაცვის შესაძლო ღონისძიებები	მითითება იგპ სახელმძღვანელოზე
სიცოცხლის, პირის უსაფრთხოების, ძალადობისაგან დაცვის უფლება (მე - 10 და მე - 11 პრინციპი)	<ul style="list-style-type: none"> <li>• ამ უფლებების შემლახავი ქმედებების კრიმინალიზება და მათი ეფექტური გამოძიება;</li> <li>• ეროვნული უსაფრთხოების ძალების ტრენინგი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ეფექტური დაცვის სფეროში;</li> <li>• განაღმებისა და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების დემარკაციის ღონისძიებები.</li> </ul>	მე - 16 თავი
საკვების უფლება (მე - 18 პრინციპი)	<ul style="list-style-type: none"> <li>• იგპ მოსახლეობის საკვების მოთხოვნის განსაზღვრა, მოწყვლადი ჯგუფების ჩათვლით;</li> <li>• ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იმ დაწესებულების ან დაწესებულებათა განსაზღვრა (და სათანადო რესურსებით უზრუნველყოფა), რომლებსაც დაევალებათ საკმარისი რაოდენობის საკვების შექმნა;</li> <li>• ჰუმანიტარულ დაწესებულებებთან ღია და რეგულარული დიალოგის გამართვა საკვებით დახმარებაში მხარდაჭერის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში.</li> </ul>	მე - 7 თავი
წყლისა და სანიტარული მომსახურების უფლება (მე - 18 პრინციპი)	<ul style="list-style-type: none"> <li>• წყალზე და სანიტარულ მომსახურებაზე იგპ მოსახლეობის მოთხოვნების განსაზღვრა, მოწყვლადი ჯგუფებისა და კულტურულიდან გამომდინარე პრაქტიკის ჩათვლით;</li> <li>• სასმელ წყალზე და სანიტარულ-ჰიგიენურ საშუალებებზე უსაფრთხო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;</li> <li>• ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან კავშირი, ადეკვატური სანიტარული მომსახურებისა და წყლის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში</li> </ul>	მე - 8 თავი
სათანადო საცხოვრებლის უფლება (მე - 18 პრინციპი)	<ul style="list-style-type: none"> <li>• საცხოვრებელზე სპეციალური მოთხოვნების განსაზღვრა, გადაადგილებამდე საცხოვრებლის საფუძველზე;</li> <li>• იგპ-თვის დახმარების გაწევა მათი ჩვეულებრივი საცხოვრებლიდან დროებით საცხოვრებელში გადასვლის პროცესში;</li> <li>• სათანადო დროებითი თავშესაფრის უზრუნველყოფა იგპ-თვის იძულებითი გადაადგილების პერიოდში;</li> <li>• უზრუნველყოფა იმისა, რომ დროებითი საცხოვრებელი იყოს უსაფრთხო და არ აბრკოლებდეს ჰუმანიტარული მომსახურებების მიწოდებას.</li> </ul>	მე - 9 თავი

**გადაადგილების დროს იგპ-თა დახმარებისა და დაცვის მექანიზმები**

უფლება (როგორც სახელმძღვანელო პრინციპებშია მოცემული)	დაცვის შესაძლო ღონისძიებები	მითითება იგპ სახელმძღვანელოზე
სამედიცინო დახმარების და ჯანმრთელობის უფლება (მე - 18 და მე - 19 პრინციპები)	<ul style="list-style-type: none"> <li>დეპარტამენტის ან ჰუმანიტარული ორგანიზაციის განსაზღვრა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ჯანმრთელობის დაცვაზე გადაადგილების განმავლობაში;</li> <li>სამედიცინო კლინიკებზე და მომსახურებაზე უსაფრთხო ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;</li> <li>ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, რომელიც შესაბამისობაში იქნება გადაადგილებამდე არსებულ ჯანმრთელობის დაცვასთან და არ იქნება ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე გადაადგილებამდე იყო.</li> </ul>	მე - 10 თავი
საკუთრების უფლება, საკუთრებაზე თავდასხმისაგან დაცვის უფლება (21-ე და 29-ე პრინციპები)	<ul style="list-style-type: none"> <li>მიტოვებული საკუთრების დაცვა განადგურებისა და ოკუპაციისაგან;</li> <li>მოქნილი და ხელმისაწვდომი ღონისძიებების განხორციელება საკუთრებასთან დაკავშირებული საჩივრების დასაკმაყოფილებლად, რესტიტუციისა და კომპენსაციის უზრუნველყოფით, სათანადო შემთხვევებში</li> </ul>	მე - 12 თავი
გადაადგილების თავისუფლება (მე-14, მე - 15 და 28-ე პრინციპები)	<ul style="list-style-type: none"> <li>სამართლებრივი ბარიერების მოხსნა (მაგალითად, დოკუმენტაციის მოთხოვნის), რომლებიც აფერხებს იგპ-თა გადასვლას სამშვიდობო ადგილებზე;</li> <li>არ მოხდეს იგპ-თა მოთავსება ან ინტერნირება ბანაკებში;</li> <li>იგპ-თვის ხელშეწყობა, რათა მათ თავად მიიღონ გადაწყვეტილება - მათთვის კონსულტაციების ჩატარების მეშვეობით - თავიანთი არჩევანის შესახებ, რათა მათ შემოიღონ გადაადგილდნენ ან ნებაყოფლობით დასახლდნენ მათ მიერ ნებაყოფლობით შერჩეულ ადგილას.</li> </ul>	მე - 5 თავი
უფლება იყოს კანონის წინაშე აღიარებული სუბიექტი (მე - 20 პრინციპი)	<ul style="list-style-type: none"> <li>დოკუმენტების მოთხოვნის მოხსნა, რომელმაც შეიძლება შეზღუდოს იგპ-თა ხელმისაწვდომობა სამართლებრივ სისტემაზე და სახელმწიფო მომსახურებაზე;</li> <li>იგპ-თა მიერ დოკუმენტების მოპოვების პროცედურებში ადმინისტრაციული ტვირთის შემცირება;</li> <li>უზრუნველყოფა იმისა, რომ დოკუმენტების გაცემის პროცედურები იყოს ხელმისაწვდომი და ცნობილი.</li> </ul>	მე - 11 თავი
ოჯახური ცხოვრების უფლება (მე - 16 და მე - 17 პრინციპები)	<ul style="list-style-type: none"> <li>სისტემის შექმნა, რომელიც განსაზღვრავს და დააფიქსირებს ოჯახებს და მათ წევრებს, რათა ხელი შეუწყონ ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას და ოჯახის შენარჩუნებას;</li> <li>დაბადების რეგისტრაციის სისტემის შექმნა;</li> <li>დაკარგული პირების და ოჯახების გაერთიანების მოთხოვნების ცენტრალური მონაცემთა ბაზის ამოქმედება;</li> <li>ეროვნული ორგანოებისთვის რესურსების მიწოდება, რათა მოხდეს დაკარგულ პირთა საკითხის გამოძიება, გარდაცვლილთა ადგილმდებარეობის დადგენა და ნემტის დაბრუნება ოჯახის წევრებისთვის</li> </ul>	მე - 6 თავი

**გადაადგილების დროს იგპ-თა დახმარებისა და დაცვის მექანიზმები**

უფლება (როგორც სახელმძღვანელო პრინციპებშია მოცემული)	დაცვის შესაძლო ღონისძიებები	მითითება იგპ სახელმძღვანელოზე
განათლების უფლება (23-ე პრინციპი)	<ul style="list-style-type: none"> <li>უზრუნველყოფა იმისა, რომ განათლების შესახებ გადაწყვეტილებები იყოს იმულებით გადაადგილებაზე ეროვნული რეაგირების ელემენტი;</li> <li>გადაადგილებულთათვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მიმღები თემის საგანმანათლებლო დაწესებულებების მეშვეობით, ან სხვა ალტერნატიული საშუალებებით, როდესაც ეს შესაძლებელი არ არის;</li> <li>მიმღებ თემში იგპ-თა განათლებაზე ხელმისაწვდომობის მიმართ არსებული ადმინისტრაციული და ფინანსური დაბრკოლებების შემცირება;</li> <li>კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფების განათლებაზე მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა, საკუთარ ენაზე განათლების ჩათვლით.</li> </ul>	მე - 15 თავი
შრომის და ადევკატური ცხოვრების პირობების უფლება (მე - 18 და 22-ე პრინციპები)	<ul style="list-style-type: none"> <li>ადგილობრივ შრომის ბაზარზე დამკვიდრების უზრუნველყოფა შრომითი პროგრამების, უნარების გადაცემისა და პროფესიული ტრენინგების მეშვეობით;</li> <li>სოციალურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის დაბრკოლებების შემცირება;</li> <li>მიზნობრივი ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება, რომელიც საბოლოოდ ხელს შეუწყობს თვითკმარობის მიღწევას.</li> </ul>	მე - 13 თავი
საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლება (22-ე პრინციპი)	<ul style="list-style-type: none"> <li>უზრუნველყოფა იმისა, რომ იგპ-ს ჰქონდეთ კანონით განსაზღვრული ხმის მიცემის უფლება - თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ან მიმღები თემის მიხედვით.</li> <li>ამომრჩეველთა რეგისტრირებაზე ადმინისტრაციული მოთხოვნების შემცირება, განსაკუთრებით, დოკუმენტებთან მიმართებაში.</li> <li>საჭიროების შემთხვევაში, იგპ თემების დაცვა დემონსტრაციებისა და კამპანიების დროს, ასევე ხმის მიცემის პერიოდში.</li> <li>იგპ-თვის საშუალების მიცემა მონაწილეობა მიიღონ არეწებში ასარჩევ სუბიექტებად, რაიმე უპირატესობის მინიჭების გარეშე არაგადაადგილებულ პირებთან მიმართებით.</li> </ul>	მე - 14 თავი
ჰუმანიტარული დახმარების მიღების უფლება (მე - 3 და 25-ე პრინციპები)	<ul style="list-style-type: none"> <li>ეროვნული ორგანოს შექმნა ან არსებულის პოტენციალის გაძლიერება, რომელსაც კავშირი ექნება ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან;</li> <li>ჰუმანიტარული დახმარების დამაბრკოლებელი მოქმედებების კრიმინალიზაცია;</li> <li>საიმეგრავიო და საბაჟო კანონმდებლობის მოდიფიცირება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ჰუმანიტარულ მუშაკთა ხელმისაწვდომობა და დახმარების სწრაფი მიწოდება.</li> </ul>	მე - 4 თავი



გარდა ამისა, გაეროს უწყებათაშორისმა მუდმივმოქმედმა კომიტეტმა (IASC) მოამზადა სამოქმედო სახელმძღვანელო მითითებები ბუნებრივი კატასტროფების სიტუაციაში მყოფი პირების დაცვის შესახებ (2010), რომელიც გამოიხატავს ჰუმანიტარული და განვითარების ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების დახმარებისთვის ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების დროს. პარლამენტის წევრებს შეუძლიათ სათანადო ოფიციალურ პირებს დაავალონ იგპ კანონპროექტში ამ დოკუმენტის დებულებათა გათვალისწინება, რაც კანონს უფრო დეტალურს გახდის. იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული მითითებებია:

- პირთა სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობის და ჯანმრთელობის დაცვა (მითითებები A.1, A.3);
- ოჯახის მთლიანობის დაცვა და პატივისცემა (მითითებები A.2, A.6, D.3);
- ძალადობისაგან დაცვა, განსაკუთრებით - გენდერულ საფუძველზე ძალადობისაგან (მითითება A.4);
- მასპინძელ ოჯახებში, თემებში და კოლექტიურ თავშესაფრებში საცხოვრებელითა და უსაფრთხოებით უზრუნველყოფა (მითითებები A.5, B.2 და C.2)
- ჰუმანიტარულ საქონელზე და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა (მითითება B.1);
- საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფა (საკვები, წყალი, სანიტარული პირობები, თავშესაფარი, ტანისამოსი, ჯანმრთელობის მომსახურება და განათლება) (მითითება B.2);
- საკარმიდამო ნაკვეთისა და საკუთრების დაცვა (მითითება C.1);
- საარსებო საშუალებებზე და შრომაზე ხელმისაწვდომობა (მითითება C.3);
- განათლებით უზრუნველყოფა (მითითებები B.2 and C.4);
- უფლება ჰქონდეს და ხელი მიუწვდებოდეს დოკუმენტებზე (მითითება D.1);
- გადაადგილების თავისუფლება და გრძელვადიანი გადაწყვეტილება (მითითება D.2);
- საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის და რელიგიური აღმსარებლობის უფლება (მითითებები D.4 და D.5).

### **გრძელვადიანი გადაწყვეტილებები**

იგპ-თა საჭიროებები და მათი მოწყვლადობა არ წყდება იძულებითი გადაადგილების გამომწვევი მიზეზების შეწყვეტის შემდეგ. ამიტომ, კანონმდებლობა უნდა ქმნიდეს ჩარჩოს მათთვის მიმდინარე დაცვისა და დახმარების უზრუნველსაყოფად. უწყებათაშორისმა მუდმივმოქმედმა კომიტეტმა (IASC) მოამზადა გრძელვადიანი გადაწყვეტილების ჩარჩო, სადაც სახელმწიფოებს სთავაზობენ სახელმძღვანელო მითითებებს გრძელვადიანი გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად. გრძელვადიანი გადაწყვეტილების თვალსაზრისით იგპ კანონი:

- იგპ-ს საშუალებას უნდა აძლევდეს აირჩიოს შემდეგი შესაძლებლობებიდან:
  - დაბრუნება და რეინტეგრაცია თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაუყოვნებლივ ან მას შემდეგ, რაც იქ ცხოვრება უსაფრთხო გახდება;
  - იძულებით გადაადგილებულ პირთა ადგილობრივი ინტეგრაცია ან უსაფრთხო თავშესაფრის პოვნა;
  - ქვეყნის სხვა ნაწილში დასახლება.
- უნდა დადგინდეს, რომ ეროვნულ ხელისუფლებას ეკისრება უპირატესი მოვალეობა შექმნას პირობები და უზრუნველყოს საშუალებები იგპ-თვის, რათა მათ გააკეთონ არჩევანი ამ გრძელვადიან გადაწყვეტილებებს შორის.
- უნდა აყალიბდეს პირობებს, რომლებიც საჭიროა გრძელვადიანი გადაწყვეტილების მისაღწევად, როგორც ეს მითითებულია IASC-ის ჩარჩოში:
  - იგპ-თა გრძელვადიანი უსაფრთხოება, რომელიც დაფუძნებულია ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უზრუნველყოფილ ეფექტიან დაცვაზე. ეს მოიცავს მათ ფიზიკურ დაცვას, ასევე, სპეციფიკურ ღონისძიებებს, რომლებიც იძულებითი გადაადგილების გამოწვევი მიზეზების აღმოფხვრისკენაა მიმართული (IASC ჩარჩო, გვ. 27-31);
  - ცხოვრების ადეკვატური პირობები, დისკრიმინაციის გარეშე. იგი მოიცავს რაიმე დისკრიმინაციის გარეშე ხელმისაწვდომობას საკვებზე, წყალზე, თავშესაფარზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, დაწყებით განათლებაზე და სხვა საშუალებებზე, გადაადგილებამდე არსებული პირობების შესაბამისად (IASC ჩარჩო, გვ. 31-33);
  - ხელმისაწვდომობა საარსებო საშუალებებზე და დასაქმებაზე. იგი მოიცავს სოციალური მომსახურების უზრუნველყოფას რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე (IASC ჩარჩო, გვ. 33-35);
  - საცხოვრებლის, მიწისა და საკუთრების აღდგენის ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მექანიზმი (იხ. ქვემოთ 'მართლმსაჯულების საშუალებები და მათზე ხელმისაწვდომობა') (IASC ჩარჩო, გვ. 35-38);
  - პირად და სხვა დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა დისკრიმინაციის გარეშე, გადაადგილების დროს დაკარგული დოკუმენტების აღდგენის მექანიზმის ჩათვლით (IASC ჩარჩო, გვ. 38-40);
  - ოჯახების გაერთიანება გაყოფილი ოჯახებისთვის (განსაკუთრებით, ბავშვებისთვის) საფრთხის შექმნის გარეშე, ან დისკრიმინაციის გარეშე ასაკის თუ გენდერის ნიშნით (IASC ჩარჩო, გვ. 40-41);

## როდის არის მიღწეული გრძელვადიანი გადაწყვეტილება? საკანონმდებლო ჩარჩო

იგპ-თა შესახებ ეროვნულ კანონმდებლობაში საჭიროა ჩამოყალიბდეს გრძელვადიანი გადაწყვეტილების მახასიათებლები. კენიის იგპ კანონში გადმოტანილია დებულებები IASC-ის მიერ შემუშავებული გრძელვადიანი გადაწყვეტილებების ჩარჩოდან:

### გრძელვადიანი გადაწყვეტილება

9. (1) მთავრობამ უნდა შექმნას და უზრუნველყოს იძულებით გადაადგილებული პირები გრძელვადიანი და მდგრადი გადაწყვეტილებით, უსაფრთხო და ღირსეულ პირობებში, და პატივი უნდა სცეს და უზრუნველყოს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლება მიიღონ ინფორმირებული და ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება დაბრუნების, ადგილობრივად ინტეგრირების თუ ქვეყნის სხვა ნაწილში განსახლების შესახებ.

(2) 1-ლი ქვეპუნქტის ზოგადი დებულების შეზღუდვის გარეშე, გრძელვადიანი გადაწყვეტისას უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი პირობები:

- (ა) გრძელვადიანი უსაფრთხოება და დაცულობა;
- (ბ) გადაადგილების თავისუფლების და მისი გამოყენების სრული აღდგენა;
- (გ) ცხოვრების სათანადო პირობებით სარგებლობა დისკრიმინაციის გარეშე;
- (დ) დასაქმებაზე და საარსებო საშუალებებზე ხელმისაწვდომობა;
- (ე) საცხოვრებლის, მიწის და საკუთრების აღდგენის ეფექტიან მექანიზმზე ხელმისაწვდომობა;
- (ვ) დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა;
- (ზ) ოჯახის გაერთიანების და უზოგადოდ დაკარგული ნათესავების ბედისა და ადგილმდებარეობის დადგენა;
- (თ) საზოგადოებრივ საქმეებში თანაბარი მონაწილეობა;
- (ი) მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა დისკრიმინაციის გარეშე.

- საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა დისკრიმინაციის გარეშე, საჯარო სამსახურში დასაქმების, ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნისა და ხმის მიცემის ჩათვლით (IASC ჩარჩო, გვ. 41-42);
- ეფექტიან სამართლებრივ საშუალებებზე და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა (იხ. ქვემოთ, „სამართლებრივი საშუალებები და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა“) (IASC ჩარჩო, გვ. 42-46).

იგპ კანონი უნდა აღიარებდეს გრძელვადიანი გადაწყვეტილების მიღწევის პროცესში ეროვნულ ხელისუფლებასთან ერთად სხვა აქტორთა ჩართვის მნიშვნელობას. კერძოდ, მასში გათვალისწინებული უნდა იქნეს:

- იგპ-თა და სხვა დაზარალებული თემების მონაწილეობა გრძელვადიანი გადაწყვეტილების დაგეგმვასა და განხორციელებაში. იგპ-თა შესაძლებლობების განმტკიცებასთან ერთად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შეთავაზებული გადაწყვეტის ჭეშმარიტი საიმედოობა: იგი უნდა აკმაყოფილებდეს მოსახლეობის საჭიროებებსა და პრობლემებს და უნდა ჰქონდეს უფრო თვალსაჩინო და გრძელვადიანი ეფექტი;
- სპეციალური დებულება, რომელიც არეგულირებს ჰუმანიტარული და განვითარების აქტორთა ხელმისაწვდომობას. დაცვისა და დახმარების შესახებ ზემოაღნიშნული მოსაზრებები ანალოგიურად ვრცელდება გრძელვადიანი გადაწყვეტილების მიების პროცესზე. ჰუმანიტარულ აქტორებს კვლავ უნდა ჰქონდეთ თავისუფალი და დაუბრკოლებელი წვდომა ყველგან, სადაც კი მათი დახმარება მოითხოვება, გადაწყვეტის მიღწევის შემდეგაც;



18 სულიანი ოჯახის რამდენიმე თაობა ბუალედან (ცენტრალური სომალის სამხრეთი) გვალვას გამოექცა და თავი გალკაისს შეაფარა.

- განვითარების აქტორთა (ეროვნული, საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების) სრული ჩართვა გრძელვადიანი გადაწყვეტილების მიებაში, რაც განვითარების დაგეგმვის განუყოფელი ნაწილია;
- იგპ-თა და სხვა დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის უწყვეტი მონიტორინგის მექანიზმის უზრუნველყოფა. მონიტორინგი საშუალებას იძლევა მოიძებნოს მოქნილი გადაწყვეტილებები და უკეთესი რეაგირება იგპ-თა და სხვა დაზარალებული თემების ცვალებად მოთხოვნებზე. მონიტორინგის და იმპლემენტაციის საკითხი უფრო სრულად მეხუთე თავშია განხილული.

### სამართლებრივი დაცვის საშუალებები და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

იძულებით გადაადგილებულ პირებს აქვთ სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უფლება იმ ზიანის გასაჩივრებისთვის, რომელიც მათ იძულებითი გადაადგილების დროს განიცადეს. ასეთი საშუალებების უზრუნველსაყოფად ყველაზე შესაფერი ინსტრუმენტი კანონმდებლობაა, რომელიც მოითხოვს გარკვეული ოფიციალური პროცესების წარმოებას, რომლებიც სახელმწიფომ უნდა დაიწყოს და განახორციელოს. აქედან გამომდინარე, იგპ კანონი უნდა ითვალისწინებდეს:

- თვითნებური გადაადგილებით და შესაბამისი ადამიანის უფლებების ხელყოფით გამოწვეული ფიზიკური და ფსიქიკური ზიანის რეპარაციას (კომპენსაციას და დაკმაყოფილებას);
- დაკარგული საცხოვრებლის, მიწისა და სხვა ქონების რესტიტუციას, სადაც ეს შესაძლებელია, ხოლო, სადაც შესაძლებელი არ არის - ზიანის კომპენსაციას. წარმატებული გრძელვადიანი გადაწყვეტის მისაღწევად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საცხოვრებელი, მიწა და საკუთრება.



## სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა: სახელმძღვანელო პრინციპები, 29 - ე პრინციპი

ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს აკისრიათ მოვალეობა და პასუხისმგებლობა, რათა დაეხმარონ დაზარალებულ და/ან ხელახლა დასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირებს აღუდგინონ, შესაძლებლობის მაქსიმალურ ფარგლებში, მათ საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული ქონება, რომელიც მათ დატოვეს ან წაერთვათ გადაადგილებისას. როდესაც ქონების და მფლობელობის აღდგენა შეუძლებელია, ხელისუფლების უფლებამოსილმა ორგანომ უნდა უზრუნველყონ ან დაეხმარონ ამ პირებს შესაბამისი კომპენსაციის ან სხვა სახის რეპარაციის მიღებაში.

თუკი გადაადგილება მოხდა ფართომასშტაბიანი სისასტიკის შედეგად, მაშინ იგუკანონით უნდა განისაზღვროს მართლმსაჯულების გარდამავალი მექანიზმები, რაც შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს ნდობის კომისიების მეშვეობით, ასევე რესტიტუციაზე, რეპარაციაზე და სამართლიანობაზე ორიენტირებული უსაფრთხოების სექტორის რეფორმით. ამ პროცესებისთვის ხელშეწყობა შეუძლიათ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებს, მათი მოკვლევისა და გამოძიების ფუნქციებით. ისინი შესაძლოა უკვე ფლობდნენ საგულისხმო ინფორმაციას გადაადგილების შესახებ, ხოლო დაზარალებულ მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობა მათ კარგ საშუალებას აძლევს შესაძლო დარღვევების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად. სათანადო შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მანდატი შეიძლება იგუკანონში განისაზღვროს.

კანონით უნდა იქნეს აგრეთვე დადგენილი იგუკ-თა სამართლიანი დაცვის უფლება (რესტიტუციის ან კომპენსაციის). კანონის საფუძველზე უნდა შეიქმნას სტრუქტურები, რომლებიც ამ უფლების განხორციელებას უზრუნველყოფს. პარლამენტის წევრებმა ეროვნულ იგუკ კანონში უნდა გაითვალისწინონ შემდეგი საკითხები:

- ❑ რა სახის სამართლებრივი დაცვის მექანიზმები არსებობს? იძულებითი გადაადგილება სხვადასხვა სახის ზიანს იწვევს, ამიტომაც არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა მომჩივანი უპირატესობას რესტიტუციას ანიჭებს. სამართლებრივი დაცვის რეალური მექანიზმების შესახებ მოლაპარაკება უნდა გაიმართოს სახელმწიფოსა და მომჩივანს შორის, რათა მიღწეული იქნეს ორივე მხარისთვის სასურველი შედეგი.
- ❑ რომელი ორგანოები არიან პასუხისმგებელი სამართლებრივი დაცვის განხორციელებაზე? ეს შეიძლება დაევალოს არსებულ სასამართლო სისტემას, ან, საჩივრების სწრაფად განხილვის მიზნით, შეიძლება შეიქმნას სპეციალური სასამართლოები ან ადმინისტრაციული ორგანოები. ადამიანის უფლებათა მასშტაბური დარღვევების ან კონფლიქტის ფონზე შეიძლება უფრო ეფექტური აღმოჩნდეს ანგარიშვალდებულების

მექანიზმებისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების ინტეგრირება უფრო ფართო გარდამავალი მართლმსაჯულების პროცესის სახით.

- ❑ როგორ მიმდინარეობს საჩივრებზე მუშაობის პროცესი? დაზარალებულ მოსახლეობაზე დაკისრებული ადმინისტრაციული ტვირთი მინიმუმამდე უნდა შემცირდეს და გათვალისწინებული უნდა იქნეს გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემები.
- ❑ ვის შეუძლია მოითხოვოს სამართლებრივი დაცვა? გადაადგილება, თვით გადაადგილებულების გარდა, მრავალ სხვა ადამიანზე ახდენს ზემოქმედებას, მიმღები თემების და დაზარალებული მოსახლეობის ჩათვლით. იგი ასევე მოქმედებს არასახელმწიფო აქტორებზე და სხვა სუბიექტებზე, რომლებიც გადაადგილების არეალში მოქმედებენ. სადაც შესაძლებელია, ამ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ უფლება, საჩივარი შეიტანონ გადაადგილების შედეგად მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით.
- ❑ როგორ შეიძლება მოხდეს საცხოვრებლის, მიწისა და საკუთრების რესტიტუცია? რა შემთხვევებში? რომელი ორგანოები იღებენ პასუხისმგებლობას რესტიტუციის პროცესზე?
- ❑ რა ფაქტორების გათვალისწინება უნდა მოხდეს კომპენსაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას? ქვეყნის სამართლებრივი ტრადიციებიდან გამომდინარე, კანონში შეიძლება განისაზღვროს დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი ფაქტორები.

იგუკ-თვის ეფექტური სამართლებრივი საშუალებების უზრუნველსაყოფად საჭიროა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა. პარლამენტის წევრებმა უნდა იცოდნენ, თუ როგორ უნდა იქნეს ინტეგრირებული იგუკ-თა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულების სისტემაზე. ასეთმა ინტეგრირებამ შეიძლება მოითხოვოს არსებული პროცედურების შესწორება, როდესაც აღნიშნული ასპექტი კანონმდებლობაში უკვე გათვალისწინებულია. პოტენციური რეფორმების მაგალითებია:

- ❑ მსგავს ან ერთსა და იმავე ტერიტორიიდან (მაგალითად, სადაც მოხდა ქონების მასობრივი წართმევა) მიღებული საჩივრების გაერთიანება ჯგუფურ სარჩელებად, ან მათი წარმოდგენა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომლებმაც უკეთ იციან სასამართლო პროცესები.
- ❑ პროცედურების დაჩქარება დოკუმენტების მოთხოვნის შემცირებით, საქმის მენეჯმენტის პროცედურების გაუმჯობესებით, გადაწყვეტილების მიღების და საქმის წარდგენის ვადების შემცირებით, შესაძლებლობის შემთხვევაში - სავალდებულო გრაფიკის დადგენით. ამისთვის შეიძლება საჭირო გახდეს რეგულაციების ან კანონმდებლობის გადასინჯვა, ან შესწორება. ეს ამოცანა პარლამენტის წევრებმა უნდა შეასრულონ, რამეთუ

ეს არის მათი საქმიანობის ნაწილი ეროვნული იგპ ჩარჩოს შემუშავებაში.

- ❖ იგპ-თვის მტკიცებულების ტვირთის შემსუბუქება ან შეცვლა, რამეთუ მათ, უმრავლეს შემთხვევაში, ხელი არ მიუწვდებათ, ან არ შეუძლიათ სათანადო მტკიცებულების წარმოდგენა მათი საჩივრების გასამყარებლად.
- ❖ სპეციალური პროცესების ჩატარება მართლმსაჯულებაზე ქალებისათვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, რადგან ქალები ხშირად თავს იკავებენ ჩივილისაგან ან მართლმსაჯულების განხორციელებისაგან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება სქესობრივ ექსპლუატაციას და ძალადობას.
- ❖ სპეციალური პროცედურების შემუშავება სხვა ჯგუფებისთვის, რომლებსაც შესაძლებელია დასჭირდეთ დამატებითი დახმარება მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისთვის, მკვიდრი მოსახლეობის, ბავშვების და სხვა ჯგუფების ჩათვლით.

ეს ღონისძიებები ყველა სასამართლო ორგანოში უნდა განხორციელდეს; იგპ-ს, ყველა მოქალაქის მსგავსად, მართლმსაჯულების სისტემისთვის მიმართვა მრავალი სხვადასხვა მიზეზის გამო სჭირდება. მაგრამ იგპ კანონში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომპენსაციისა და სხვა გრძელვადიანი გადაწყვეტის უზრუნველყოფის პროცედურებს.

რესტიტუციის ან კომპენსაციის საჩივრებზე რეაგირებისთვის მრავალმა სახელმწიფომ სპეციალური კომისიები შექმნა, რომლებსაც აქვთ საჩივრების დაჩქარებული წესით განხილვის უფლება და შეუძლიათ გაითვალისწინონ ისეთი გარემოებები, რასაც ოფიციალური სასამართლო სისტემა ვერ ახერხებს. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ინსტიტუციები შექმნილია, პარლამენტის წევრებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ფუნქციონირება შეესაბამებოდეს მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

## თავი მესამე: რეზიუმე და სამოქმედო საკითხები

იგპ კანონმა უნდა დაადგინოს იგპ-თა დაცვაზე და დახმარებაზე პასუხისმგებელი ეროვნული ორგანო.

✓ პარლამენტარებმა უნდა განიხილონ თავიანთი კანონპროექტი, რათა უზრუნველყონ ეროვნული უფლებამოსილი ორგანოს კონკრეტულად განსაზღვრა და მისი უფლებამოსილების მკაფიოდ ჩამოყალიბება.

იგპ კანონი უნდა მოიცავდეს იძულებით გადაადგილებული პირის ფართო დეფინიციას.

✓ პარლამენტარებმა უნდა განიხილონ თავიანთი კანონპროექტი, რათა უზრუნველყონ ისეთი დეფინიციის ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს ორ კრიტერიუმს: იძულებით გადაადგილებას, რომელიც ხდება ეროვნული საზღვრებში.

იგპ კანონი უნდა ეფუძნებოდეს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს.

✓ პარლამენტარებმა უნდა განიხილონ თავიანთი კანონპროექტი, რათა უზრუნველყონ დისკრიმინაციის დაუშვებლობა იმ მოქალაქეებთან მიმართებით, რომლებიც გადაადგილებულნი არ არიან, ან გადაადგილებული მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

იგპ კანონი უნდა უზრუნველყოფდეს გადაადგილების პრევენციისა და თვითნებური გადაადგილების ქმედებათა კრიმინალიზაციის მექანიზმებს.

✓ პარლამენტარებმა უნდა განიხილონ თავიანთი კანონპროექტი, რათა უზრუნველყონ, რომ იძულებითი გადაადგილების პრევენციაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდეს სახელმწიფოს, ხოლო როდესაც გადაადგილება გარდაუვალია, კანონი უნდა მოიცავდეს დებულებებს, რომლებიც გადაადგილებით გამოწვეულ ზემოქმედებას მინიმუმამდე შეამცირებს.

✓ პარლამენტარებმა უნდა განიხილონ თავიანთი კანონპროექტი, რათა უზრუნველყონ თვითნებური გადაადგილების და მსგავსი ქმედებების კრიმინალიზაცია, სათანადო შემთხვევებში.

იგპ კანონი უნდა უზრუნველყოფდეს დაცვისა და დახმარების მექანიზმებს იგპ-თა ყველა ძირითად უფლებასთან მიმართებაში.

✓ პარლამენტარებმა უნდა განიხილონ ამ თავში განსაზღვრული ყველა ძირითადი უფლება და უზრუნველყონ კანონპროექტში მათი განხორციელებისთვის საჭირო დებულებების ჩართვა.

✓ პარლამენტარებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იგპ კანონი ავსებდეს კატასტროფების მართვის კანონმდებლობას.

იგპ კანონი უნდა უზრუნველყოფდეს გრძელვადიან გადაწყვეტილებას.


✓ პარლამენტარებმა უნდა განიხილონ თავიანთი კანონპროექტი, რათა უზრუნველყონ მასში ეფექტური სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გათვალისწინება, მიყენებული ზიანის რეპარაციისა და, ასევე, საცხოვრებლის, მიწისა და ქონების რესტიტუციის ჩათვლით, ხოლო, სათანადო შემთხვევაში, ზარალის კომპენსაციის.

✓ პარლამენტარებმა უნდა განიხილონ თავიანთი კანონპროექტი, რათა უზრუნველყონ იგპ-თვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა.



**პანი მესამე**

**პარლამენტარტა, რეგონს აოლიტოკურ  
ლიტარტა რელი**





## თავი მეოთხე

### სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა

ამომრჩეველთა წინაშე საშინაო პოლიტიკის წარდგენაზე პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული პარლამენტის წევრები არიან. მათ შორის შეიძლება იყვნენ იგპ ან დაზარალებული მოსახლეობის წარმომადგენლები. იგპ კანონის შემუშავებისას პარლამენტართა როლის მნიშვნელოვანი კომპონენტია სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა რეფორმის პროექტში. სამოქალაქო საზოგადოებასთან პარლამენტართა ურთიერთობა ორ მიზანს ემსახურება:

- პარლამენტის წევრისთვის დახმარების გაწევა ინიციატივების, იდეებისა და მათი ამომრჩევლების ინტერესების ეროვნულ დონეზე განხორციელებაში. ხშირად, სამოქალაქო საზოგადოების წევრები შეიძლება უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულნი და უკეთ ესმოდეთ იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული საკითხები. პარლამენტარებს კონტაქტი აქვთ გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და მათ თავიანთი ელექტორატი უნდა წარმოადგინონ იგპ კანონის შემუშავების მთელი პროცესის განმავლობაში.



პატარა ბიჭი და მისი უმცროსი ძმა შორეულ მდინარისპირა სოფელ იმზარგიში, მიანმარის რახინეს შტატი.



- ▶ თავიანთ ელექტორატებში ინფორმირებულობის ამაღლება იგპ კანონის შემუშავებისას პარლამენტის საქმიანობის შესახებ. იგი მოცავს:
  - კანონპროექტისა და მისი შედეგების ახსნას;
  - სამოქალაქო საზოგადოებისთვის შესაძლებლობის უზრუნველყოფას, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ კანონის შემუშავებაში და გაეცნონ პარლამენტის საკონსულტაციო პროცედურებს.

ზოგიერთ საარჩევნო სისტემაში პარლამენტარები არ წარმოადგენენ რომელიმე კონკრეტულ გეოგრაფიულ ტერიტორიას ან ელექტორატს. მაგრამ იძულებითი გადაადგილება ფართომასშტაბიან ზემოქმედებას ახდენს მთელ ქვეყანაზე და მის ინსტიტუტებზე. მისი ზემოქმედების შემცირება ყველა დეპუტატის ვალია, ამასთან, ისინი უზრუნველყოფენ სამოქალაქო საზოგადოების ხელმისაწვდომობას გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებზე.

### ამომრჩეველთა ადვოკატირება: ქვემოდან ზემოთ მიდგომის ხელშეწყობა

*“ჩვენი როლია შესაძლებლობათა განვითარება... რისი გაკეთება შეგვიძლია ჩვენ ჩვენსავე ელექტორატში? როგორ უნდა ჩავრთოთ საზოგადოება? ჩვენ შეიძლება გვეკონდეს გრანდიოზული ეროვნული გეგმები, მაგრამ მოქმედება ადგილობრივ დონეზე ხდება”*

საბერ ჩოლდჰური, დეპუტატი  
 ბანგლადეშის კლიმატის ცვლილებების და ეკოლოგიის ყველა პარტიის საპარლამენტო ჯგუფი,  
 UNISDR-ის საპარლამენტო ჩემპიონი,  
 საპარლამენტთაშორისო კავშირის მშვიდობისა და უსაფრთხოების მუდმივმოქმედი კომიტეტის თავმჯდომარე (2013)

სავსებით შესაძლებელია, რომ რეფორმის იმპულსი სამოქალაქო საზოგადოებისაგან წამოვიდეს. მაგალითად, კენიის ლტოლვილთა კონსორციუმმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ქვეყნის იგპ კანონის ინიცირებასა და შემუშავებაში. პარლამენტის წევრები მზად უნდა იყვნენ, რათა მოუსმინონ და მხარი დაუჭირონ ამომრჩეველთა ასეთ ინიციატივებს.

ეს იწყება პარლამენტის წევრთა მზადყოფნით საუბრისთვის ნებისმიერ ჯგუფთან, რომლებიც მათთან მოდიან. მათ თავიანთ ამომრჩეველებს უნდა შეუქმნან უშუალო გარემო და მოისმინონ მათი პრობლემები. ამის მისაღწევად შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი მეთოდები:

- ▶ თავიანთი საოლქო ოფისების რეგულარული მონახულება, ასევე ვიზიტები ოლქის ტერიტორიაზე და მის გარეთ;
- ▶ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან შეხვედრებისთვის დროის გამოყოფა;
- ▶ ზუსტი საკონტაქტო ინფორმაციის უზრუნველყოფა, რათა მათთან და მათ ოფისთან დაკავშირება ადვილი იყოს;
- ▶ მათი თანამშრომლების უზრუნველყოფა სწავლებით, რაც აუცილებელია ამომრჩეველებთან ურთიერთობისთვის და ამ უკანასკნელთა პრობლემებზე რეაგირებისთვის;
- ▶ ღონისძიებებზე სიტყვით გამოსვლა და შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებთან.

შემდეგი ნაბიჯია სამოქალაქო საზოგადოების პრობლემათა დაყენება ეროვნულ დონეზე, მათი უშუალო ჩართვა იგპ კანონში, ან, სულ მცირე, მათი განხილვა კანონის მომზადებაში მონაწილე კოლეგებთან. ელექტორატის პრობლემათა შესახებ მთავრობისთვის ინფორმაციის მიწოდების კარგი საშუალებაა ასეთი პრობლემების განხილვა საპარლამენტო დებატების ან შეკითხვების სესიის დროს.

### კენიაში საპარლამენტო შეკითხვების გამოყენება იძულებითი გადაადგილების პრიორიტეტულ საკითხად შენარჩუნების მიზნით

პარლამენტის წევრებს სამოქალაქო საზოგადოებისთვის დახმარების გაწევა არსებული საპარლამენტო პროცესების გამოყენებით შეუძლიათ. 2011 წლის დეკემბერში კენიის ლტოლვილთა კონსორციუმმა მოაწყო სემინარი, სადაც აღიარებულ იქნა კენიის იძულებით გადაადგილებულ პირთა რეაგირების გააქტიურების მნიშვნელობა. სემინარზე მომზადდა სამი საპარლამენტო შეკითხვა პასუხისმგებელ მინისტრთან. ეს შეკითხვები პარლამენტის წევრმა ეკვე ეთურომ დასვა:

- „(ა) შეუძლია მინისტრს დაგვიდასტუროს, რომ კენიაში არ არის იძულებითი გადაადგილების პრევენციისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების ეროვნული პოლიტიკა, მიუხედავად იმისა, რომ ათასობით იგპ გყავს და სულ მალე საყოველთაო არჩევნები გაიმართება?”
- (ბ) შეუძლია მინისტრს შეაფასოს ამ პოლიტიკის დამტკიცების მდგომარეობა, ასევე იგპ-თა ხელახლა განსახლების მდგომარეობა?”
- (გ) რა ნაბიჯებს დგამს მინისტრი იმისთვის, რომ მოხდეს პოლიტიკის სწრაფი ჩამოყალიბება, დამტკიცება და განხორციელება?”

კენიის დღის წესრიგში ამ საკითხის მტკიცე შენარჩუნების შედეგად 2012 წელს კენიამ მიიღო დეტალური კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ.

პარლამენტის წევრებს ასევე შეუძლიათ და უნდა შეუწყონ კიდეც ხელი სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების მონაწილეობას იგპ კანონის შემუშავებაში. მთავრობაზე ხელმისაწვდომობა მათ საშუალებას აძლევს ინიციატივების მხარდასაჭერად გამოიყენონ შემდეგი საშუალებები:

- ▶ რესურსების უზრუნველყოფა, საკანონმდებლო პრიორიტეტების განსაზღვრა ან გრანტების ჩართვა საბიუჯეტო ასიგნებების დამტკიცების კანონმდებლობაში;
- ▶ საკოორდინაციო მექანიზმების შექმნა (იხ. მეექვსე თავი), რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- ▶ შეკრებების, კონფერენციების ან სხვა ღონისძიებათა ორგანიზება სამოქალაქო ჯგუფებს შორის აზრთა გაზიარების ხელშეწყობის მიზნით;
- ▶ ჯგუფებთან უშუალო კონტაქტები, როდესაც მათი შეხედულება შეიძლება რელევანტური იყოს იგპ კანონმდებლობაში კონკრეტული წინადადების ჩამოსაყალიბებლად.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში უშუალო ჩართვა ასევე შესაძლებელია ორგანიზაციათა წევრობის ან მათი თავმჯდომარეობის მეშვეობით. მაგალითად, ბანგლადეშში ეროვნული წითელი ნახევარმთვარის

საზოგადოების თავმჯდომარეა პარლამენტის წევრი მოჰამედ სარაჯულ აკბარი. 2013 წლის დასაწყისში, როდესაც გამანადგურებელმა შტორმმა ათასობით ადამიანი იძულებული გახადა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მან მობილიზება გაუწია როგორც პარლამენტს, ისე წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებას.

პარლამენტის წევრებთან საკუთარ პრობლემებზე საუბრისას შეიძლება ყველა ჯგუფმა კომფორტულად ვერ იგრძნოს თავი. ასეთ შემთხვევაში, იგპ კანონის შემუშავებაში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა, შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მეშვეობით. ეს შეიძლება ორი გზით მოხდეს:

- ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ საჩივრებისა და კომენტარების მოხმენით;
- საპარლამენტო კომიტეტებისთვის, პარლამენტის წევრებისთვის და მთავრობისთვის ამ პრობლემების წარდგენით.

პარლამენტის წევრებმა თავიანთ საარჩევნო ოლქებში ხელი უნდა შეუწყონ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტების საქმიანობაში, რისთვისაც უნდა გაავრცელონ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- რა არის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი და როგორ შეიძლება მათთან კონტაქტის დამყარება;
- ინსტიტუტის ძირითადი ფუნქციები;
- ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებთან მუშაობის პროცედურები.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მონიტორინგის და შეფასების ფუნქციები განხილულია მეექვსე თავში.

### **იგპ-თა და დაზარალებული მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფა**

დაზარალებული მოსახლეობის რეფორმაში მონაწილეობის დონე წარმატებული რეფორმის ძირითადი მაჩვენებელია. იძულებითი გადაადგილების კონტექსტში ეს ნიშნავს კონსულტაციების გამართვას შემდეგ ჯგუფებთან:

- თვით იგპ-თან, თანაბრად როგორც მამაკაცებთან, ისე ქალებთან. იგპ-თან კონსულტაცია უნდა ასახავდეს იგპ-თა სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლობას, რომლებსაც აქვთ სპეციფიკური საჭიროებები, მათ შორის, ბავშვებს, მოხუცებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, უმცირესობათა ჯგუფებს და მწყემსებს ან მკვიდრ თემებს;
- მიმღებ თემებთან და მათი ინტერესების გამომხატველ ორგანიზაციებთან.

### **ქვემოდან ზემოთ მიდგომა: ეროვნული საკონსულტაციო სემინარი ავღანეთში**

2012 წლის ივლისში ავღანეთში იგპ რეფორმები დაიწყო ქვემოდან ზემოთ მეთოდის გამოყენებით. ლტოლვილთა და რეპატრაციის მინისტრმა, დოქტორმა ჯამაჰერ ანვარიმ, ეროვნული იგპ პოლიტიკის შემუშავების პროცესის მხარდასაჭერად ეროვნული საკონსულტაციო სემინარი მოიწვია. იგპ თემებს ყველა სესიაზე და სამუშაო ჯგუფებში წარმომადგენდნენ როგორც ქალი, ისე მამაკაცი დევნილები. მათ საშუალება მიეცათ მჭიდრო სამუშაო ურთიერთობები დაემყარებინათ მიმდინარე რეფორმებზე პასუხისმგებელ სამინისტროსთან. სემინარს წინ უძღოდა სავლე ვიზიტები ჯალალაბადში, ქაბულსა და ჰერატში, რასაც მოჰყვა კონსულტაციები იგპ პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე ქაბულის, ბალკის, ფარიაბის, ყანდაგარის, ჰერატის და ნანგარჰარის პროვინციებში. ამით იგპ პოლიტიკის სამუშაო ჯგუფს საშუალება მიეცა უფრო ღრმად ჩასწვდომოდა საკითხის არსს, ხოლო პროექტმა იძულებით გადაადგილებული პირების ყურადღება მიიპყრო და ისინი მონაწილეობისთვის განაწყო.

როგორც მესამე თავშია აღნიშნული, კონსულტაციები ოფიციალური საპარლამენტო პროცედურის ნაწილია. თუმცა, ასეთი ფორმალური კონსულტაციების გარდა, პარლამენტარებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ჯგუფებთან რეგულარულ და მიმდინარე დიალოგში, იძულებითი გადაადგილების და რეფორმის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობის ყველა ფაზაში (პოლიტიკის შემუშავების, დაწერის, მიღების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების). პარლამენტის წევრებმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა ჩართონ დაზარალებული მოსახლეობა, რადგან:

- იგპ-ს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სიტყვის თავისუფლებისა და პოლიტიკური მონაწილეობის უფლების საფუძველზე (იხ. თავი მეორე);
- დაზარალებული მოსახლეობის ჩართვა ხელს უწყობს იძულებით გადაადგილებულ პირთა წინაშე მდგარი გამოწვევების უკეთ დანახვას:
  - სიტაუციის ანალიზი და საჭიროებების შეფასება, რომელთა გათვალისწინება ხდება კანონმდებლობის მომზადებისას, უფრო რეალისტური იქნება და უკეთ ასახავს რეალისტურ საჭიროებებსა და ადგილზე არსებულ სისუსტეებს.
  - იგპ-ს შეუძლიათ მიაწოდონ არსებითი, პრაქტიკული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ოჯახებისა და ინდივიდუალური პირების ცხოვრების პირობები და უსაფრთხოება, უმცირესობების და განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების ჩათვლით, განსაკუთრებით მათი, ვისაც რეპროდუქციული ჯანმრთელობის საჭიროება აქვს;
- დაზარალებულ მოსახლეობას მისი მდგომარეობა საშუალებას აძლევს შემოქმედებითად გადაწყვიტოს რთული პრობლემები საკუთარი ქსელებისა და უნარების მეშვეობით;
- იგპ-თა ჩართვა იმ კანონების შემუშავებაში, რომლებიც მათზე ახდენს ზემოქმედებას, იგპ-თა გაძლიერებას უწყობს ხელს. იგი ამცირებს დამოკიდებულებას, ხელს უწყობს რეინტეგრაციის და თვითკოორდინაციის განმტკიცებას. გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაზარალებული მოსახლეობის ჩართვა მათ აძლევს ცოდნას



სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებისა და კანონების შესახებ, განამტკიცებს მათ ნდობას სახელმწიფოსთან ურთიერთობის პროცესში.

### **კონსულტაცია: მოსაზრებები და წინადადებები**

პარლამენტის წევრებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ კარგი კონსულტაციების ჩატარებას თავიანთ ამომრჩეველებთან - როგორც ოფიციალურ ფორმატში, ისე არაოფიციალურ გარემოში.

#### **დედაქალაქის ფარგლებს გარეთ გასვლა**

➤ პარლამენტის წევრები მაქსიმალურად უნდა ეცადონ იმოგზაურონ თავიანთ ოლქში და მთელ ქვეყანაში, რათა გაავრცელონ ინფორმაცია და მოისმინონ კომენტარები. შორეულ რეგიონებში, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ დანიშნონ საკონტაქტო პირი. ეს განსაკუთრებით რელევანტურია იგპ-თა მიმართებაში, რადგან მათ უმრავლესობას დედაქალაქში ჩატარებულ კონსულტაციებზე დასწრების საშუალება არა აქვს.

#### **ყველაფერი იყოს გასაგები და მისაწვდომი**

- იმისათვის რომ კონსულტაციები იყოს სასარგებლო, საჭიროა მოხდეს მათი ფოკუსირება კონკრეტულ სადისკუსიო საკითხებზე.
- შეიძლება მომზადდეს კანონპროექტის მოკლე ანოტაცია ან გზამკვლევი, რაც ჩართულ სუბიექტებს პროცესების აღქმაში დაეხმარება. შეიძლება ჩატარდეს საინფორმაციო სესიები, სადაც განხილული იქნება კონკრეტული საკითხები და დიდი დრო დაეთმობა კომენტარებს.
- იდეალურ შემთხვევაში კანონპროექტი და სხვა საკონსულტაციო დოკუმენტები ადგილობრივ ენებზე უნდა ითარგმნოს.

#### **დრო კარგი იდეების გამოსავლენად**

➤ კონსულტაციებში მონაწილეებს უნდა მიეცეთ საკმარისი დრო, რათა მათ გაიაზრონ მიღებული ინფორმაცია და ჩამოაყალიბონ თავიანთი იდეები და მოსაზრებები. ზოგჯერ ამას შეიძლება რამდენიმე კვირა დასჭირდეს. ჯგუფებს, რომლებსაც წინადადებების განხილვის მიზნით შეხვედრების ჩატარება სურთ, უნდა მიეცეთ დრო, რათა მათ წინადადებებსა და კომენტარებში უკეთ ასახონ რეალური საჭიროებები.

#### **ჩართულობისთვის ფართო შესაძლებლობების უზრუნველყოფა**

- წინადადებების მიღების მოქნილი სისტემა მეტ ჩართულობას უზრუნველყოფს. შესაძლებელია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი კონსულტაციები. კარგ შედეგებს იძლევა სტანდარტული საკონსულტაციო ფორმები ან კითხვარები.
- კონსულტაციებში მონაწილეთა წვლილის ოფიციალურად აღიარების მიზნით მთავრობას შეუძლია მოუწოდოს მათ მიმდინარე პროცესებში უფრო აქტიური ჩართვისკენ.

იმ დაზარალებული მოსახლეობის ჩართვის მიზნით, რომელსაც არ შეუძლია პარლამენტის წევრის საოლქო ოფისში მისვლა, ან უჭირს მთავრობის წარმომადგენლებთან საუბარი, პარლამენტის წევრებმა უნდა მიიღონ სპეციალური ზომები, კერძოდ:

- ბანაკების და იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების სხვა ადგილების მონახულება. უნდა მოხდეს იგპ მოსახლეობაში იმ ჯგუფთა განსაზღვრა, რომლებიც ნაკლებადაა წარმოდგენილი და ორგანიზებული იქნას მათთან შეხვედრები;
- სემინარების ან ფორუმების ჩატარება, რომლებსაც ეს დაზარალებული მოსახლეობა დაესწრება. ეს ღონისძიებები უნდა ჩატარდეს ისეთ ადგილზე, სადაც მათ არ მოერიდებთ საუბარი სხვა ჩართულ მხარეებთან და მათ თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ;
- პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართული დეპარტამენტების სათანადო დაფინანსების ხელშეწყობა.

### **ცნობიერების ამაღლება**

გადაადგილების ყველა ფაზაში, იძულებითი გადაადგილების შესახებ ცნობიერების ამაღლება პარლამენტართა ერთ-ერთი მოვალეობაა, განსაკუთრებით - იგპ კანონის შემუშავების პროცესში. ამ პროცესში მათ უნდა უზრუნველყონ შემდეგი:

- იძულებითი გადაადგილების სტიგმის დაძლევა, როგორც პოლიტიკურად ტაბუდადებული საკითხის. ეროვნული სოლიდარობის განცდის ხელშეწყობა როგორც დაზარალებული მოსახლეობის მიმართ, ისე მათ შორის, რაც შექმნის რეფორმებისადმი მზადყოფნის ატმოსფეროს; მოსახლეობისთვის შეხსენება იმისა, რომ იგპ არიან ქვეყნის მოქალაქეები და რომ მათი დაცვა და დახმარება სახელმწიფოს ვალია იგპ კანონის საფუძველზე;
- სათანადო ჯგუფების ორიენტირება საკვანძო საკითხებზე, რათა მათ განიხილონ, თუ როგორ შეიძლება სახელმძღვანელო პრინციპებისა და სხვა საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება ეროვნულ კონტექსტში. ეს პროცესი ხელს უწყობს შესაძლებლობების განვითარებას და გამჭვირვალობას იგპ კანონის მომზადების პროცესში;
- იძულებითი გადაადგილების ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება იგპ-სა და მიმღები თემებისთვის მათი უფლებების გაცნობის მეშვეობით. გარდა ამისა, ცნობიერების ამაღლების კამპანია ახდენს ეროვნული და საერთაშორისო აქტორების მობილიზებას და ხელს უწყობს ქსელების განმტკიცებას, რასაც მთავრობა უწყევს ხელმძღვანელობას;
- სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების შესაძლებლობების გაზრდა იგპ კანონის შემუშავებაში მათი მონაწილეობის გააქტიურების მიზნით.

ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია ინფორმაციული გზავნილის გატანა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და დაზარალებული თემების ფარგლებს მიღმა. თუმცა, ცნობიერების ამაღლების კამპანიები ეხება ყველა ეროვნულ აქტორს, რომლებიც იგპ კანონის შემუშავებაში ან განხორციელებაში არიან ჩართული. პარლამენტის წევრები უნდა შეეცადონ ამ პროცესში ჩართონ, მაგალითად:

- მთავრობის წევრები, რომლებიც მუშაობენ პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე;
- მთავრობის წევრები, რომლებიც მონაწილეობენ ამ სფეროს პოლიტიკის განხორციელებაში, ბანაკის ან ადგილობრივი ხელმძღვანელების, ასევე სამხედრო და პოლიციის მეთაურების ჩათვლით;
- ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების თანამშრომლები, უმაღლესი დონის მუშაკთა ჩათვლით (მაგ., სათანადო შემთხვევაში, კომისრებისა და ომბუდსმენების);
- პარლამენტის სხვა წევრები, ვინც განიხილავს კანონმდებლობას და პოლიტიკას და ვისაც შეუძლია ინფორმაციის შემდგომ გავრცელებაში დახმარების გაწევა.
- იგპ საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები;
- იგპ, მიმღები თემები და დაზარალებული მოსახლეობის ნებისმიერი წარმომადგენელი.

**პარლამენტართა როლი ცნობიერების ამაღლებაში**

პარლამენტის წევრებს შეუძლიათ კარგად წარმართონ ეროვნული იგპ ჩარჩოს შექმნის პროცესი, რასაც ხელს შეუწყობს ოფიციალური პირებისა და სამოქალაქო საზოგადოების ცოდნის გაღრმავება იძულებითი გადაადგილების საკითხების შესახებ. პარლამენტარებს, თავიანთი პირადი შესაძლებლობებით, უნარი აქვთ უხელმძღვანელონ იგპ კანონის განვითარებასთან დაკავშირებულ ცნობიერების ამაღლების კამპანიებს. ეს შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე გზით:

- საპარლამენტო კითხვების ან პროცედურების გამოყენება პარლამენტში იძულებითი გადაადგილების საკითხის დასაყენებლად;
- სასწავლო სემინარების მომზადება და მათში მონაწილეობის მიღება;
- ეროვნული განცხადებების დაწერა ან მონაწილეობის მიღება, მათი შემდგომი დამტკიცებისა და გავრცელების ჩათვლით;
- იძულებითი გადაადგილების შესახებ კონფერენციების ჩატარება/ ორგანიზება და საჯარო გამოსვლები;
- პრესრელიზების გავრცელება;
- დაზარალებულ ადგილებში საველე ვიზიტების ორგანიზება;
- პარლამენტარებმა, რომლებიც იმავდროულად სამთავრობო დეპარტამენტების ხელმძღვანელები არიან, დეპარტამენტის მუშაკებს უნდა მოუწოდონ ეროვნული მასშედიის და ვებგვერდების გამოყენებისკენ, ბროშურების დარიგებისკენ და ტრენინგებში მონაწილეობისკენ, რაც მათი ცნობიერების ამაღლების კამპანიის მნიშვნელოვანი ასპექტებია.

**თავისუფალი და ფართო გავრცელება იგპ-თა მიმართ უგანდის ეროვნული პოლიტიკის ასპექტი**

ცნობიერების ამაღლების კამპანიის გაგრძელება იგპ კანონის ამოქმედების შემდეგაც მნიშვნელოვანია. პარლამენტის წევრებს შეუძლიათ ეს ძალისხმევა თვით იგპ კანონში გაითვალისწინონ. სწორედ ამგვარად მოიქცნენ უგანდაში. უგანდის იგპ ეროვნული პოლიტიკა, რომელიც 2004 წელს მიიღეს, აცხადებს:

„იგპ სიტუაციის წარმატებული მართვის მნიშვნელოვანი ასპექტია სიტუაციის შესახებ ადამიანთა ინფორმირების და ყველა შესაბამის ორგანიზაციასთან სათანადო კომუნიკაციის შესაძლებლობა. იგპ პრობლემათა დიაპაზონის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრესა, რადიო და ტელევიზია.

ინფორმაციის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს იგპ-თან დაკავშირებულ ინფორმაციის უფასო გადაცემა მისდამი დაქვემდებარებული მასშედიის ყველა საშუალებით.

[...]

პრემიერ მინისტრის ოფისმა და კატასტროფებისადმი მზადყოფნისა და ლტოლვილთა დეპარტამენტმა უნდა ითანამშრომლონ სამთავრობო ინსტიტუტებთან და ჰუმანიტარულ და განვითარების დაწესებულებებთან, რათა, გადაადგილებულ პირთა სახელით, ხელი შეუწყონ მათი ტანჯვის შემსუბუქებას და დააჩქარონ მათი დაბრუნება ან განსახლება. ეს უნდა გაკეთდეს შემდეგი საშუალებებით:

- ი. უზრუნველყოფილი იქნას იძულებითი გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპებისა და ამ პოლიტიკის თარგმნა ადგილობრივ ენებზე და მათი ფართოდ გავრცელება რადიო გადაცემებისა და მასშედიის ყველა საშუალებით.
- ii. უგანდის ეროვნულ და საერთაშორისო ფორუმებზე მოხდეს ინფორმაციის გაზიარება იძულებითი გადაადგილების სიტუაციების შესახებ; და
- iii. საჭიროების შემთხვევაში შემუშავებული იქნას რეკომენდაციები.“

იგპ ეროვნული პოლიტიკა, თავი მეხუთე: ხელშეწყობა და საჯარო ინფორმაცია.

შესაძლებელია, რომ საპარლამენტო კომიტეტებმა და თვით პარლამენტარებმა ხელი შეუწყონ ცნობიერების ამაღლებას შემდეგი საშუალებებით:

- მოკვლევების ინიცირება, საკომიტეტო მოსმენების ჩატარება იძულებითი გადაადგილების საკითხებზე და დასკვნებისა და მოხსენებების გამოქვეყნება;
- საჯარო განცხადებების გამოქვეყნება;
- ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებისთვის დაფინანსების უზრუნველყოფა.

თუკი პარლამენტის წევრებს სურთ წვლილი შეიტანონ ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმატებაში, მათ კარგად უნდა ჰქონდეთ შესწავლილი სათანადო საკითხები. კანონმდებელს ყველაზე უკეთ შეუძლია ინფორმაციის



მიწოდება კანონპროექტის შესახებ. ამ როლის შესრულებისას პარლამენტის წევრებს უნდა შეეძლოს თავისუფლად აღწერონ:

- ეროვნული საკანონმდებლო პროცესი;
- იგუკანონის შემუშავებაში წვლილის შეტანის შესაძლებლობები;
- შესაბამისი ეროვნული სამართალი და კანონპროექტი, იძულებით გადაადგილებულ პირთა კონკრეტული უფლებების აღწერის ჩათვლით;
- ქვეყნისთვის შესაბამისი საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები;
- იგუ-თან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელი ძირითადი ეროვნული დაწესებულებები და მათი როლები;
- იმპლემენტაციასთან დაკავშირებული დეტალები, ახალი და შესწორებული პროცედურებისა და მათი მიზნების ჩათვლით;
- ჰუმანიტარული ორგანიზაციებისა და სხვა ეროვნული ინსტიტუტების მიერ შესრულებული როლები (მაგ., ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების).

ანალოგიური პროცესი უნდა იქნეს გამოყენებული ცნობიერების ამაღლებისთვის კანონის ამოქმედების შემდეგაც, მაგრამ ამ ეტაპზე ეს ძირითადად ეროვნულმა ორგანომ ან სამთავრობო დეპარტამენტებმა უნდა გააკეთონ.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცნობიერების ამაღლებაში, როგორც კანონის მიღებამდე, ისე მის შემდეგ. პარლამენტის წევრებმა ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს დახმარება უნდა გაუწიონ იგუ-თა შესახებ და მათი დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ვალდებულების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში. როგორ ზემოთ აღინიშნა, ეს ინფორმაცია უნდა გავრცელდეს როგორც დახმარების მიმღებთა, ისე დახმარების მიმწოდებელთა შორის. ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტს შეუძლია ხელი შეუწყოს ოფიციალური პირებისთვის ტრენინგების ორგანიზებას იგუ კანონის გამოყენების საკითხებზე, ხოლო, ასეთი კანონის არარსებობის შემთხვევაში, სათანადო საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების შესახებ. ასეთი ღონისძიებები უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას და საფუძველს უყრის ურთიერთობებს, რომლებიც იგუ კანონის წარმატებული შემუშავებისა და განხორციელებისთვისაა აუცილებელი.

## თავი მეოთხე: რეზიუმე და სამოქმედო საკითხები

ეროვნულ დონეზე ამომრჩეველთა უპირველესი წარმომადგენლები და მათი ინტერესების მხარდამჭერები პარლამენტის წევრები არიან.

- ✓ ამომრჩეველს, რომლებსაც სურთ თავიანთ დეპუტატთან შეხვედრა, ყოველთვის უნდა ჰქონდეთ ამის საშუალება;
- ✓ პარლამენტის წევრებმა უნდა ეძიონ ამომრჩეველები, განსაკუთრებით იგუ და სხვა დაზარალებული მოსახლეობა, და გამართონ მათთან კონსულტაციები თანასწორი და გულახდილი ფორმით.

სამოქალაქო საზოგადოება რეფორმების მნიშვნელოვანი ინიციატორია, ხოლო პარლამენტის წევრებმა უნდა უზრუნველყონ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების იდეებისა და ინტერესების ჩართვა იგუ კანონში.

- ✓ პარლამენტარებს უნდა ჰქონდეთ დეტალური ინფორმაცია თავიანთი ამომრჩეველების ინტერესების, იდეებისა და ინიციატივების შესახებ.
- ✓ პარლამენტარები აქტიურად უნდა ცდილობდნენ თავიანთი ამომრჩეველების სახელით ადვოკატირებას პარლამენტში, მთავრობაში და კოლეგებთან.

ეროვნული იგუ კანონის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე დახარჯული ენერჯია უკეთესი კანონმდებლობის მიღების საწინდარია.

- ✓ პარლამენტარები უნდა იცნობდნენ კანონპროექტს, საკანონმდებლო პროცესსა და საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებს, რათა ეს ყველაფერი აუხსნან იძულებით გადაადგილებულ პირებს, დაზარალებულ თემებს და ელექტორატს.
- ✓ პარლამენტარებმა აქტიურად უნდა გაავრცელონ ინფორმაცია ეროვნული საკანონმდებლო პროექტების შესახებ შეხვედრების, სემინარების, პრესრელიზების და საჯარო გამოსვლების მეშვეობით.
- ✓ პარლამენტარებმა დახმარება უნდა გაუწიონ სხვა აქტორებს, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, ცნობიერების ამაღლებისთვის განკუთვნილ საქმიანობაში.

## თავი მხუთა

### ზედამხედველობა და მონიტორინგი

კანონები ეფექტურია მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მათი გამოყენება ხდება. პარლამენტი ზედამხედველობის მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს აღმასრულებელთა მიერ იმ მოვალეობების შესრულება, რომლებსაც მათ იგპ კანონი აკისრებს. პარლამენტის წევრთა პერსპექტივიდან გამომდინარე, ზედამხედველობა და მონიტორინგი შემდეგ მიზნებს ემსახურება:

- ❑ დადგენა იმისა, შესრულდა თუ არა ამოცანები და იქნა თუ არა მიღწეული მოსალოდნელი შედეგები.
- ❑ განსაზღვრა იმისა, შესრულდა თუ არა კანონით დაკისრებული ამოცანები, და თუ არა - რატომ.
- ❑ მეთოდური ცვლილებების შეთავაზება, რათა მოხდეს რეაგირება პრობლემებზე, რომლებიც შეიძლება განხორციელების დროს წარმოიშვას.
- ❑ შეფასება იმისა, თუ როგორ ხდება რესურსების გამოყენება, რაც დაფინანსების გაგრძელების საწინდარია.

პარლამენტარები მონიტორინგში შეზღუდულ როლს ასრულებენ; მონიტორინგის ამოცანას ძირითადად ახორციელებენ სხვა აქტორები, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი ან ეროვნული საკონტაქტო ორგანო, ხოლო პარლამენტის წევრთა ძირითადი ფუნქციაა:

- ❑ ზედამხედველობის განხორციელება საპარლამენტო პროცესებისა და კომიტეტების მეშვეობით;
- ❑ სათანადო რესურსების განთავსების უზრუნველყოფა კანონის ეფექტიანი მოქმედების ხელშესაწყობად;
- ❑ სხვა აქტორებისთვის მონიტორინგის ფუნქციის დაკისრება და ამ ფუნქციის განხორციელების ხელშეწყობა;
- ❑ შეზღუდულ ფარგლებში მონიტორინგის განხორციელება საკუთარი ძალებით.

### საპარლამენტო კომიტეტების გამოყენება

საპარლამენტო ზედამხედველობის მიზანია უზრუნველყოფილი იქნეს აღმასრულებელი შტოს მიერ ეროვნული კანონების კეთილისინდისიერი განხორციელება. პარლამენტარები ამ როლს ჩვეულებრივ ასრულებენ საპარლამენტო კომიტეტებში, რომლებიც განსაკუთრებით კარგი საშუალებაა არასამთავრობო აქტორებისთვის და ოპოზიციაში მყოფი პარლამენტარებისთვის კანონმდებლობაზე ზეგავლენის თვალსაზრისით, ასევე მთავრობის ანგარიშგებისთვის ქვეყნის შიდასახელმწიფო და



საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების შესახებ.

საზედამხედველო საქმიანობისთვის ზოგიერთ პარლამენტში სპეციალური კომიტეტებია შექმნილი, ხოლო ზოგან ამ ფუნქციას ასრულებენ მულტიდისციპლინარული ან დარგობრივი კომიტეტები. სტრუქტურული მიდგომის მიუხედავად, ასეთი კომიტეტების როლი იგულისხმობს კონტექსტში ძირითადად იგივეა:

- მთავრობისაგან ინფორმაციის მოთხოვნა მისი პროგრამების განხორციელების შესახებ;
- მოკვლევის ინიცირება და ჩატარება;
- საზოგადოების წევრების, ექსპერტების, მთავრობის, დაზარალებული თემებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელთა მოსმენა;
- მოხსენებების მოთხოვნა და მიღება იგულისხმობს კანონის ნებისმიერი ასპექტის განხორციელების შესახებ;
- პარლამენტისთვის რეკომენდაციებისა და ანგარიშების მომზადება.

ანგარიშების და ინფორმაციის მოთხოვნა ძირითადად ხდება სამთავრობო დეპარტამენტებისაგან, რომლებიც იგულისხმობს კანონის შესრულებაზე არიან პასუხისმგებელნი, თუმცა, ასევე ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისაგან, ჰუმანიტარული და განვითარების ორგანიზაციებისაგან და იგულისხმობს მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან. შესაძლებლობის ფარგლებში ზედამხედველობის და მონიტორინგის მოსმენებში უნდა ჩაერთონ თვით იძულებით გადაადგილებული პირები (როგორც მამაკაცები, ისე ქალები - თანაბრად) და ნებისმიერი განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები (ან მათი წარმომადგენლები).

იმისათვის, რომ დადგინდეს, როგორ და ვინ შეასრულა ეროვნული კანონით განსაზღვრული შედეგები და განისაზღვროს, რა ადმინისტრაციული, სამართლებრივი, ფინანსური და სხვა სახის დაბრკოლებებს ჰქონდა ადგილი, პარლამენტარებმა, რომლებიც კომიტეტების წევრები არიან, კარგად უნდა იცოდნენ ეროვნული იგულისხმობს კანონმდებლობა და ნებისმიერი ოპერაციული მაჩვენებლები, რომლებიც მის ეფექტიანობას აფასებს. პარლამენტის წევრები აქტიურად უნდა ჩაერთონ კომიტეტების მოხსენებებისა და რეკომენდაციების ანალიზისა და შექმნის პროცესებში: ისინი ვალდებული არიან დაადასტურონ, რომ კანონმდებლობის ყველა ელემენტი (როგორც მეორე თავშია აღწერილი) დეტალურად იქნა განხილული და რომ კომიტეტის რეკომენდაციები სამართლიან რეაგირებას ახდენს იდენტიფიცირებულ საკითხებზე.

## რესურსების განაწილება და საბიუჯეტო ზედამხედველობა

იგულისხმობს დაცვის, დახმარებისა და გრძელვადიანი გადაწყვეტილების მოძიების უზრუნველყოფაში პარლამენტარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ბიუჯეტისა და ფონდების განაწილება ეროვნული ჩარჩოს განხორციელებისთვის. ამ ამოცანის ხორცშესხმა შესაძლებელია ასიგნების

სფეროში პარლამენტართა და საპარლამენტო საბიუჯეტო კომიტეტების საქმიანობის მეშვეობით.

დაფინანსება პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ეფექტიანობაზე: ადეკვატური რესურსების გარეშე კანონი ვერ იმოქმედებს. საბიუჯეტო პროცესების ცოდნა უდავოდ დაეხმარება პარლამენტის წევრებს იგულისხმობს დაცვისა და დახმარების უზრუნველსაყოფად საჭირო ფონდების განსაზღვრაში და ამ ფონდების მოძიებისთვის საჭირო არხების დადგენაში. ეროვნული მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლებელია განისაზღვროს რამდენიმე მეთოდი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორი მათგანი:

- საბიუჯეტო ასიგნება ან ცენტრალური ხელისუფლების მიერ შექმნილი ფონდი, - რომელ დეპარტამენტებს ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ შესთავაზონ საკუთარი საბიუჯეტო პროცესები;
- დამატებითი რესურსების პირდაპირი განაწილება დეპარტამენტებისთვის/ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის, რეგულარული ასიგნების პროცესის ფარგლებში.

საჭირო რესურსების მიწოდების ფორმები უნდა იყოს ადეკვატური, განჭვრეტადი და არადისკრიმინაციული, დაფინანსების კონკრეტული სქემების მიუხედავად. ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილებას ხელს შეუწყობს შემდეგი მახასიათებლები:

- დაფინანსების დონის განსაზღვრის მიზნით გაკეთებული შეფასება უნდა იყოს რეალისტური და ითვალისწინებდეს ყველა საჭიროებას და მოწყვლადობას, რომლებიც დადგენილია იგულისხმობს შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, ასევე მათგან მიღებული ინფორმაციის მეშვეობით. ცნობილი უნდა იყოს ოპერატიული დონის მოხელეთა მოსაზრებები და მოწყვლადი ჯგუფების კონკრეტული საჭიროებები. ჰუმანიტარული დახმარების ხარჯებთან დაკავშირებით, შიდასახელმწიფო გამოცდილებაზე უნდა იქნას, პარლამენტარებს შეუძლიათ ისარგებლონ მდიდარი საერთაშორისო გამოცდილებით. ეროვნულ შეფასებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ჰუმანიტარული თუ განვითარების ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ფონდები.
- ფონდები კონკრეტულად იძულებითი გადაადგილების საკითხებისთვის უნდა იყოს გამოწვრილებული, რათა არ მოხდეს მათი გამოყენება სხვა პროექტებისთვის ან საქმიანობისთვის. საჭიროა შეზღუდვების შემცირება და მოქნილობის გაზრდა, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ დახმარებასთან მიმართებაში. როგორც ქვემოთ ნახავთ, წარმოშობილ საკითხებზე რეაგირების მოქნილი მექანიზმების არსებობა ანგარიშგების მკაცრი მექანიზმების გამოყენებას ხელს არ უშლის;
- კომპენსაციასთან დაკავშირებით სასურველია შეიქმნას სპეციალური მექანიზმები ან ფონდები, რომლებიც დაკავშირებული არ იქნება ჩვეულებრივ სასამართლო სისტემასთან; ეს ფონდები საკმარისი უნდა იყოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

## იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპენსაცია

### საბიუჯეტო ასიგნებები იგპ-თა კომპენსაციისთვის თურქეთში

კანონმდებლობაში დაფინანსების სქემების განსაზღვრა, თუნდაც მარტივის, დეკარტამენტების საქმიანობას მეტ დამაჯერებლობას ჰმატებს. მაგალითად, თურქეთის 2004 წლის კანონმა ტერორისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად მიღებული ზიანის კომპენსაციის შესახებ ზიანის შემფასებელი კომისია დააფუძნა, რომელმაც კომპენსაცია უნდა გასცეს ქონების ან პირის დაზიანების შემთხვევაში.

კანონში ცალკეა განსაზღვრული კომპენსაციის ფორმულა და რაოდენობა - და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, კომპენსაციის გადახდის საბიუჯეტო წყაროები:

- კომისიის ხარჯები ანაზღაურდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგულარული ბიუჯეტიდან (მუხლი 6);
- მინიჭებული კომპენსაცია გადახდილი იქნეს „- გადახდის ტიპის შესაბამისად - სამინისტროს ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან“. (მუხლი 13).

### განვითარებით გამოწვეული გადაადგილების კომპენსაციის საგადასახადო შეღავათები ინდონეზიაში

საზოგადოებრივი განვითარების მიზნით მიწის ჩამორთმევის შესახებ ინდონეზიის კანონი აწესებს სპეციალურ მექანიზმებს, რომლებიც იგპ-ს საშუალებას აძლევს დაიბრუნოს უფლებები განვითარებით გამოწვეული გადაადგილებისას. კომპენსაციის მექანიზმი იწყება საჯარო კონსულტაციით განვითარების პროექტის შესახებ, გრძელდება შეფასებასთან დაკავშირებული კონსულტაციით და სრულდება კომპენსაციის საკითხზე კონსულტაციით. კანონი კომპენსაციის რამდენიმე ალტერნატივას სთავაზობს (ანუ ფულადი, მიწის შეცვლა, ხელახალი განსახლება, ზიარი მესაკუთრეობა და სხვა), რომელსაც ორივე მხარე იწონებს (მუხლი 36). იგპ-თა მიერ მიღებულ კომპენსაციაზე დადგენილია საგადასახადო შეღავათი (მუხლი 44).

დაფინანსების სქემების განხილვისას პარლამენტის წევრებმა ისეთი სქემები უნდა შეარჩიონ, რომლებიც არ იქნება მუდმივად ჰუმანიტარულ დახმარებაზე დამოკიდებული, რამაც, პერსპექტივაში, შეიძლება ხელი შეუშალოს გრძელვადიან გადაწყვეტას. მაშასადამე, ჰუმანიტარული დახმარებიდან გრძელვადიან გადაწყვეტაზე გადასვლის მექანიზმი ინტეგრირებული უნდა იქნეს დაფინანსების სქემებში. ეს ყველაფერი შეიძლება საუკეთესოდ განხორციელდეს მოქნილი იგპ საბიუჯეტო ხაზების მეშვეობით.

პირველ თავში განხილული იყო იგპ-თა უფლება ჰუმანიტარული დახმარების მიღებაზე. დახმარების მოთხოვნის წინაპირობის შესაბამისად უნდა მოხდეს საჭირო ფონდების განსაზღვრა (მაშინაც კი, როდესაც საამისო საბიუჯეტო სახსრები არ არსებობს), რაც გარეშე დონორებსა და ჰუმანიტარულ დაწესებულებებს გაუიოლებს მოთხოვნილი დახმარების დონის შეფასებას; რაც უფრო კონკრეტულად იქნება ჩამოყალიბებული ეს მოთხოვნები, მით უფრო ადვილი იქნება შეფასება. აქედან გამომდინარე, პარლამენტის წევრებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მათი კანონპროექტისთვის მომზადებული ფინანსური საჭიროებების ანალიზს და დოკუმენტაციას. მტკიცე საბიუჯეტო პროცესი დონორ

ორგანიზაციებს უჩვენებს, რომ იძულებითი გადაადგილების საკითხი ეროვნული პრიორიტეტია, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს მათგან ფინანსური ვალდებულებების მისაღებად. ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებებისაგან მიღებული დაფინანსების მსგავსად, ასეთი საერთაშორისო დახმარება შეიძლება დროში შეზღუდული იყოს, რის გამოც, ადრე თუ გვიან, იგი გზას დაუთმობს თვითკმარობას.

### ზედამხედველობა - ჩვეული საპარლამენტო საქმიანობის ელემენტი

როდესაც საპარლამენტო ზედამხედველობის საკითხი პლენარულ სხდომაზე იხილება, იგი ჩვეულებრივ შემდეგ ასპექტებს მოიცავს:

- საპარლამენტო კომიტეტების მიერ მომზადებული ანგარიშების განხილვა ან დებატები;
- საყოველთაო საპარლამენტო დებატების მოწყობა პარლამენტის წევრთა მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობებზე, რომლებიც იგპ-თან დაკავშირებულ საკითხებს ეხება;
- მინისტრებისთვის ან მთავრობის სხვა ოფიციალური პირებისთვის შეკითხვების დასმა პოლიტიკისა და განხორციელების შესახებ (მაგ., შეკითხვების საათის დროს);
- კანონმდებლობის, რეგულაციების ან დეკრეტების განხორციელების საკითხის განხილვა.

როდესაც სესიაზე განსახილველი საკითხები უშუალოდ ეხება იგპ-ს, პარლამენტის წევრები მას მომზადებული უნდა შეხვდნენ, კერძოდ:

- ისინი უნდა გაეცნონ იგპ კანონის ტექსტს და მეორე და მესამე თავებში განხილულ ელემენტებს;
- ისინი უნდა შეხვდნენ იგპ-ს (მამაკაცებსა და ქალებს თანაბრად), დაზარალებულ თემებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჰუმანიტარულ და განვითარების ორგანიზაციათა წარმომადგენლებს და სხვებს (იხ. ქვემოთ, არაფორმალური ზედამხედველობისა და მონიტორინგის როლები), რათა იცოდნენ, თუ როგორ ხორციელდება იგპ კანონი.
- იგპ-თა მიმართ საერთაშორისოდ აღიარებული ვალდებულებების განხილვა (აღწერილია პირველ თავში);
- სესიაზე განსახილველი ყველა მოხსენებისა და სხვა დოკუმენტების გაცნობა;
- დებატების, შუამდგომლობების წარდგენის და სხვა საპარლამენტო პროცედურების შესახებ ცოდნის განმტკიცება.

### ზედამხედველობის და მონიტორინგის სხვა აქცორთა უზრუნველყოფა და მათთვის დახმარების განევა

იგპ კანონებზე მონიტორინგის პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ აქტორებს ეკისრებათ, რომლებიც კანონის მოქმედებასთან არიან დაკავშირებულნი. მათ განხორციელებაზე მონიტორინგის კარგი საშუალებები აქვთ. პარლამენტის წევრებმა უნდა იცოდნენ მონიტორინგის მნიშვნელობა და ამ აქტორთა საქმიანობა, რათა ეფექტურად დაუჭირონ



მხარი მათ ღონისძიებებს. ეს ნიშნავს შემდეგს:

- მათი უზრუნველყოფა საჭირო სამართლებრივი უფლებამოსილებით, რათა განახორციელონ თავიანთი ფუნქციები, რომლებიც მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული იგპ კანონში. უმრავლეს შემთხვევაში ძირითადი პასუხისმგებლობა ეროვნულ ორგანოს ეკისრება, თუმცა უნდა განისაზღვროს სხვა სტრუქტურებიც, რომლებიც საზედამხედველო ფუნქციებს განახორციელებენ (მაგ., ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები).
- მათი სათანადო დაფინანსების უზრუნველყოფა (იხ. ზემოთ, განხორციელებისთვის საჭირო რესურსების განაწილება);
- ამ საზედამხედველო ორგანოების დაფინანსებისა და მათი რეკომენდაციების განხილვა, და შესაბამისი ზომების მიღება.

სამეთვალყურეო კომიტეტებს შეუძლიათ კარგი ფორუმი შექმნან იგპ კანონმდებლობის ოპერაციული ასპექტების ზედამხედველობის თვალსაზრისით. ზედამხედველობამ უნდა გამოავლინოს, არის თუ არა სტრატეგიული მიმართულება თანმიმდევრული და არიან თუ არა ძირითადი ჩართული სუბიექტები უზრუნველყოფილი პოლიტიკური მხარდაჭერით. სამეთვალყურეო კომიტეტები, რომლებსაც შეუძლიათ საკონსულტაციო კომიტეტების ფორმა მიიღონ, მნიშვნელოვან საკოორდინაციო როლს ასრულებენ: ისინი თავს უყრიან შესაბამის მხარეებს, რათა შეიმუშაონ და უზრუნველყონ განხორციელების მექანიზმები. სამეთვალყურეო კომიტეტების წევრები უნდა იყვნენ დეპარტამენტების უფროსები/უფროსი მენეჯმენტის დონე. მათ უნდა ჰქონდეთ იგპ ჩარჩოს და მასთან დაკავშირებული საკითხების სიღრმისეული ცოდნა. იდეალურ შემთხვევაში, სამეთვალყურეო კომიტეტის წევრობის საკითხი და მისი სტრუქტურა იგპ კანონით უნდა განისაზღვროს.

### საკანონმდებლო რეაგირება სასამართლო მონიტორინგზე კოლუმბიაში

მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია სასამართლოს. პარლამენტის წევრებს უნდა შეეძლოთ თავიანთი ეროვნული იგპ კანონი შეაფასონ სასამართლო დასკვნების ფონზე. კოლუმბიაში იძულებითი გადაადგილების საკანონმდებლო ჩარჩო (შეზღუდული ფორმით) 1997 წლიდან არსებობს, მაგრამ ბოლო პერიოდამდე მთავრობამ მისი განხორციელება ვერ შეძლო. ამ ჩარჩოს ფარგლებში გადაადგილებით დაზარალებულ პირთათვის არ არსებობდა სამართლებრივი დაცვის მექანიზმები და არც მათი უფლებები იყო დაცული.

2003 წლისთვის acción de tutela პეტიციის საფუძველზე ათასობით საჩივარი შევიდა. ეს დოკუმენტი შეიქმნა კოლუმბიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, საყოველთაო უფლებების დაცვის მიზნით. პეტიცია ეფექტური საშუალება გამოდგა იგპ-თა სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით. იგი მოქნილი და ადვილად განსახორციელებელი მექანიზმია, რომლის საფუძველზეც:

- სასამართლოს შეუძლია დაუყოვნებლივ გამოსცეს ბრძანება საბოლოო განჩინებამდეც კი, რათა შესაძლებელი იქნეს დარღვევებზე სწრაფი რეაგირება;
- სასამართლოს განჩინება უნდა იყოს ეფექტური: ბრძანება შეიძლება ითვალისწინებდეს სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი დახმარების პროგრამული ღონისძიებების განხორციელებას;

- განჩინებას უპირატესი ძალა აქვს ყველა სხვა საკითხთან მიმართ (გარდა habeas corpus შემთხვევებისა) და სარჩელი უნდა განიხილონ 10 დღის ვადაში, გაგრძელების შესაძლებლობის გარეშე;
- დაბალი ინსტანციის განჩინებები შეიძლება გადასინჯოს საკონსტიტუციო სასამართლომ ex officio წესით;
- საჩივრების წარდგენა შესაძლებელია ადვოკატის გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დაბალი ინსტანციის სასამართლოს განჩინებების გადასინჯვის შედეგად მიღებულ იქნა საკვანძო დადგენილება T-025 (2004), სადაც აღნიშნულია, რომ ადგილი ჰქონდა იგპ უფლებების მასიურ უგულვებელყოფას. საკონსტიტუციო სასამართლოს ორი ძირითადი შენიშვნა დაკავშირებული იყო შემდეგ ასპექტებთან:

- ჩარჩოს განხორციელებისთვის საჭირო ინსტიტუციური პოტენციალი;
- იგპ პოლიტიკის სათანადო დაფინანსება, რათა მიღწეულ იქნეს მასში გაცხადებული მიზნები.

სასამართლომ სიტუაცია შეაფასა როგორც “საქმეთა არაკონსტიტუციური მდგომარეობა” და სახელმწიფოს რამდენიმე მოქმედების განხორციელება დაავალა:

- ნაბიჯების გადადგმა ძირითად აქტორთა შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით;
- სპეციალური პროგრამული ღონისძიებების განხორციელება იგპ უფლებების დაუყოვნებელი დაცვის უზრუნველსაყოფად;
- ადეკვატური დაფინანსება, პრიორიტეტების დადგენა და ფონდების განაწილება;
- სამოქმედო გეგმის მიღება, გადაწყვეტილებაში აღმოჩენილი ხარვეზების დარეგულირების მიზნით.

ამას მოჰყვა კოლუმბიის იგპ ჩარჩოს მასშტაბური ცვლილებები. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სასამართლომ მრავალი განჩინება გამოიტანა ჩარჩოს განხორციელებაზე პასუხისმგებელთა მიმართ, რომლებმაც კვლავ გააგრძელეს დარღვევებით საქმიანობა. მომდევნო გადაწყვეტილებები ასევე ეხებოდა რეპარაციისა და მიწის უფლებებს. ამას მოჰყვა 1448-ე კანონის მიღება, რომელიც ქმნის რეპარაციის სისტემას კოლუმბიის შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მსხვერპლისთვის. იგი ძალაშია 1985 წლიდან.

ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს მონიტორინგისა და ზედამხედველობის მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ, რაც უნდა განხორციელდეს იგპ კანონის შესაბამისად, რომელიც ამ ინსტიტუტებს კანონის მონიტორინგისა და რეგულარული მოხსენების წარდგენის მანდატს ანიჭებს. ისინი დამოუკიდებელი ინსტიტუტები არიან და ამიტომაც მეტი ხელმისაწვდომობა აქვთ ინფორმაციაზე, რაც მათ საშუალებას აძლევს განსაზღვრონ, რა ფარგლებში სარგებლობენ იძულებით გადაადგილებული პირები მათთვის მინიჭებული უფლებებით და რას უნდა მოელოდნენ მომავალში. როდესაც მათ სათანადო მანდატი, დაფინანსება და პოტენციალი აქვთ, ისინი მრავალპროფილიანი ინსტიტუტებს წარმოადგენენ, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ პარლამენტართა გეგმებს: ჩართულ სუბიექტებს მოსთხოვონ კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულების ანგარიში და მათი ყურადღება მიაპყრონ იგპ უფლებათა დარღვევებს, იგპ კანონის არაჯეროვან განხორციელებას ან იძულებით გადაადგილებაზე რეაგირების ხარვეზებს. ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს მონიტორინგის საქმიანობის განხორციელებისას ზოგ სიტუაციაში შეუძლიათ:

- განახორციელონ დარღვევათა ex officio გამოძიება;
- შექმნან დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები იგპ-თა საკუთრებასთან ან სხვა საკითხებთან დაკავშირებული დავების დასარეგულირებლად;
- ჩაერიონ სასამართლო პროცესში როგორც amicus curiae ან, სათანადო შემთხვევაში, კონსულტანტის სხვა ფორმით;
- მიიღონ ინდივიდუალური საჩივრები და მოახდინონ მათზე სათანადო რეაგირება;
- პარლამენტის მოთხოვნით დაიწყოთ ნებისმიერი საკითხის ან პრობლემის მოკვლევა.

ეს ფუნქციები შეიძლება იგპ კანონში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს.

### სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა საქართველოში

2007 წელს საქართველომ დაამტკიცა იგპ სახელმწიფო სტრატეგია, რომელსაც 2009 წელს დაერთო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში იყო დებულება სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ, რომლის საფუძველზეც ამ უკანასკნელს ევალებოდა „საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით კოორდინაცია იგპ სახელმწიფო სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის ამოქმედებისა და განხორციელების პროცესში“. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ:

- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო (როგორც ეროვნული საკონტაქტო ორგანო)
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო;
- იუსტიციის სამინისტრო;
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- მუნიციპალური განვითარების ფონდი.

მონიტორინგისა და ზედამხედველობის ეს ფუნქცია ხელს შეუწყობს საგულისხმო ინფორმაციის შეგროვებას და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ქსელების შექმნას. პარლამენტარებმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გამოიყენონ ეს შესაძლებლობები. მათ შეუძლიათ ადამიანის უფლებათა ინსტიტუტებს რეგულარულად მოსთხოვონ კონსულტაცია, წინადადებები ან რეკომენდაციები მათ კომპეტენციაში შემავალ ნებისმიერ საკითხზე. ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს აგრეთვე უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება მოთხოვნის გარეშე შეიმუშაონ რეკომენდაციები და კომენტარები, რომლებიც აუცილებელია მათი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და პარლამენტართა ყურადღების მისაქცევად ისეთი საკითხებისადმი, რომლებიც ამ უკანასკნელთა ყურადღების მიღმა რჩება.

### არაფორმალური ზედამხედველობისა და მონიტორინგის როლი

განხორციელების პროცესში პარლამენტის წევრთა ჩართვის საუკეთესო საშუალებაა დაინტერესებულ მხარეებთან და დაზარალებულ თემებთან დიალოგი. პარლამენტარები მუდამ უნდა ეძებდნენ გამოცდილების მიღებისა და გაზიარებისთვის შესაძლებლობებს სამოქალაქო

საზოგადოების ჯგუფებისაგან (არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით), უნივერსიტეტებისაგან, სათემო ან რელიგიური ჯგუფებისაგან, და ა.შ. ღია კარის პოლიტიკა და ამ ჯგუფების ლიდერებთან რეგულარული შეხვედრები პარლამენტარებს დაეხმარება მუდამ იყვნენ მიმდინარე მოვლენების კურსში. ამ ჯგუფებთან უშუალო კონტაქტი შექმნის მიმდინარე ინფორმაციის გაცვლისა და ახალი ამბების გაგების საშუალებას კანონის ეფექტურობასთან დაკავშირებით. მისი რეალიზება შეიძლება მოხდეს შემდეგი ნაბიჯებით:

- საველე ვიზიტები, ბანაკების/დასახლებების მონახულება და სახლებში სტუმრობა;
- დაზარალებულ მხარეებთან ან თემებთან კონსულტაციები, ინტერვიუები ან შეხვედრები;
- ოფიციალური კვლევის ან ანკეტური გამოკითხვის ჩატარება გადაადგილების, დაბრუნების ან განსახლების ადგილებში;
- ინფორმაციის განხილვა, რომელიც მიწოდებულია არასამთავრობო ორგანიზაციათა ან დაწესებულებათა მიერ, რომელთა მომსახურებითაც სარგებლობს დაზარალებული მოსახლეობა (მაგალითად, იურიდიული დახმარების ცენტრები, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები და სხვ.);
- რეგულარული შეხვედრები ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან, განვითარების ორგანიზაციებთან და იმპლემენტაციის პროცესში ჩართულ ადგილობრივ აქტორებთან.



## თავი მეხუთე: რეზიუმე და სამოქმედო საკითხები

პარლამენტს ზედამხედველობის მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს, რითაც იგი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ იგპ კანონის კეთილსინდისიერ და ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს

✓ პარლამენტარებმა, საპარლამენტო კომიტეტებში მუშაობისას, უნდა შეისწავლონ სათანადო დოკუმენტები და ანგარიშები, ყველა დაინტერესებულ მხარეს უნდა მისცენ აზრის გამოხატვის საშუალება და პარლამენტს უნდა მაიწოდონ რეკომენდაციები იგპ-თან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით.

იგპ კანონის განხორციელებაში ჩართულ აქტორებს უნდა ჰქონდეთ სათანადო რესურსები თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად.

✓ პარლამენტარებმა გულდასმით უნდა განიხილონ ფინანსური საჭიროებებისა და ბიუჯეტების შეფასებები, რათა ამ ორგანიზაციებმა შეძლონ დაგეგმილი შედეგების მიღწევა.

✓ პარლამენტარებმა უნდა უზრუნველყონ საკმარისი რესურსები, ეროვნული ბიუჯეტიდან გამოყოფილ ფონდებთან ერთად, იგპ-თა დაცვისა და დახმარების ძალისხმევის დასაფინანსებლად.

✓ პარლამენტარებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იგპ კანონი საშუალებას იძლეოდეს დახმარებისთვის მიმართონ ჰუმანიტარულ და განვითარების ორგანიზაციებს, როდესაც ეროვნული რესურსები შეზღუდულია ან არ არსებობს.

პარლამენტარები ასრულებენ მონიტორინგის მნიშვნელოვან როლს, დაზარალებული თემების და დაინტერესებული აქტორების ჩართვის და საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტების მეშვეობით.

✓ პარლამენტარები რეგულარულად უნდა ესაუბრობოდნენ იძულებით გადაადგილებულ პირებს, დაზარალებულ თემებს და სხვა სათანადო აქტორებს, რომლებიც კანონის განხორციელებაში არიან ჩართულნი.

✓ პარლამენტარებმა უნდა განიხილონ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ან სხვა ორგანიზაციების მოხსენებები განხორციელების შესახებ და შესთავაზონ მათ საპარლამენტო პროცესის გამოყენება სათანადო შემთხვევებში.

მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში თავიანთი წვლილის შეტანა შეუძლიათ სხვა ეროვნულ აქტორებსაც, ხოლო პარლამენტარებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ მათ და გამოიყენონ მათი საქმიანობის შედეგები.

✓ პარლამენტარებმა უნდა განიხილონ სამეთვალყურეო კომიტეტებისა და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისთვის მონიტორინგის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;

✓ პარლამენტარებმა უნდა უზრუნველყონ ამ სტრუქტურების მონიტორინგის ფუნქციის სათანადო დაფინანსება;

✓ პარლამენტარებმა დეტალურად და რეალურად უნდა განიხილონ ეროვნული მონიტორინგის ორგანოების მიერ მომზადებული დასკვნები, მოხსენებები და რეკომენდაციები.

## სასარგებლო წყაროები

### სახელმძღვანელო მასალები

რეაგირება იძულებით გადაადგილებაზე: ეროვნული პასუხისმგებლობის ჩარჩო (2005), იხ.: [www.brookings.edu/fp/projects/idp/20050401\\_nrframework.pdf](http://www.brookings.edu/fp/projects/idp/20050401_nrframework.pdf).

ეროვნული დოკუმენტები იძულებითი გადაადგილების შესახებ: სახელმძღვანელო მათი შემუშავებისთვის (2013), იხ.: [www.internal-displacement.org/idmc/website/resources.nsf](http://www.internal-displacement.org/idmc/website/resources.nsf).

სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ, ანოტაციებითურთ (მეორე გამოცემა, 2008), იხ.: [www.idpguidingprinciples.org/](http://www.idpguidingprinciples.org/).

სახელმძღვანელო იძულებითი გადაადგილებულ პირთა პროფილის შესახებ (2007), იხ.: [www.unhcr.org/refworld/docid/47b5ad3a2.html](http://www.unhcr.org/refworld/docid/47b5ad3a2.html).

უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის სახელმძღვანელო იძულებითი გადაადგილებულ პირთა დაცვის შესახებ (2010), იხ.: [www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=4790cbc02&page=search](http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=4790cbc02&page=search).

უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის ჩარჩო იძულებითი გადაადგილებულ პირთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის შესახებ (2010), იხ.: [www.brookings.edu/research/reports/2010/04/durable-solutions](http://www.brookings.edu/research/reports/2010/04/durable-solutions).

უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის ოპერატიული ინსტრუქციები ბუნებრივი კატასტროფების სიტუაციებში მყოფ პირთა დაცვის შესახებ (2011), იხ.: [ochanet.unocha.org/p/Documents/Operational%20Guidelines.pdf](http://ochanet.unocha.org/p/Documents/Operational%20Guidelines.pdf).

იგპ-თა დაცვა: სახელმძღვანელო პოლიტიკისა და კანონშემოქმედათვის (2008), იხ.: [www.brookings.edu/research/papers/-16/10/2008internal-displacement](http://www.brookings.edu/research/papers/-16/10/2008internal-displacement).

## ხელშეკრულებები

აფრიკის კავშირის კონვენცია აფრიკაში იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების შესახებ (კამპალას კონვენცია) (2012), იხ.:

[www.internal-displacement.org/kampala-convention](http://www.internal-displacement.org/kampala-convention).

ჟენევის კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ (ჟენევის მეოთხე კონვენცია) (1949), იხ.: [www.icrc.org/ihl.nsf/full/380](http://www.icrc.org/ihl.nsf/full/380).

დიდი ტბების ოქმი დაბრუნებულ პირთა საკუთრების უფლების შესახებ (2006), იხ.: [www.internal-displacement.org/greatlakes](http://www.internal-displacement.org/greatlakes).

დიდი ტბების ოქმი იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების შესახებ (2006), იხ.: [www.internal-displacement.org/greatlakes](http://www.internal-displacement.org/greatlakes).

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966), იხ.: [www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CCPR.aspx](http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CCPR.aspx).

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ (1966) იხ.: [www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CESCR.aspx](http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CESCR.aspx).

1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციების დამატებითი ოქმი საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ (დამატებითი ოქმი I) (1977), იხ.: [www.icrc.org/ihl.nsf/full/470?opendocument](http://www.icrc.org/ihl.nsf/full/470?opendocument).

1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციების დამატებითი ოქმი არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვის შესახებ (დამატებითი ოქმი I) (1977), იხ.: [www.icrc.org/ihl.nsf/full/475?open-document](http://www.icrc.org/ihl.nsf/full/475?open-document).

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი (1998), იხ.: [untreaty.un.org/cod/icc/statute/romefra.htm](http://untreaty.un.org/cod/icc/statute/romefra.htm).

## შესაბამისი ორგანიზაციები

### სპეციალური მომხსენებელი იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების საკითხებზე

სპეციალურ მომხსენებელს ნიშნავს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო. მას შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს სახელმწიფოებს იგპ კანონების ან ეროვნული ჩარჩო დოკუმენტების მომზადებაში. კერძოდ, სპეციალურ მომხსენებელს შეუძლია:

- დახმარება გაუწიოს პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევაში, ქვეყანაში ჩასვლით და ოფიციალურ პირებთან და ძირითად ჩართულ მხარეებთან შეხვედრებით;
- სახელმწიფოს, რეგიონისა და საერთაშორისო დონეზე იძულებითი გადაადგილების სიტუაციის პროფილის ამაღლება;
- კანონისა და პოლიტიკის შექმნის შესაძლებლობათა და ცოდნის განვითარება;

➤ სამართლებრივი რჩევების მიცემა და ტექნიკური დახმარების გაწევა სახელმწიფოს ყველა შტოსთვის იგპ კანონის მომზადებისა და განხორციელების ეტაპებზე.

ინფორმაცია სპეციალური მომხსენებლის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაციის ჩათვლით, იხ. [www.ohchr.org/EN/Issues/IDPersons/Pages/IDPersonsIndex.aspx](http://www.ohchr.org/EN/Issues/IDPersons/Pages/IDPersonsIndex.aspx).

### გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი (UNHCR)

ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირები გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირებს წარმოადგენენ. UNHCR მთელი მსოფლიოს მასშტაბით მრავალ ოპერაციაშია ჩართული და მნიშვნელოვან როლს ასრულებს იგპ-თა დახმარებისა და დაცვის პროცესებში. ოფისის დიდი გამოცდილება აქვს იგპ-თა სამართლებრივი დაცვის, აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია გააკეთოს კანონმდებლობასთან და პოლიტიკასთან დაკავშირებული ექსპერტული დასკვნები და შესაძლებლობა აქვს დახმარება გაუწიოს სახელმწიფოებს ეროვნული იგპ კანონმდებლობის შემუშავებაში. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის შეუძლია დაეხმაროს პარლამენტებს ეროვნული კანონმდებლობის შემუშავების პროცესში, კერძოდ:

- პარლამენტართა და მთავრობის წევრთა უზრუნველყოფა მითითებებითა და სათანადო მასალებითა და ინსტრუმენტებით, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ეროვნული იგპ კანონის შემუშავებისას;
- იძულებითი გადაადგილების პოლიტიკის შემუშავების მხარდაჭერა კანონმდებლობის მომზადების მიზნით;
- საკონსულტაციო პროცესებში მონაწილეობა და მათთვის დახმარების გაწევა, კერძოდ, იგპ-თა ჩართულობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით;
- კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობის მიღება განსაკუთრებული გამოცდილების გაზიარების მეშვეობით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ოპერატიული კონტექსტის რეალობების სათანადო ასახვა;
- ეროვნული იგპ კანონის განხორციელების ხელშეწყობა ქვეყანაში იგპ ოპერაციის მიმდინარეობის ფარგლებში.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი მნიშვნელოვან ადვოკატირებას უწევს იგპ-თა უფლებების მთავრობების წინაშე. მას უნარი შესწევს რჩევები მისცეს ხელისუფლებას ამ სფეროში ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩოს განვითარების კუთხით. იძულებითი გადაადგილებულ პირებთან გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის მუშაობის შესახებ ინფორმაცია იხ.: [www.unhcr.org/pages/49c3646c146.html](http://www.unhcr.org/pages/49c3646c146.html).

### საპარლამენტაშორისო კავშირი (IPU)

საპარლამენტაშორისო კავშირი, რომელიც 1889 წელს შეიქმნა, საპარლამენტო საერთაშორისო ორგანიზაციაა. მისი უპირველესი მიზანია საპარლამენტაშორისო დიალოგის ხელშეწყობა მშვიდობის, თანამშრომლობისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის განვითარების მიზნით. საპარლამენტაშორისო კავშირს შეუძლია ქვეყნებს დაეხმაროს იგპ კანონის შემუშავებაში. ამ დახმარების კომპონენტებია:



- პარლამენტებთან კონტაქტების, კოორდინაციისა და გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა, რომლებსაც შემუშავებული აქვთ ან მუშაობენ იგპ კანონის ან პოლიტიკის შექმნაზე;
- რეგიონულ საპარლამენტო სტრუქტურებთან კავშირების დამყარების ხელშეწყობა;
- ინფორმაციის მიწოდება და დახმარების გაწევა ქვეყნებისთვის და ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტებისთვის, კერძოდ, მათ მიერ ადამიანის უფლებათა/ჰუმანიტარული სამართლის სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კუთხით.

ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის შესახებ იხ.: [www.ipu.org](http://www.ipu.org).

### გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა საკოორდინაციო ოფისი (OCHA)

გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა საკოორდინაციო ოფისი ერთმანეთთან აკავშირებს ჰუმანიტარულ აქტორებს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შეთანხმებული რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე. თუმცა, გადაუდებელი სიტუაციების არარსებობის დროსაც კი, გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა საკოორდინაციო ოფისს შეუძლია საგულისხმო დახმარება და კონსულტაციები გაუწიოს ქვეყნებს იგპ კანონის შემუშავებაში. კერძოდ, მას შეუძლია:

- უზრუნველყოს ინფორმაცია იძულებითი გადაადგილების სიტუაციის შესახებ - როგორც ქვეყნის კონკრეტულ კონტექსტში, ისე უფრო ზოგადი მიდგომით;
- მოახდინოს მიმართვების ორგანიზება და ჰუმანიტარული დაფინანსების მონიტორინგი;
- სხვა პოტენციური ჰუმანიტარული და განვითარების პარტნიორების განსაზღვრა და მათთან დაკავშირება.

ინფორმაცია გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა საკოორდინაციო ოფისის შესახებ იხ.: [www.unocha.org/what-we-do/policy/thematic-areas/displacement](http://www.unocha.org/what-we-do/policy/thematic-areas/displacement).

### გაეროს კატასტროფების რისკის შემცირების ოფისი (UNISDR)

იძულებით გადაადგილებასა და კატასტროფებს შორის მჭიდრო კავშირის არსებობის გამო გაეროს კატასტროფების რისკის შემცირების ოფისი, სხვა საკითხებთან ერთად, ეროვნული იგპ კანონის შემუშავებაზეც მუშაობს. იგი ცენტრალური საკონტაქტო უწყებაა კატასტროფების რისკის შემცირების ძალისხმევის კოორდინაციის თვალსაზრისით, რაც აგრეთვე მოიცავს კატასტროფების შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის (მიღებულია 1999 წელს) და ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოს განხორციელებას. გაეროს კატასტროფების რისკის შემცირების ოფისი ხელს უწყობს პარლამენტართა ძალისხმევას კატასტროფების რისკის შემცირების პოლიტიკური გარემოს შექმნისთვის. მისი „საპარლამენტო ჩემპიონის“ პროგრამა გამოცდილი საშუალებებია კატასტროფების რისკის შემცირების პროფილის ასამაღლებლად, როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე. გაეროს კატასტროფების რისკის შემცირების ოფისი აგრეთვე ხელს უწყობს სახელმწიფოთა მონაწილეობას კატასტროფების რისკის შემცირებაში, რასაც უზრუნველყოფს

ეროვნული პლატფორმების მხარდაჭერით. მას შეუძლია მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდოს ქვეყნებს, რომლებსაც სურთ თავიანთი იგპ დააკავშირონ კატასტროფების შესახებ კანონებთან. ინფორმაცია გაეროს კატასტროფების რისკის შემცირების ოფისის შესახებ, საკონტაქტო დეტალების ჩათვლით, იხ.: [www.unisdr.org/partners/parliamentarians](http://www.unisdr.org/partners/parliamentarians).

### წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC)

ICRC მიუკერძოებელი, ნეიტრალური და დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომლის ექსკლუზიური მისიაა შეიარაღებული კონფლიქტებისა და ძალადობის სხვა სიტუაციების მსხვერპლთა სიცოცხლისა და ღირსების დაცვა, და მათთვის დახმარების გაწევა. ICRC ასევე ცდილობს ადამიანთა ტანჯვის შემსუბუქებას ჰუმანიტარული სამართლისა და ჰუმანიტარული პრინციპების ხელშეწყობითა და განმტკიცებით.

ICRC -ის საბოლოო ამოცანაა ხელისუფლებისა და სხვა ჯგუფების მიერ მათი ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა - კერძოდ, სამოქალაქო მოსახლეობის პატივისცემისა და დაცვის ვალდებულების. ICRC ცდილობს ტანჯვა შეუმსუბუქოს ადამიანებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის ან სხვა ძალადობრივი სიტუაციების მსხვერპლნი არიან. ამ მიზნით ორგანიზაცია უზრუნველყოფს ასეთ პირთა ეფექტურ და ქმედით დახმარებასა და დაცვას, იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩათვლით, იმავდროულად იგი ითვალისწინებს სხვა (ჰუმანიტარული) ორგანიზაციების მოქმედებებს. ICRC -მა, ეროვნულ საზოგადოებებთან ერთად, მრავალდისციპლინური მიდგომა შეიმუშავა გადაადგილების შედეგად დაზარალებული თემების ძირითად საჭიროებებზე რეაგირებისთვის.

ICRC 1863 წელს შეიქმნა. იგი ჟენევის კონვენციებისა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთავარის მოძრაობის სათავეებთან იდგა. იგი წარმართავს და კოორდინირებს უწყვეს საერთაშორისო აქტივობებს, რომლებსაც მოძრაობა ახორციელებს შეიარაღებული კონფლიქტებისა და ძალადობის სხვა სიტუაციების დროს. ინფორმაცია ICRC -ის შესახებ იხ.: [www.icrc.org](http://www.icrc.org).

### იგპ პროფილის ერთობლივი სამსახურები (JIPS)

JIPS შეუძლია დახმარება გაუწიოს მთავრობებს ზუსტი ინფორმაციის მოპოვებაში მათი იგპ მოსახლეობის შესახებ. მისი სამეთვალყურეო კომიტეტის შემადგენლობაში არიან ორგანიზაციები, რომლებსაც იგპ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საგულისხმო გამოცდილება აქვთ. მათ შორის არიან: დანიის ლტოლვილთა საბჭო; ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს იძულებითი გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი; მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა სპეციალური მომხსენებელი, UNHCR, UNOCHA და UNFPA. JIPS ოთხი სახის ძირითად მომსახურებას უზრუნველყოფს:

- სავლელ მხარდაჭერა და ტექნიკური კონსულტაცია, მონაცემთა შეგროვებისა და შესაძლებლობათა განმტკიცების ჩათვლით;
- ტრენინგი და შესაძლებლობათა განმტკიცება;
- მექანიზმები და სახელმძღვანელო, მონაცემთა შეგროვების წყაროების

ჩათვლით, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის შეგროვებას, გაზიარებასა და ანალიზს;

▶ პროფილის გამოკვეთისა და მონაცემთა შეგროვების გამოყენება იგპ გადაწყვეტების უზრუნველყოფის პროცესში.

ინფორმაცია JIPS-ის შესახებ, საკონტაქტო მონაცემების ჩათვლით, იხ. [www.jips.org/](http://www.jips.org/).

### **ბრუკინგის-LSE პროექტი შიდა გადაადგილების შესახებ**

ბრუკინგის-LSE პროექტი შეიქმნა ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე შიდა გადაადგილებაზე ეფექტური რეაგირების ხელშეწყობის მიზნით. იგი არის სპეციალური მომხსენებლის (იგი პროექტის კოორდინატორია) კვლევის, ანალიზისა და მხარდაჭერის ძირითადი წყარო, და ინფორმაციის წყარო მთავრობებისთვის, რომლებიც ქმნიან ჩარჩოს იძულებითი გადაადგილების შესახებ.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისთან ერთად, ბრუკინგის-LSE პროექტი შიდა გადაადგილების შესახებ, თავისუფლად ხელმისაწვდომ მონაცემთა ბაზასაც აწარმოებს, რომელიც მოიცავს კანონებს, პოლიტიკის დოკუმენტებსა და სხვა მნიშვნელოვან მასალებს. პარლამენტის წევრებს შეუძლიათ ისარგებლონ უკვე არსებული მიდგომებით (განსაკუთრებით მსგავსი სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემების მქონე ქვეყნების). ეს მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [www.unhcr.org/refworld/idps.html](http://www.unhcr.org/refworld/idps.html).

ინფორმაცია პროექტის შესახებ და საკონტაქტო მონაცემები იხ.: [www.brookings.edu/about/projects/idp](http://www.brookings.edu/about/projects/idp).

### **შიდა გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი (IDMC)**

შიდა გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი დაარსდა ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს (NRC) ინიციატივით, მსოფლიოში ქვეყნის შიგნით გადაადგილებაზე მონიტორინგისა და გადაადგილებაზე ეროვნული რეაგირების შესაძლებლობათა განმტკიცების მიზნით. მისი საქმიანობა ითვალისწინებს ადვოკატირებასა და ინფორმაციის გავრცელებას. იგი ასევე ატარებს სემინარებს ეროვნული ხელისუფლების ორგანოებისთვის იგპ დაცვისა და დახმარების საკითხებზე.

ცენტრის შესახებ ინფორმაცია იხ.: [www.internal-displacement.org](http://www.internal-displacement.org).

## **დანართი I**

### **გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ქვეყნის შიგნით გადაადგილების შესახებ**

#### **შესავალი: საგანი და მიზანი**

1. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები ეხება მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ პირთა სპეციფიკურ პრობლემებს. მასში მოცემულია ის უფლებები და გარანტიები, რომლებიც დაკავშირებულია, როგორც პირთა იძულებით გადაადგილებისაგან დაცვასთან, ასევე მათი გადაადგილების, დაბრუნების ან ახალ ადგილას დასახლებისა და რეინტეგრაციისას დაცვასა და დახმარებასთან.

2. ამ პრინციპების მიზნებიდან გამომდინარე, იძულებით გადაადგილებულ პირებად მიიჩნევიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თვითნებური სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს და, ამასთან, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი.

3. წინამდებარე პრინციპები ასახავს და შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს. იგი სახელმძღვანელოა:

- ა) გენერალური მდივნის წარმომადგენლისათვის იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ თავისი მანდატის აღსრულებისას;
- ბ) სახელმწიფოსთვის, სადაც წარმოიშვა იძულებითი გადაადგილების პრობლემა;
- გ) ყველა სახის პირების, ჯგუფებისა და ოფიციალური უწყებებისათვის, რომელთაც შეეხება აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებთან;
- დ) სამთავრობათშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომელთაც შეეხება აქვთ იძულებით გადაადგილებასთან.

4. ეს სახელმძღვანელო პრინციპები რაც შეიძლება ფართოდ უნდა იქნეს გავრცელებული და გამოყენებული.

### **კარი პირველი - ზოგადი პრინციპები**

#### **პრინციპი 1**

იძულებით გადაადგილებული პირები, საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლის მიხედვით, თანასწორობის საფუძველზე უნდა სარგებლობდნენ იმავე უფლებებით და თავისუფლებებით, რითაც სარგებლობენ სხვა პირები თავიანთ ქვეყანაში. მათ არ უნდა განიცადონ რაიმე დისკრიმინაცია მათი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებაში იმ მიზეზით, რომ



ისინი იძულებით არიან გადაადგილებულნი.

2. ეს პრინციპები არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ისეთ დანაშაულზე, როგორც არის გენოციდი, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული.

### **პრინციპი 2**

1. ეს პრინციპები ყოველგვარი არასასურველი განსხვავების გარეშე უნდა იქნეს დაცული და გამოყენებული ყველა ოფიციალური თუ სხვა პირის და ჯგუფის მიერ, რომლებიც დაკავშირებული არიან იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემასთან, მიუხედავად მათი იურიდიული სტატუსისა. ამ პრინციპების დაცვა და განხორციელება არ იმოქმედებს აღნიშნული ოფიციალური თუ სხვა პირისა და ჯგუფის სტატუსზე.

2. არ შეიძლება ამ პრინციპების განმარტება, როგორც საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლების, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დოკუმენტების ან პირისათვის ადგილობრივი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების შემზღუდავი, გამაუქმებელი ან შემცველი. კერძოდ, ეს პრინციპები არ ეწინააღმდეგება სხვა ქვეყანაში თავშესაფარის მიებასა და მისი გამოყენების უფლებას.

### **პრინციპი 3**

ეროვნულ ხელისუფლებებს ეკისრებათ უპირატესი ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რათა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში იძულებით გადაადგილებული პირები უზრუნველყონ შესაბამისი დაცვითა და ჰუმანიტარული დახმარებით.

2. იძულებით გადაადგილებულ პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ და მიიღონ დაცვა და ჰუმანიტარული დახმარება საკუთრი ხელისუფლებისაგან. ისინი არ შეიძლება დევნილნი ან დასჯილი იყვნენ ასეთი მოთხოვნებისთვის.

### **პრინციპი 4**

1. ეს პრინციპები უნდა გამოიყენებოდეს რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის თუ მრწამსის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობის, სამართლებრივი თუ სოციალური მდგომარეობის, ასაკის, უნარშეზღუდულობის, საკუთრების, დაბადების თუ სხვა მსგავსი ნიშნით დისკრიმინაციის გაერშე.

2. იმ იძულებით გადაადგილებულ პირებს, როგორებიც არიან ბავშვები, განსაკუთრებით უფროსი თანმხლები პირის გარეშე არასრულწლოვნები, ორსული ქალები, ჩვილბავშვიანი დედები, მარტოხელა დედები, ქმედუუნარონი და მოხუცები, უფლება აქვთ დაცვასა და დახმარებაზე, რომელიც განპირობებულია მათი მდგომარეობით და აგრეთვე უფლება აქვთ მათი განსაკუთრებული საჭიროებიდან გამომდინარე მოპყრობაზე.

## **კარი მეორე - პრინციპები გადაადგილებისგან დაცვის შესახებ**

### **პრინციპი 5**

ყველა ხელისუფლებამ და საერთაშორისო სააგენტომ უნდა დაიცვას საერთაშორისო სამართლიდან, მათ შორის ადამიანის უფლებებისა

და ჰუმანიტარული სამართლიდან, გამომდინარე ვალდებულებები და უზრუნველყოს მათი დაცვა ყველა შემთხვევაში, რათა თავიდან იქნას აცილებული მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს პირთა იძულებითი გადაადგილება.

### **პრინციპი 6**

1. ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისი სახლიდან ან მუდმივი საცხოვრებლიდან თვითნებური გადაადგილებისგან დაცვის უფლება.

2. თვითნებური გადაადგილების აკრძალვა ეხება ისეთ გადაადგილებას:

- ა) რომელიც ემყარება აპარტიდის პოლიტიკას, ეთნიკურ წმენდას ან მსგავს ქმედებებს გამიზნულს ან რომელსაც შედეგად მოჰყვება დაზარალებული მოსახლეობის ეთნიკური, რელიგიური ან რასობრივი შემადგენლობის შეცვლა;
- ბ) რომელიც ხდება შეიარაღებული კონფლიქტის დროს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას მოითხოვს სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოება ან აუცილებელი სამხედრო მიზნები;
- გ) რომელიც ხდება განვითარების ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებისას და როდესაც ეს უკანასკნელი არ არის გამართლებული საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;
- დ) რომელიც ხდება კატასტროფებისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ევაუაცის მოითხოვს დაზარალებულთა უსაფრთხოების და ჯანმრთელობის ინტერესები;
- ე) როდესაც ის გამოიყენება მოსახლეობის კოლექტიური დასჯისთვის.

3. გადაადგილება არ უნდა გაგრძელდეს იმაზე მეტხანს, ვიდრე ამას მოცემული ვითარება მოითხოვს.

### **პრინციპი 7**

1. პირთა გადაადგილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე პასუხისმგებელი ოფიციალური პირები უნდა დარწმუნდნენ, რომ შესწავლილია ყველა შესაძლო ალტერნატივა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სრული გადაადგილება. იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა გამოსავალი არ არის, მიღებული უნდა იქნეს გადაადგილების მასშტაბებისა და მისი არასასურველი ეფექტების მინიმუმამდე შემცირების ყველა ზომა.

2. ხელისუფლება, რომელიც აღნიშნულ გადაადგილებას ახორციელებს, მაქსიმალურად უნდა დარწმუნდეს, რომ ყოველი გადაადგილებული პირი უზრუნველყოფილი იქნება თავშესაფრით და რომ აღნიშნული გადაადგილება განხორციელდება უსაფრთხოების, კვების, ჯანმრთელობის და ჰიგიენის თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ პირობებში, და რომ ერთი ოჯახის წევრები არ იქნებიან განცალკევებულნი.

3. თუ იძულებითი გადაადგილება ხორციელდება სხვა ვითარებაში, გარდა შეიარაღებული კონფლიქტებისა და კატასტროფების კრიტიკული სტადიებისა, მაშინ დაკმაყოფილებული უნდა იქნას შემდეგი გარანტიები:

- ა) კანონით უფლებამოსილმა ხელისუფლების პირებმა უნდა მიიღონ კონკრეტული გადაწყვეტილებები ამ ზომების თობაზე;
- ბ) სათანადო ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა გადასადგილებული

პირი გარანტირებული იყოს სრული ინფორმაციით გადაადგილების მიზეზებისა და პროცედურების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, კომპენსაციისა და განთავსების შესახებ.

- გ) იმისათვის, რომ გადაადგილება მოხდეს იძულებით გადასადგილებელი პირების თანხმობით, საჭიროა, რომ ისინი სრულად იყვნენ ინფორმირებულნი ვითარების შესახებ და მიეცეთ თავისუფალი არჩევანი;
- დ) პასუხისმგებელმა ოფიციალურმა პირებმა უნდა სცადონ დაზარალებულთა ჩართვა, განსაკუთრებით ქალების, მათი ხელახალი განსახლების დაგეგმვასა და მართავში;
- ე) საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ კანონის აღსრულების ღონისძიებები;
- ვ) დაცული უნდა იქნას უფლება ეფექტურ სამუალებებზე, მათ შორის სათანადო სასამართლო ორგანოების მიერ ასეთი გადაწყვეტილებების გადასინჯვაზე.

### პრინციპი 8

გადაადგილება არ შეიძლება განხორციელდეს დაზარალებულთა სიცოცხლის, ღირსების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევით.

### პრინციპი 9

სახელმწიფოებს აკისრიათ განსაკუთრებული მოვალეობა, რათა გადაადგილებისგან დაიცვან მკვიდრი მოსახლეობა, აგრეთვე უმცირესობები, გლეხები, მწყემსები და მოსახლეობის სხვა ჯგუფები, რომელნიც უპირატესად არიან დამოკიდებულნი და მიმაგრებულნი მიწაზე.

## კარი მესამე - პრინციპები გადაადგილების დროს დაცვის შესახებ

### პრინციპი 10

სიცოცხლე ადამიანის ხელშეუხებელი უფლებაა, რომელსაც იცავს კანონი; არავის არა აქვს უფლება თვითნებურად წაართვას ვინმეს სიცოცხლე. იძულებით გადაადგილებული პირები დაცული უნდა იყვნენ ისეთი ხელყოფისაგან, როგორც არის:

- ა) გენოციდი;
- ბ) მკვლელობა;
- გ) სწრაფი ან თვითნებური მსჯავრის დადება;
- დ) იძულებით გაუჩინარება, მათ შორის ქალებისა და ბავშვის გატაცება და გატაცება გამომალვის მიზნით, რომელიც განხორციელდა სიკვდილის მუქარით ან გახდა სიკვდილის მიზეზი;

ასევე უნდა აიკრძალოს ზემოთჩამოთვლილი ნებისმიერი ქმედების ჩადენის მუქარა და წაქეზება.

2. ნებისმიერ ვითარებაში აკრძალულია თავდასხმები ან ძალადობის სხვა აქტები, მიმართული იძულებით გადაადგილებულ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც არასოდეს მონაწილეობდნენ ან აღარ მონაწილეობენ საომარ

მოქმედებებში. იძულებით გადაადგილებული პირები განსაკუთრებით დაცული უნდა იქნენ ისეთი მოქმედებებისაგან, როგორცაა:

- ა) გამიზნული ან განურჩეველი თავდასხმა ან ძალადობის სხვა აქტები, რაც გულისხმობს ისეთი ზონების შექმნასაც, სადაც მშვიდობიან მოქალაქეებზე თავდასხმები დაუშვებელია;
- ბ) შიმშილი, როგორც ბრძოლის ფორმა;
- გ) მათი გამოყენება სამხედრო ობიექტების თავდასხმისაგან დასაცავად ან სამხედრო ოპერაციებში საფარველად, ხელშემწყობად ან შემაფერხებლად;
- დ) თავდასხმები მათ ბანაკებსა და დასახლების ადგილებზე;
- ე) ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენება.

### პრინციპი 11

1. ყოველ ადამიანს აქვს ღირსების, აგრეთვე ფიზიკური, გონებრივი თუ მორალური ხელშეუხებლობის უფლება.

2. იძულებით გადაადგილებული პირები, მიუხედავად იმისა შეზღუდული აქვთ თუ არა თავისუფლება, დაცული უნდა იყვნენ ისეთი ქმედებისგან, როგორცაა:

- ა) გაუპატიურება, ტანჯვა, გარყვნილობის იძულება, წამება, სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯა და პატივისა და ღირსების შემლახავი სხვა მოქმედებები, როგორცაა სქესობრივი ძალადობა, პროსტიტუციის იძულება და ნებისმიერი შეურაცხყოფა;
- ბ) მონობა ან მონობის სხვა თანამედროვე ფორმები, როგორცაა გამოსასყიდით გათხოვება, სქესობრივი ექსპლუატაცია, ბავშვის იძულებითი შრომა;
- გ) ძალადობის იმგვარი ქმედებები, რომლებიც გამიზნულია იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის ტერორის დასათესად.

იკრძალება ზემოთჩამოთვლილი ნებისმიერი ქმედების ჩადენის მუქარა და წაქეზება.

### პრინციპი 12

1. ყოველ ადამიანს აქვს პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. დაუშვებელია თვითნებური დაპატიმრება და დაკავება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

2. იძულებით გადაადგილებულ პირთა ამ უფლების განხორციელებისთვის საჭიროა, რომ ისინი არ იყვნენ ინტერნირებულნი ან შემოფარგლულნი ბანაკში. ამგვარი ინტერნირების ან შემოფარგლისთვის საჭირო შემთხვევების არსებობისას, იგი არ უნდა გრძელდებოდეს იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ამას მოცემული ვითარება მოითხოვს.

3. იძულებით გადაადგილებული პირები დაცული უნდა იყვნენ დისკრიმინაციული დაპატიმრებისა და დაკავებისაგან თავიანთი გადაადგილების საფუძველზე.

4. დაუშვებელია იძულებით გადაადგილებული პირის მძევლად აყვანა



### პრინციპი 13

1. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იძულებით გადაადგილებული ბავშვების შეიარაღებულ ძალებში გაწვევა და სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობის უფლების მოთხოვნა ან გაცემა.

2. იძულებით გადაადგილებული პირები დაცული უნდა იყვნენ დისკრიმინაციული გაწვევისაგან ნებისმიერ შეიარაღებულ ძალებში ან ფორმირებებში მათი მდგომარეობის გამო. კერძოდ, ნებისმიერ ვითარებაში იკრძალება ყოველგვარი სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი ქმედება, რომელიც აიძულებს პირს დათანხმდეს გაწვევაზე, ან დასჯა გაწვევაზე უარის შემთხვევაში.

### პრინციპი 14

1. ყოველ იძულებით გადაადგილებულ პირს აქვს თავისუფალი გადაადგილების უფლება და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება.

2. კერძოდ, იძულებით გადაადგილებულ პირებს უფლება აქვთ თავისუფლად გადაადგილდნენ თავიანთ ბანაკსა თუ საცხოვრებელ ადგილზე, როგორც შიგნით, ისე გარეთ.

### პრინციპი 15

იძულებით გადაადგილებულ პირებს უფლება აქვთ:

- ა) ეძებონ უსაფრთხოება ქვეყნის სხვა ნაწილში;
- ბ) დატოვონ თავიანთი ქვეყანა;
- გ) ეძებონ თავშესაფარი სხვა ქვეყანაში;
- დ) დაცული იყვნენ იძულებით დაბრუნების ან დასახლებისგან ისეთ ადგილას, სადაც მათ სიცოცხლეს, უსაფრთხოებას, თავისუფლებას და/ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.

### პრინციპი 16

1. ყველა იძულებით გადაადგილებულ პირს უფლება აქვს იცოდეს დაკარგული ნათესავის ბედისა და მისი ადგილსამყოფელის შესახებ.

2. ხელისუფლების პასუხისმგებელი ორგანოები უნდა ეცადონ დაადგინონ იმ იძულებით გადაადგილებულ პირთა ბედი და ადგილსამყოფელი, რომელნიც გამოცხადებული არიან, როგორც უგზოუკვლოდ დაკარგულნი და ითანამშრომლონ ამავე მიზნით მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მათ უნდა აცნობონ უახლოეს ნათესავს გამოძიების მსვლელობის შესახებ და შეატყობინონ ნებისმიერი შედეგი.

3. ხელისუფლების პასუხისმგებელი ორგანოები უნდა ეცადონ შეაგროვონ და დაადგინონ გარდაცვალებულთა გვამის ნაწილები, დაიცვან ისინი მარცვისა და დამახინჯებისაგან და გაადვილონ გვამის ნაწილების დაბრუნება უახლოესი ნათესავისათვის ან უზრუნველყონ მათი პატივით დაკრძალვა.

4. იძულებით გადაადგილებულ პირთა სამარხები ნებისმიერ ვითარებაში უნდა იყოს დაცული. იძულებით გადაადგილებულ პირებს უნდა ჰქონდეთ გარდაცვლილ ნათესავთა სამარხების მონახულების უფლება.

### პრინციპი 17

1. ყოველ ადამიანს აქვს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

2. იძულებით გადაადგილებულ პირთა ამ უფლების განსახორციელებლად, იმ წევრებს, რომელთაც სურთ ერთად დარჩენა, უნდა მიეცეთ ამის უფლება.

3. ოჯახებს, რომლებიც განცალკევებულნი არიან იძულებითი გადაადგილების გამო, უნდა მიეცეთ გაერთიანების უფლება. რაც შეიძლება სწრაფად უნდა გატარდეს ყველა საჭირო ნაბიჯი ამ ოჯახების აღდგენისათვის, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ბავშვებს. ხელისუფლების პასუხისმგებელმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ოჯახების წევრების მიერ განხორციელებულ მოძიებას, წახალისონ და ითანამშრომლონ იმ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან, რომლებიც მონაწილეობენ ოჯახების აღდგენის საქმეში.

4. იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახის წევრებს, რომელთა პირადი თავისუფლება შეიზღუდა ბანაკებში ინტერნირებითა და შემოფარგვლით, უფლება აქვთ დარჩნენ ერთად.

### პრინციპი 18

1. ყველა იძულებით გადაადგილებულ პირს აქვს ცხოვრების სათანადო პირობების უფლება.

2. როგორც მინიმუმი, ხელისუფლების პასუხისმგებელმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ნებისმიერ ვითარებაში და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ქვემოთ ჩამოთვლილ საშუალებებზე უსაფრთხოდ ხელმისაწვდომობა:

- ა) აუცილებელი საკვები და სასმელი წყალი;
- ბ) თავშესაფარი და საცხოვრებელი;
- გ) შესაფერისი ტანსაცმელი;
- დ) გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და სანიტარული მომსახურება.

3) განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული ამ ძირითადი საჭიროებებით მომარაგებასა და დანაწილებაში ქალების სრული მონაწილეობის უზრუნველყოფისაკენ.

### პრინციპი 19

1. ყველა დაჭრილი და ავადმყოფი იძულებით გადაადგილებული პირი, ისევე როგორც ქმედუუნარონი, უფლებამოსილნი არიან მიიღონ სამედიცინო დახმარება და ყურადღება, რომელსაც ისინი ითხოვენ, ყოველგვარი განსხვავების გარეშე, გარდა სამედიცინო დახმარების აუცილებლობაზე დამყარებული განსხვავებისა, სრულად, პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში და მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში. საჭიროების შემთხვევაში იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფსიქოლოგიური და სოციალური მომსახურება.

2. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალის ჯანმრთელობას, რისთვისაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს მეანგინეკოლოგიური დაწესებულებები და მომსახურება, როგორც არის რეპროდუქტიული მედიცინა, ასევე შესაბამისი კონსულტაციები სქესობრივი ან სხვა სახის შეურაცხყოფის მსხვერპლთათვის.

3. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე იმას, რომ თავიდან

იქნეს აცილებული ვირუსული და ინფექციური დაავადებების, მათ შორის შიდსის, გავრცელება იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის.

### **პრინციპი 20**

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება იყოს კანონის წინაშე აღიარებული სუბიექტი.
2. იძულებით გადაადგილებულ პირთა ამ უფლების განსახორციელებლად ყველა შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ უნდა გასცეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს მათი სამართლებრივი უფლებების განხორციელებას, როგორცაა პასპორტი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დაბადების და ქორწინების მოწმობა. კერძოდ, ოფიციალურმა პირებმა უნდა გააადვილონ გადაადგილებისას დაკარგული დოკუმენტების აღდგენა ან ახლების გაცემა, ისეთი რეალობას მოკლებული მოთხოვნის გარეშე, როგორცაა აღნიშნული დოკუმენტების მოსაპოვებლად მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.
3. ქალსა და მამაკაცს აქვს უფლება მიიღონ საჭირო დოკუმენტები და უფლება ეს დოკუმენტები გაიცეს პირადად მათ სახელზე.

### **პრინციპი 21**

1. არავის შეიძლება ჩამოერთვას თვითნებურად საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ქონება.
2. იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ქონება ნებისმიერ ვითრებაში დაცული უნდა იყოს, განსაკუთრებით კი ისეთი სახის მოქმედებებისაგან, როგორცაა:
  - ა) ძარცვა;
  - ბ) გამიზნული, განურჩეველი თავდასხმები ან ძალადობის სხვა აქტები;
  - გ) მათი გამოყენება სამხედრო ობიექტებისა და სამხედრო ოპერაციების საფარველად;
  - დ) გახდნენ რესპრესალიების ობიექტები;
  - ე) მათი განადგურება ან მითვისება, როგორც კოლექტიური დასჯის მეთოდი.
3. იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ქონება, რომლის დატოვებაც მათ მოუხდათ, დაცული უნდა იქნეს განადგურებისაგან და თვითნებური და არალეგალური მითვისების, ოკუპირების ან გამოყენებისაგან.

### **პრინციპი 22**

1. იძულებით გადაადგილებული პირები, მიუხედავად იმისა ცხოვრობენ თუ არა ისინი ბანაკებში, თავიანთი გადაადგილების გამო არ უნდა იქნენ დისკრიმინირებულნი ისეთი უფლებების განხორციელებაში, როგორცაა:
  - ა) აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის, შეხედულებისა და სიტყვის თავისუფლება;
  - ბ) უფლება, მოიძიონ თავისუფალი შესაძლებლობა სამსახურისათვის და მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკურ საქმიანობაში;
  - გ) უფლება, თავისუფლად გაერთიანების და თანასწორობის საფუძველზე მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმიანობაში;

დ) უფლება, აირჩიონ და მონაწილეობდნენ სამთავრობო და საჯარო საქმიანობაში, მათ შორის, ამ უფლების განსახორციელებლად საჭირო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის ჩათვლით;

ე) უფლება ისარგებლონ იმ ენით, რომელსაც ისინი ფლობენ.

### **პრინციპი 23**

1. ყოველ ადამიანს აქვს განათლების მიღების უფლება.
2. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შესაბამისმა ხელისუფლებებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამ პირებისათვის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ქონება, კერძოდ, იძულებით გადაადგილებული ბავშვებისათვის დაწყებითი განათლება იყოს უფასო და სავალდებულო. განათლების მიღებისას დაცული უნდა იქნეს მათი კულტურული თვითმყოფადობა, ენა და რელიგია.
3. განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული ქალებისა და გოგონების ჩართვისკენ საგანმანათლებლო პროგრამაში, მათი სრული და თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.
4. განათლება და სასწავლო საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს იძულებით გადაადგილებული პირებისათვის, კერძოდ, არასრულწლოვანებისა და ქალებისათვის, მიუხედავად იმისა, ცხოვრობენ თუ არა ისინი ბანაკებში, და სამისოდ პირობების შექმნისთანავე.

## **კარი მეოთხე - პრინციპები ჰუმანიტარული დახმარების შესახებ**

### **პრინციპი 24**

1. ნებისმიერი ჰუმანიტარული დახმარება უნდა მიეწოდებოდეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ჰუმანიზმისა და მიუკერძოებლობის პრინციპის საფუძველზე.
2. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარება არ შეიძლება გამოყენებული იქნას რაიმე სხვა მიზნით, კერძოდ, რაიმე პოლიტიკური ან სამხედრო მიზნებისათვის.

### **პრინციპი 25**

1. ეროვნული ხელისუფლებებს აკისრიათ უპირატესი ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რათა იძულებით გადაადგილებული პირები უზრუნველყონ ჰუმანიტარული დახმარებით.
  2. საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს და მსგავსი საქმიანობით დაკავებულ დაწესებულებებს უფლება აქვთ შესთავაზონ თავიანთი მომსახურება იძულებით გადაადგილებულთა მხარდასაჭერად. მსგავსი მომსახურებები არ უნდა იქნეს მიჩნეული არამეგობრულ მოქმედებად ან სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევად, არამედ უნდა განიხილებოდეს კეთილი ნების გამოვლენად. ამასთანავე, ასეთ დახმარებაზე თანხმობა არ უნდა იყოს თვითნებურად მოპოვებული, მაშინ როდესაც ხელისუფლებას არ ძალუძს ან არ სურს საჭირო ჰუმანიტარული დახმარებით უზრუნველყოფა.
- შესაბამისმა ხელისუფლებებმა უნდა უზრუნველყონ და გააადვილონ ჰუმანიტარული დახმარების დაუბრკოლებლად მიღება და აღჭურვონ ამ



საქმით დაკავებული პირები სწრაფი და დაუბრკოლებელი დაშვებით იძულებით გადაადგილებულ პირებთან.

### **პრინციპი 26**

ჰუმანიტარული დახმარების განმარტებული პირების ტრანსპორტი და აღჭურვილობა უნდა იყოს დაცული. ისინი არ შეიძლება გახდნენ თავდასხმის ან ძალადობის სხვა აქტების ობიექტები.

### **პრინციპი 27**

1. საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა და მსგავსი საქმიანობით დაკავებულმა დაწესებულებებმა დახმარების გაწევის დროს სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის საჭიროებას და ადამიანის უფლებებს და იმოქმედონ მათ შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნულმა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა პატივი უნდა სცენ სათანადო საერთაშორისო სტანდარტებს და ქვეყნის წესებს.

2. წინამდებარე პარაგრაფი არ ეწინააღმდეგება იმ საერთაშორისო ორგანიზაციების დაცვით მოვალეობებს, რომლებიც აღჭურვილნი არიან სათანადო მანდატით და რომელთა სამსახური შეიძლება შეთავაზებული ან მოთხოვნილი იქნეს სახელმწიფოს მიერ.

## **კარი მეხუთე - პრინციპები დაბრუნების, განსახლების და რეინტეგრაციის შესახებ**

### **პრინციპი 28**

1. ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს აქვთ უპირველესი მოვალეობა და პასუხისმგებლობა, რათა შექმნან პირობები, ისევე როგორც უზრუნველყონ საშუალება, რაც შესაძლებლობას მისცემს იძულებით გადაადგილებულ პირებს დაბრუნდნენ თავისი ნებით, უსაფრთხოდ და ღირსეულად თავიანთ სახლებში ან საცხოვრებელ ადგილებში, ან ნებაყოფლობით ხელახლა განსახლდნენ ქვეყნის სხვა ნაწილში. მსგავსმა უფლებამოსილმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ და გაადვილონ დაბრუნებული ან განსახლებული იძულებით გადაადგილებული პირების რეინტეგრაცია.

2. განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების, დასახლების და რეინტეგრაციის დაგეგმვისა და მართვის პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

### **პრინციპი 29**

იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, ან ისინი, ვინც დასახლდნენ ქვეყნის სხვა ნაწილში, არ შეიძლება დისკრიმინირებულნი იყვნენ თავიანთი მდგომარეობის გამო. მათ აქვთ უფლება შეუზღუდავად და თანაბრად, ნებისმიერ დონეზე მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ურთიერთობებში, აგრეთვე, თანაბრად ისარგებლონ საზოგადოებრივი მომსახურებით.

ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს აკისრიათ მოვალეობა და პასუხისმგებლობა, რათა დაეხმარონ დაბრუნებულ და/ან ხელახლა დასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირებს აღუდგინონ, შესაძლებლობის ფარგლებში, მათ საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული

ქონება, რომელიც მათ დატოვეს ან წაერთვათ გადაადგილებისას. როდესაც ქონებისა და მფლობელობის აღდგენა შეუძლებელია, ხელისუფლების უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ან დაეხმარონ ამ პირებს შესაბამისი კომპენსაციის ან სხვა სახის რეპარაციის მიღებაში.

### **პრინციპი 30**

ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა უნდა დაუშვან და გაუადვილონ საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებსა და შესაბამის დაწესებულებებს თავისი მანდატის განხორციელების შესაძლებლობა, რათა მათ სწრაფად და შეუფერხებლად განახორციელონ იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება მათი დაბრუნების, განსახლების ან რეინტეგრაციის პროცესში.

## დანართი II

### აფრიკის კავშირის კონვენცია აფრიკაში იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების შესახებ (კამპალას კონვენცია)

#### პრეამბულა

ჩვენ, აფრიკის კავშირის წევრ სახელმწიფოთა მთავრობის და სახელმწიფოს მეთაურები

ვაცნობიერებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა სიტუაციის სიმძიმეს, რაც იწვევს გაჭიანურებულ არასტაბილურობასა და დამაბულობას აფრიკის სახელმწიფოებში;

ასევე ვაცნობიერებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა ტანჯვასა და სპეციფიკურ მოწყვლადობას;

ვითვალისწინებთ რა აფრიკის ჩვეულებას და მიმღები თემების სტუმართმოყვარეობის ტრადიციას უბედურებაში მყოფი პირების მიმართ და ასეთი თემებისადმი დახმარებას;

გამოვთქვამთ მზადყოფნას გავაზიაროთ იძულებით გადაადგილებულ პირთა სიტუაციების გრძელვადიანი გადაწყვეტის უზრუნველყოფისადმი ჩვენი საერთო ხედვა, მათი დაცვისა და დახმარების სათანადო სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბების მეშვეობით;

გამოვთქვამთ მზადყოფნას მივიღოთ ზომები იძულებითი გადაადგილების ფენომენის თავიდან ასაცილებლად და შესაწყვეტად, მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მეშვეობით, განსაკუთრებით ინტენსიური და რეგულარული კონფლიქტების, ასევე რეაგირებისთვის იძულებით გადაადგილებაზე, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი კატასტროფებით, რომლებიც არახელსაყრელ ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა ცხოვრებაზე, მშვიდობაზე, სტაბილურობაზე, უსაფრთხოებასა და განვითარებაზე;

ვითვალისწინებთ აფრიკის კავშირის 2000 წლის დამფუძნებელ აქტს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1945 წლის წესდებას;

კვლავ ვადასტურებთ მონაწილე სახელმწიფოების სუვერენული თანასწორობის, მათი ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პატივისცემას, როგორც ეს გაცხადებულია აფრიკის კავშირის დამფუძნებელ აქტში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში;

ვითვალისწინებთ 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო



დეკლარაციას, 1948 წლის კონვენციას გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ, 1949 წლის ჟენევის ოთხ კონვენციას და ამ კონვენციების 1977 წლის დამატებით ოქმებს, 1951 წლის გაეროს კონვენციას ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და 1967 წლის ოქმს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, 1969 წლის აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის კონვენციას აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემების სპეციფიკური ასპექტების მართვის შესახებ, 1979 წლის კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1981 წლის აფრიკულ ქარტიას ადამიანის და ხალხთა უფლებების შესახებ და ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის 2003 წლის ოქმს აფრიკაში ქალთა უფლებების შესახებ, 1990 წლის აფრიკულ ქარტიას ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ, 1994 წლის ადის აბეზას დოკუმენტს აფრიკაში ლტოლვილთა და მოსახლეობის იძულებითი გადაადგილების შესახებ, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და აფრიკის კავშირის ადამიანის უფლებათა სხვა დოკუმენტებს და უშიშროების საბჭოს შესაბამის რეზოლუციებს;

ვითვალისწინებთ, რომ ადამიანის და ხალხთა უფლებების შესახებ 1981 წლის აფრიკული ქარტიის საფუძველზე აფრიკის კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა აირჩიეს დემოკრატიული განვითარების გზა და ერთგული არიან დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანასწორობისა და კანონის წინაშე თანაბარი დაცვის პრინციპების, ასევე ადამიანის უფლებათა სამართლის სხვა რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების საფუძველზე;

ვადარებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა განუყოფელ უფლებებს, როგორც ეს უზრუნველყოფილი და დაცულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით და ჰუმანიტარული სამართლით, და ჩამოყალიბებულია გაეროს 1998 წლის სახელმძღვანელო პრინციპებში იძულებითი გადაადგილების შესახებ, რომლებიც აღიარებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის მნიშვნელოვან საერთაშორისო ჩარჩოდ;

ვადასტურებთ ჩვენს უპირატეს პასუხისმგებლობას და ვალდებულებას პატივი ვცეთ, დავიცვათ და განვახორციელოთ უფლებები - რომლებიც მინიჭებული აქვთ იძულებით გადაადგილებული პირებს - რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;

აღვნიშნავთ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების როლებს იძულებით გადაადგილებული პირებისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უწყებათაშორისი თანამშრომლობის მიდგომის სქემის ფარგლებში, განსაკუთრებით გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) გამოცდილებას დაცვის სფეროში და მისდამი მიმართვას აფრიკის კავშირის აღმასრულებელი საბჭოს ელ შეიხის (ეგვიპტე) 2008 წლის ივლისის დადგენილებით EX/CL.413 (XIII), თხოვნით - გააგრძელოს და განამტკიცოს თავისი როლი იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების პროცესში გაეროს საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში; და ასევე აღვნიშნავთ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მანდატს შეიარაღებული კონფლიქტის და სხვა ძალადობრივი სიტუაციების მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისთვის, ასევე სამოქალაქო ორგანიზაციათა მუშაობას, იმ ქვეყნის კანონების შესაბამისად, სადაც ისინი ახორციელებენ ასეთ ფუნქციებსა და მანდატებს;

მივუთითებთ სავალდებულო აფრიკული და საერთაშორისო სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს არარსებობაზე, განსაკუთრებით იძულებითი გადაადგილების პრევენციისთვის და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარებისთვის;

კვლავ ვადასტურებთ აფრიკის კავშირის წევრ სახელმწიფოთა ისტორიულ ვალდებულებას ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების მიმართებით და მზადყოფნას, კერძოდ, აღმასრულებელი საბჭოს 2004 წლის ივლისის ადის აბეზას გადაწყვეტილებების EX.CL/Dec.129 (V) და EX.CL/127 (V) განხორციელებისთვის, რათა იძულებით გადაადგილებულ პირთა სპეციფიკური საჭიროებები, როგორცაა დაცვა და დახმარება, უზრუნველყოფილი იქნეს ცალკე სამართლებრივი დოკუმენტის მეშვეობით, და თანამშრომლობა პარტნიორებთან და სხვა ჩართულ მხარეებთან, რათა იძულებით გადაადგილებული პირებისთვის შეიქმნას სათანადო სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს მათ სათანადო დაცვას და დახმარებას, ასევე გრძელვადიან გადაწყვეტილებებს;

დარწმუნებული ვართ რა, რომ წინამდებარე კონვენცია იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების შესახებ წარმოადგენს სწორედ ასეთ სამართლებრივ ჩარჩოს;

### შთანხმავი შედეგა:

### მუხლი 1 - გამოყენებულ ტერმინთა მნიშვნელობები

ამ კონვენციის მიზნებისთვის:

- ა. „აფრიკული ქარტია“ ნიშნავს აფრიკულ ქარტიას ადამიანის და ხალხთა უფლებების შესახებ;
- ბ. „აფრიკული კომისია“ (აკ) ნიშნავს ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკულ კომისიას;
- გ. „მართლმსაჯულების და ადამიანის უფლებათა აფრიკული სასამართლო“ ნიშნავს მართლმსაჯულების და ადამიანის უფლებათა აფრიკულ სასამართლოს;
- დ. თვითნებური გადაადგილება ნიშნავს თვითნებურ გადაადგილებას, როგორც ეს მითითებულია მე - 4 მუხლის (ა)-(თ) ქვეპუნქტებში;
- ე. „შეიარაღებული ჯგუფები“ ნიშნავს დისიდენტურ შეიარაღებულ ძალებს ან სხვა ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს;
- ვ. „აკ“ ნიშნავს აფრიკულ კავშირს;
- ზ. „აკ კომისია“ ნიშნავს აფრიკის კავშირის სამდივნოს, რომელიც რეგიონული დოკუმენტების დეპოზიტორია;
- თ. „ბავშვი“ ნიშნავს 18 წლამდე ასაკის ნებისმიერ ადამიანს;
- ი. „დამფუძნებელი აქტი“ ნიშნავს აფრიკის კავშირის დამფუძნებელ აქტს;
- კ. „საზიანო ქმედება“ ნიშნავს ყველა ქცევას, დამოკიდებულებას და/ან საქმიანობას, რომელიც უარყოფითად მოქმედება ადამიანის საყოველთაო უფლებებზე, როგორცაა სიცოცხლის, ჯანმრთელობის,

ღირსების, განათლების, ფსიქიკური და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება, და არა მხოლოდ ეს უფლებები;

- ლ. „ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირი“ ნიშნავს პირებს ან პირთა ჯგუფებს, რომლებიც გამოძევებული იქნენ ან იძულებულნი გახდნენ გაქცეულიყვნენ ან დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, კერძოდ, რათა გაქცოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა დარღვევებს და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს და ამასთან არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი;
- მ. „შიდა გადაადგილება“ ნიშნავს პირთა ან პირთა ჯგუფების არანებყოფლობით ან იძულებით გადაადგილებას, ევაკუაციას ან გადაადგილებას სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში;
- ნ. „წევრი სახელმწიფო“ ნიშნავს აფრიკის კავშირის წევრ სახელმწიფოს;
- ო. „არასახელმწიფო აქტორები“ ნიშნავს კერძო აქტორებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო თანამდებობის პირები, სხვა შეიარაღებული ჯგუფების ჩათვლით, რომლებიც არ არის განსაზღვრული ზემოთ 1(დ) მუხლში და რომელთა ქმედებები სახელმწიფოს ოფიციალურად ვერ მიეკუთვნება;
- პ. „აეო“ ნიშნავს აფრიკის ერთობის ორგანიზაციას;
- ჟ. „ქალები“ ნიშნავს მდედრობითი სქესის პირებს, გოგონების ჩათვლით;
- რ. „სფეროს სტანდარტები“ ნიშნავს ჰუმანიტარული დახმარების ეფექტიანობის და ზემოქმედების მონიტორინგისა და შეფასების სტანდარტებს; და
- ს. „მონაწილე სახელმწიფოები“ ნიშნავს აფრიკის სახელმწიფოებს, რომლებმაც ამ კონვენციის რატიფიცირება მოახდინეს ან მიუერთდნენ მას.

## მუხლი 2 - მიზნები

ამ კონვენციის მიზნებია:

- ა. იძულებითი გადაადგილების გამომწვევი მიზეზების თავიდან აცილების ან შემსუბუქების, აკრძალვის და აღმოფხვრის ღონისძიებათა ხელშეწყობა და განმტკიცება, აგრეთვე გრძელვადიანი გადაწყვეტების უზრუნველყოფა;
- ბ. აფრიკაში იძულებითი გადაადგილების თავიდან აცილების, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა; და
- გ. მონაწილე სახელმწიფოთა შორის სოლიდარობის, თანამშრომლობის, გრძელვადიანი გადაწყვეტების ხელშეწყობის და ურთიერთდახმარების სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა გადაადგილების წინააღმდეგ ბრძოლისა და მის შედეგებზე რეაგირების მიზნით.

## მუხლი 3 - მონაწილე სახელმწიფოთა ზოგადი ვალდებულებები

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ პატივი

სცენ და უზრუნველყონ ამ კონვენციის დაცვა. კერძოდ, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ:

- ა. მოსახლეობის თვითნებური გადაადგილებისაგან თავის შეკავებას, მის აკრძალვას და თავიდან აცილებას;
  - ბ. პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური გარიყვის და მარგინალიზაციის თავიდან აცილებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მოსახლეობის ან პირთა გადაადგილება მათი სოციალური წარმოშობის, რელიგიის ან პოლიტიკური შეხედულებების ნიადაგზე;
  - გ. ჰუმანურობის პრინციპის და იძულებით გადაადგილებულ პირთა ღირსების პატივისცემა და პატივისცემის უზრუნველყოფას;
  - დ. იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა პატივისცემას და დაცვას, ჰუმანური მოპყრობის, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანასწორობისა და კანონის თანაბარი დაცვის ჩათვლით;
  - ე. იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პატივისცემას და პატივისცემის უზრუნველყოფას;
  - ვ. იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების ჰუმანიტარული და სამოქალაქო ხასიათის პატივისცემას, მათ შორის, უზრუნველყოფას იმისა, რომ ასეთი პირები არ ჩაერთვებიან ძირგამომთხრელ საქმიანობაში;
  - ზ. თვითნებური გადაადგილების ქმედებისთვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრებას, შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო სისხლის სამართლის შესაბამისად;
  - თ. არასახელმწიფო აქტორთა ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას, მრავალეროვნული საწარმოებისა და კერძო სამხედრო ან უსაფრთხოების საწარმოების ჩათვლით, თვითნებური გადაადგილების ქმედებებისთვის ან ასეთ ქმედებებში თანამონაწილეობისთვის;
  - ი. ეკონომიკური და ბუნებრივი რესურსების კვლევისა და გამოყენების საქმიანობაში ჩართული არასახელმწიფო აქტორთა ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას, როდესაც ეს საქმიანობა იწვევს გადაადგილებას;
  - კ. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დახმარების გაწევის უზრუნველყოფას მათი პირველადი მოთხოვნების დაკმაყოფილების მეშვეობით, ასევე ჰუმანიტარული ორგანიზაციებისა და პერსონალის სწრაფი და შეუფერხებელი მისაწვდომობის უზრუნველყოფით;
  - ლ. იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის თვითკმარობისა და მდგრადი საარსებო საშუალებების ხელშეწყობას, იმ პირობით, რომ ასეთი ღონისძიებები არ იქნება გამოყენებული იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების უგულვებლყოფისთვის, და ზიანს არ მიაყენებს დახმარების სხვა საშუალებებს;
2. მონაწილე სახელმწიფოები:
    - ა. ამ კონვენციით განსაზღვრულ ვალდებულებებს ასახავენ შიდა-სახელმწიფო სამართალში, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების შესახებ სათანადო კანონმდებლობის მიღების



ან შესწორების მეშვეობით, საერთაშორისო სამართლის საფუძველზე მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად;

- ბ. ნიშნავენ უფლებამოსილ პირს ან ორგანოს, საჭიროების შემთხვევაში, რომელიც პასუხისმგებელი იქნება იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებათა კოორდინირებაზე, და აკისრებენ პასუხისმგებლობას სათანადო ორგანოებს დაცვისა და დახმარებისთვის, და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობისთვის, იქ სადაც ასეთი უფლებამოსილი პირი ან ორგანო არ არსებობს.
- გ. სხვა სათანადო ზომების მიღება, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე იძულებითი გადაადგილების სტრატეგიებისა და პოლიტიკის ჩათვლით, მიმღები თემების საჭიროებების გათვალისწინებით;
- დ. დაცვისა და დახმარებისთვის საჭირო ფონდების უზრუნველყოფა, შესაძლებლობის ფარგლებში, საერთაშორისო დახმარების მიღებისთვის ზიანის მიყენების გარეშე;
- დ. ამ კონვენციის შესაბამის დებულებათა გამოყენება სამშვიდობო მოლაპარაკებებში და ხელშეკრულებებში, იძულებითი გადაადგილების პრობლემის მდგრადი გადაწყვეტის მიზნების მიზნით.

**მუხლი 4 - იძულებითი გადაადგილებისაგან დაცვის ვალდებულება**

- 1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საერთაშორისო სამართლით დაკისრებული ვალდებულებების პატივისცემასა და შესრულებას, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ჩათვლით, რათა თავიდან იქნეს აცილებული პირობები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს პირთა თვითნებური გადაადგილება;
- 2. მონაწილე სახელმწიფოები ქმნიან ადრეული გაფრთხილების სისტემებს, ადრეული გაფრთხილების კონტინენტური სისტემის ფარგლებში, გადაადგილების შესაძლო ადგილებში, ქმნიან და ახორციელებენ კატასტროფების საფრთხის შემცირების სტრატეგიებს, საგანგებო სიტუაციებისა და კატასტროფებისთვის მზადყოფნის და მართვის ღონისძიებებს, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაუყოვნებელ დაცვასა და დახმარებას;
- 3. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან ან ჰუმანიტარულ დაწესებულებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და სხვა შესაბამის აქტორებთან;
- 4. ყველა პირს აქვს თვითნებური გადაადგილებისგან დაცვის უფლება. თვითნებური გადაადგილება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგ კატეგორიებს:
  - ა. გადაადგილება, რომელიც ემყარება რასობრივი დისკრიმინაციის ან მსგავს ქმედებებს, რომლებიც გამიზნულია/ან შედეგად მოჰყვება მოსახლეობის ეთნიკური, რელიგიური ან რასობრივი შემადგენლობის შეცვლა.
  - ბ. სამოქალაქო პირთა მასობრივი გადაადგილება, რომელიც ხდება

შეიარაღებული კონფლიქტის დროს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას მოითხოვს სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოება ან აუცილებელი სამხედრო მიზნები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისად.

- გ. შეიარაღებული კონფლიქტის დროს გადაადგილება განზრახ გამოიყენება საომარ მეთოდად ან გადაადგილება ხდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა დარღვევების გამო;
  - დ. გადაადგილება, რომელიც გამოწვეულია საყოველთაო ძალადობით ან ადამიანის უფლებათა ხელყოფით;
  - ე. გადაადგილება, რომელიც გამოწვეულია საზიანო მოქმედებებით;
  - ვ. ბუნებრივი ან ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფებით ან სხვა მიზეზებით გამოწვეული იძულებითი ევაკუაცია, როდესაც ეს ევაკუაცია არ არის გამართლებული დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის ინტერესებით.
  - ზ. გადაადგილება, რომელიც გამოიყენება მოსახლეობის კოლექტიური დასჯისთვის;
  - თ. გადაადგილება, რომელსაც იწვევს ნებისმიერი ქმედება, ღონისძიება, ფაქტორი ან მოვლენა, რომელთა შედეგი თავისი სიმძიმით შეეფარდება ყველა ზემოაღნიშნულს და რომელიც არ არის გამართლებული ჰუმანიტარული სამართლის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ჩათვლით.
- 5. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ გადაადგილებისაგან დაიცვან თემები, რომელნიც განსაკუთრებით არიან მიმაგრებული და დამოკიდებული მიწაზე, მათი განსაკუთრებული კულტურული და სულიერი ღირებულებების გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას მოითხოვს დამაჯერებელი და უპირატესი საზოგადოებრივი ინტერესები;
  - 6. მონაწილე სახელმწიფოები კანონით დასჯად დანაშაულად აცხადებენ თვითნებური გადაადგილების ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ტოლფასია გენოციდის, სამხედრო დანაშაულის ან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის.

**მუხლი 5 - დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებული ვალდებულებები**

- 1. მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ უპირატესი ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რათა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში იძულებით გადაადგილებული პირები უზრუნველყონ დაცვით და ჰუმანიტარული დახმარებით, რაიმე სახის დისკრიმინაციის გარეშე.
- 2. მონაწილე სახელმწიფოები, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების პროცესში, თანამშრომლობენ ერთმანეთთან მოცემული მონაწილე სახელმწიფოს ან მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მოთხოვნის საფუძველზე;
- 3. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ აფრიკის კავშირისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მანდატებს, ასევე საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების როლს იძულებით გადაადგილებულ

პირთათვის დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფის პროცესში, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

4. მონაწილე სახელმწიფოები ახორციელებენ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებებს, რომელთა გადაადგილება მოხდა ბუნებრივი ან ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების გამო, კლიმატის ცვლილების ჩათვლით.
5. მონაწილე სახელმწიფოები ავასებენ ან ხელს უწყობენ იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიმღები თემების საჭიროებებისა და მოწყვლადობის შეფასებას საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან თანამშრომლობით.
6. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ იძულებით გადაადგილებულ პირთა სათანადო დაცვას და დახმარებას, ხოლო იქ, სადაც არსებული რესურსები ამის საშუალებას არ იძლევა, ისინი დახმარებას სთხოვენ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ჰუმანტარულ დაწესებულებებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და სხვა შესაბამის აქტორებს. ასეთ ორგანიზაციებს შეუძლიათ თავიანთი სამსახური შესთავაზონ ყველას, ვისაც ეს სჭირდება.
7. მონაწილე სახელმწიფოები საჭირო ნაბიჯებს დგამენ ჰუმანტარული, და თავისი ბუნებით - მიუკერძოებელი დახმარების ეფექტიანი ორგანიზებისთვის და უზრუნველყოფენ უსაფრთხოებას. მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ დახმარების ტვირთების, აღჭურვილობის და პერსონალის სწრაფ და შეუფერხებელ მსვლელობას იძულებით გადაადგილებულ პირებამდე. მონაწილე სახელმწიფოები ასევე საშუალებას აძლევენ და ეხმარებიან ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს და ჰუმანტარულ დაწესებულებებს, სამოქალაქო ორგანიზაციებსა და სხვა შესაბამის აქტორებს მათი როლის შესრულებაში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დაცვისა და დახმარების თვალსაზრისით. მონაწილე სახელმწიფოებს უფლება აქვთ დაადგინონ ტექნიკური წესები, რომლებიც დაცული უნდა იქნეს ასეთი მსვლელობის დროს.
8. მონაწილე სახელმწიფოები მხარს უჭერენ და უზრუნველყოფენ ჰუმანტარული აქტორების ჰუმანიზმის, ნეიტრალიტეტის, მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის ჰუმანტარულ პრინციპებს.
9. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებას მშვიდობიანად მოითხოვონ ან ეძიონ დაცვა და დახმარება, შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო კანონების საფუძველზე, და ამ უფლების განხორციელებისას ისინი არ შეიძლება დაექვემდებარონ სისხლისსამართლებრივ დევნას ან დასჯას.
10. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად ან სხვა სარგებლობისთვის განკუთვნილი ჰუმანტარული პერსონალისა და რესურსების ან სხვა მასალების პატივისცემას, დაცვას და მათზე თავდაუსხმელობის ან სხვაგვარი ზიანის მიყენების დაუშვებლობას.
11. მონაწილე სახელმწიფოები ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ შეიარაღებული ჯგუფების მოქმედება მე - 7 მუხლით განსა-

ზღვრული ვალდებულებების შესაბამისად.

12. ეს მუხლი არანაირ ზიანს არ აყენებს სახელმწიფოთა სუვერენულობისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს.

## **მუხლი 6 - საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ჰუმანიტარულ დაწესებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები**

1. საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ჰუმანიტარულმა დაწესებულებებმა ამ კონვენციით დაკისრებული ვალდებულებები უნდა განახორციელონ საერთაშორისო სამართლისა და იმ ქვეყნის კანონების შესაბამისად, სადაც ისინი საქმიანობენ.
2. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დაცვისა და დახმარების მიწოდებისას, საერთაშორისო ორგანიზაციები და ჰუმანიტარული დაწესებულებები პატივს სცემენ ასეთ პირთა უფლებებს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.
3. საერთაშორისო ორგანიზაციები და ჰუმანიტარული დაწესებულებები ვალდებულნი არიან დაიცვან ჰუმანიტარულ აქტორთა ჰუმანურობის, ნეიტრალიტეტის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპები და უზრუნველყონ შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებისა და ქვეყნის კოდექსების პატივისცემა.

## **მუხლი 7 - იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა და დახმარება შეიარაღებული კონფლიქტის დროს**

1. ამ მუხლის დებულებები არავითარ გარემოებაში არ შეიძლება განიმარტოს, როგორც სამართლებრივი სტატუსის ან ლეგიტიმაციის ან აღიარების მინიჭება შეიარაღებული ჯგუფებისთვის და ისინი ასეთი ჯგუფების წევრებს არ ათავისუფლებს ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან შიდასახელმწიფო ან საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძველზე.
2. ამ კონვენციაში არაფერი შეიძლება იქნეს გამოყენებული სახელმწიფოს სუვერენიტეტზე ან მთავრობის პასუხისმგებლობაზე ზემოქმედებისთვის, ყველა ლეგიტიმური მნიშვნელობით, რომელიც ეხება სამართლის და სახელმწიფო წყობის შენარჩუნებას ან ხელახლა შექმნას, ან ეროვნული ერთიანობის და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა და დახმარება წარმართება საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, განსაკუთრებით საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის.
4. შეიარაღებული ჯგუფების წევრები დაექვემდებარებიან სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ისეთი ქმედებებისთვის, რომლითაც ირღვევა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული სამართლის საფუძველზე.
5. შეიარაღებული ჯგუფების წევრებს ეკრძალებათ:
  - ა. თვითნებური გადაადგილების განხორციელება;
  - ბ. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გამიზნული დაცვისა და



დახმარებისთვის დაბრკოლებების შექმნა, ნებისმიერ გარემოებაში;

- გ. იძულებით გადაადგილებული პირებისთვის უარის თქმა ღირსეული ცხოვრების უფლებაზე, უსაფრთხოების, ჰიგიენის, საკვების, წყლის, ჯანმრთელობისა და თავშესაფრის მოთხოვნების ჩათვლით; და მოახდინონ ოჯახის განცალკევება;
- დ. შეზღუდონ იძულებით გადაადგილებულ პირთა მოძრაობა მათი საცხოვრებელი ტერიტორიის შიგნით და გარეთ;
- ე. მოახდინონ ბავშვთა რეკრუტი, ან მოითხოვონ, ან დაუშვან მათი მონაწილეობა შეიარაღებულ დაპირისპირებაში, ნებისმიერ გარემოებაში;
- ვ. მოახდინონ პირთა იძულებითი რეკრუტი, გატაცება, წაყვანა ან მძევლად აყვანა, სქესობრივ მონობაში ან ადამიანით ვაჭრობაში ჩართვა, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების;
- ზ. იძულებით გადაადგილებულ პირთა ჰუმანიტარული დახმარებისათვის და ყველა სახის დახმარებისთვის განკუთვნილი ტვირთის, აღჭურვილობისა და პერსონალის გატარებისთვის დაბრკოლების შექმნა;
- თ. ჰუმანიტარულ პერსონალზე და რესურსებზე ან დახმარებისთვის განკუთვნილ სამაღებზე თავდასხვა ან სხვა სახით ზიანის მიყენება, განადგურება, კონფისკაცია ან ასეთი მასალების სხვა მიზნებისთვის გამოყენება; და
- თ. იძულებით გადაადგილებულ პირთა თავშესაფრის ადგილები სამოქალაქო და ჰუმანიტარული ბუნების დარღვევა და ასეთ ადგილებში შეღწევა.

### **მუხლი 8 - აფრიკის კავშირთან დაკავშირებული ვალდებულებები**

- 1. აფრიკულ კავშირს უფლება აქვს ჩაერიოს წევრი სახელმწიფოს საქმეებში ასამბლეის დადგენილების შესაბამისად, დამფუძნებელი აქტის მე - 4(თ) მუხლის საფუძველზე, მძიმე გარემოებების დროს, კერძოდ, როდესაც ხდება ომის დანაშაული, გენოციდი და დანაშაული კაცობრიობის წინაშე;
- 2. აფრიკის კავშირი პატივს სცემს მონაწილე სახელმწიფოთა უფლებას მოითხოვონ კავშირის ჩარევა მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენის მიზნით, დამფუძნებელი აქტის მე - 4(თ) მუხლის შესაბამისად და ამით ხელი შეუწყოს იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტების მოძიებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას;
- 3. აფრიკის კავშირი მხარს უჭერს მონაწილე სახელმწიფოთა ძალისხმევას, რათა დაიცვან და დაეხმარონ იძულებით გადაადგილებულ პირებს ამ კონვენციის საფუძველზე. კერძოდ, კავშირი:
  - ა. აძლიერებს აფრიკის კავშირის ინსტიტუციურ სისტემას და პოტენციალს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების თვალსაზრისით;
  - ბ. კოორდინაციას უწყევს რესურსების მობილიზებას იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარებისთვის;
  - გ. თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ჰუმანიტარულ

დაწესებულებებთან, სამოქალაქო ორგანიზაციებთან და სხვა სათანადო აქტორებთან, მათი მანდატების შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებებში მონაწილე სახელმწიფოებისთვის მხარდაჭერის მიზნით.

- დ. უშუალოდ თანამშრომლობს აფრიკის სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ჰუმანიტარულ დაწესებულებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და სხვა შესაბამის აქტორებთან, რათა მიღებულ იქნეს სათანადო ზომები იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაცავად და დასახმარებლად.
- ე. ინფორმაციას აწვდის ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკის კომიტეტს გადაადგილების მდგომარეობის შესახებ და აფრიკაში იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების შესახებ; და
- ვ. თანამშრომლობს ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკის კომისიის ლტოლვილთა, დაბრუნებულთა, იგპ-თა და თავშესაფრის მაძიებელთა საკითხებზე სპეციალურ მომხსენებელთან, იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე რეაგირების მიზნით.

### **მუხლი 9 - იძულებითი გადაადგილების განმავლობაში დაცვისა და დახმარების ვალდებულება**

- 1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვას, გადაადგილების გამომწვევი მიზეზის მიუხედავად, რის გამოც, სხვა ღონისძიებებთან ერთად, თავს იკავებენ და აღკვეთენ:
  - ა. ასეთ პირთა მიმართ დისკრიმინაციას მათი უფლებებისა და თავისუფლებების განხროციელებისას, მათი იძულებითი გადაადგილების საფუძველზე;
  - ბ. გენოციდს, კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩადენას, სამხედრო დანაშაულებს და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა დარღვევებს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ;
  - გ. თვითნებურ მკვლელობას, განაჩენის დაუყოვნებელ აღსრულებას, თვითნებურ დაპატიმრებას, გატაცებას, იძულებით გაუჩინარებას ან წამებას და სხვა ფორმის სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას;
  - დ. სქესობრივ ან გენდერულ საფუძველზე ძალადობის ყველა ფორმას, განსაკუთრებით, გაუპატიურებას, პროსტიტუციის იძულებას და საზიანო ქმედებებს, მონობას, ბავშვთა იძულებით გაწვევას შეიარაღებულ ძალებში და მათ გამოყენებას საომარ მოქმედებებში, იძულებით შრომას და ადამიანით ვაჭრობასა და კონტრაბანდას; და
  - ე. შიმშილს.
- 2. სახელმწიფოები:
  - ა. დგამენ ყველა საჭირო ნაბიჯს, რათა მიიღონ იძულებით გადაადგილებული პირები და შეუქმნან მათ ცხოვრების დამაკმაყოფილებელი პირობები უსაფრთხოების, ღირსებისა და დაცვის თვალსაზრისით, რაიმე სახის დისკრიმინაციის გარეშე;

- ბ. იძულებით გადაადგილებულ პირებს უზრუნველყოფენ სათანადო ჰუმანიტარული დახმარებით, მასიმალურად შესაძლო ფარგლებში და მინიმალური დაყოვნებით, რომელიც უნდა მოიცავდეს საკვებს, წყალს, თავშესაფარს, სამედიცინო მომსახურებას და ჯანმრთელობის სხვა მომსახურებებს, სანიტარულ პირობებს, განათლებას და სხვა აუცილებელ სოციალურ მომსახურებებს, და, სათანადო შემთხვევაში, ასეთი დახმარება უნდა გავრცელდეს ადგილობრივ და მიმდებარე ტერიტორიებზე;
- გ. უზრუნველყოფენ იმ იძულებით გადაადგილებულ პირთა სპეციალურ დაცვას და დახმარებას, რომლებსაც აქვთ სპეციალური მოთხოვნები, მათ შორის, მარტო მყოფ და უპატრონო ბავშვებს, შინამეურნეობათა ხელმძღვანელ ქალებს, ორსულ დედებს, ჩვილბავშვიან დედებს, მოხუცებს და უნარშეზღუდულ პირებს ან გადაამდები დაავადებების მქონე პირებს;
- დ. უზრუნველყოფენ სპეციალურ ღონისძიებებს იძულებით გადაადგილებული ქალების რეპროდუქტიული და სქესობრივი ჯანმრთელობის დაცვისთვის, ასევე სქესობრივი და სხვა მსგავსი ძალადობის მსხვერპლთა სათანადო ფსიქოსოციალური დახმარებისთვის;
- ე. უზრუნველყოფენ სახელმწიფოს სხვა ნაწილში უსაფრთხოების ძიების უფლებას და იძულებითი დაბრუნებისაგან ან ნებისმიერ ადგილზე ხელახალი დასახლებისაგან დაცვის უფლებას, სადაც საფრთხე ემუქრება მათ სიცოცხლეს, უსაფრთხოებას, თავისუფლებას და/ან ჯანმრთელობას;
- ვ. უზრუნველყოფენ იძულებით გადაადგილებულ პირთა გადაადგილების და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებას, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ასეთ გადაადგილებაზე და საცხოვრებელი ადგილის არჩევაზე აუცილებელია შეზღუდვის დაწესება, რომელსაც მოითხოვს იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხოება ან საზოგადოებრივი უსაფრთხოება, საზოგადოებრივი წესრიგი ან საზოგადოების ჯანმრთელობა;
- ზ. პატივისცემით ეპყრობიან იძულებით გადაადგილებულ პირთა თავშესაფარი ადგილების სამოქალაქო და ჰუმანიტარულ ბუნებას და იცავენ ასეთ ადგილებს შეიარაღებული ჯგუფების ან ელემენტების შეღწევისაგან, და განაიარაღებენ და იძულებით გადაადგილებულ პირთაგან განაცალკევებენ ასეთ ჯგუფებსა და ელემენტებს;
- თ. დგამენ აუცილებელ ნაბიჯებს, სპეციალური მექანიზმების შექმნის ჩათვლით, გადაადგილების დროს განცალკევებული ოჯახების მოსაძიებლად და გასაერთიანებლად, ან სხვაგვარად უწყობენ ხელს ოჯახური კავშირების აღდგენას;
- ი. დგამენ აუცილებელ ნაბიჯებს, რათა დაიცვან იძულებით გადაადგილებულ პირთა ინდივიდუალური, კოლექტიური და კულტურული საკუთრება, რომლის დატოვებაც მათ მოუხდათ, ასევე მათი განსახლების ადგილებზე არსებული ქონება, მიუხედავად იმისა, ეს ტერიტორიები მათი იურისდიქციის ქვეშაა, თუ ამ ტერიტორიებზე ეფექტიან კონტროლს ახორციელებენ;

- კ. დგამენ აუცილებელ ნაბიჯებს, რათა ეკოლოგიური დეგრადაციისაგან დაიცვან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ადგილები, მიუხედავად იმისა, ეს ტერიტორიები მათი იურისდიქციის ქვეშაა თუ ამ ტერიტორიებზე ეფექტიან კონტროლს ახორციელებენ;
  - ლ. მონაწილე სახელმწიფოებმა კონსულტაციები უნდა გამართონ იძულებით გადაადგილებულ პირებთან და მათ უნდა მისცენ საშუალება მონაწილეობა მიიღონ მათი დაცვისა და დახმარების საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში;
  - მ. დგამენ აუცილებელ ნაბიჯებს, რათა უზრუნველყონ, რომ იძულებით გადაადგილებულმა პირებმა, რომლებიც თავიანთი ქვეყნის მოქალაქეები არიან, ისარგებლონ მათი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით, განსაკუთრებით საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის, ხმის მიცემის და სახელმწიფო თანამდებობაზე არჩევის უფლებით; და
  - ნ. ქმნიან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის გაწეული ჰუმანიტარული დახმარების ეფექტიანობისა და ზეგავლენის მონიტორინგისა და შეფასების ღონისძიებებს არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სფეროს სტანდარტების ჩათვლით.
3. მონაწილე სახელმწიფოები ამ ვალდებულებებს ასრულებენ, სათანადო შემთხვევებში, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ჰუმანიტარული დაწესებულებების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სხვა სათანადო აქტორების დახმარებით.

**მუხლი 10 - პროექტებით გამოწვეული გადაადგილება**

- 1. მონაწილე სახელმწიფოები, შესაძლებლობის მაქსიმალურ ფარგლებში, უზრუნველყოფენ ისეთი გადაადგილების თავიდან აცილებას, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფო ან კერძო აქტორების მიერ განხორციელებული პროექტებით;
- 2. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ იმას, რომ შესაბამისმა ჩართულმა მხარეებმა გამოიკვლიონ რეალური ალტერნატივები, იმ პირთა სრული ინფორმირებითა და კონსულტაციებით, ვისაც შესაძლოა მოუხდეს იძულებითი გადაადგილება პროექტის გამო;
- 3. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ შეთავაზებული პროექტის სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასება ასეთი პროექტების განხორციელების დაწყებამდე.

**მუხლი 11 - მდგრადი დაბრუნების, ადგილობრივი ინტეგრაციის ან ადგილმონაცვლეობის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები**

- 1. მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ იძულებითი გადაადგილების პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტის მიგნებას და ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ნებაყოფლობითი დაბრუნებისთვის, ადგილობრივი ინტეგრაციისთვის ან სხვაგვან განსახლებისთვის, მდგრად საფუძველზე და უსაფრთხო და ღირსეულ გარემოში.
- 2. მონაწილე სახელმწიფოები იძულებით გადაადგილებულ პირებს საშუალებას აძლევენ გააკეთონ თავისუფალი და ინფორმირებული არჩევანი დაბრუნებასთან, ადგილობრივ ინტეგრირებასთან თუ სხვა ადგილზე



განსახლებასთან დაკავშირებით, რისთვისაც საჭიროა მათთან ამ საკითხზე და სხვა არჩევანზე კონსულტაციების ჩატარება, და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მათი მონაწილეობა მდგრადი გადაწყვეტების მიზნით.

3. მონაწილე სახელმწიფოები, სათანადო შემთხვევაში, თანამშრომლობენ აფრიკის კავშირთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ან ჰუმანიტარულ დაწესებულებებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რათა უზრუნველყონ დაცვა და დახმარების გაწევა მდგრადი დაბრუნების გადაწყვეტის მოძიებისა და განხორციელების, ადგილობრივი ინტეგრირების ან სხვა ადგილზე განსახლებისა და გრძელვადიანი რეკონსტრუქციის პროცესში.
4. მონაწილე სახელმწიფოები, საჭიროების შემთხვევაში, ქმნიან სათანადო მექანიზმებს გამარტივებული პროცედურებისთვის, იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრებასთან დაკავშირებული დავების გადასაწყვეტად.
5. მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო ღონისძიებას ახორციელებენ, სადაც შესაძლებელია, რათა აღადგინონ იმ თემების მიწები, რომლებსაც განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ და მიმაგრებულნი არიან ამ მიწებზე, ამ თემების დაბრუნების, რეინტეგრაციის და აღდგენის მომენტისთვის.

#### **მუხლი 12 - კომპენსაცია**

1. მონაწილე სახელმწიფოები გადაადგილებით დაზარალებულ პირებს უზრუნველყოფენ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებებით.
2. მონაწილე სახელმწიფოები, საჭიროების შემთხვევაში, ქმნიან ეფექტურ სამართლებრივ ჩარჩოს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გადაადგილებით მიყენებული ზიანის კანონიერი და სამართლიანი კომპენსაციის და ანაზღაურების სხვა ფორმების უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
3. მონაწილე სახელმწიფოს ეკისრება სამართლებრივი პასუხისმგებლობა იძულებით გადაადგილებულ პირთა ზიანის რეპარაციისთვის, როდესაც ეს სახელმწიფო თავს არიდებს ბუნებრივი კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვასა და დახმარებას.

#### **მუხლი 13 - რეგისტრაცია და პირადი დოკუმენტები**

1. მონაწილე სახელმწიფოები ქმნიან და წარმართავენ მათი იურისდიქციის ან ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი ყველა იძულებით გადაადგილებული პირის განახლებულ რეესტრს. ამ ამოცანის განხორციელებისას სახელმწიფოები თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ჰუმანიტარულ დაწესებულებებთან ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან.
2. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებზე მათ მიერ თავიანთი უფლებების განხორციელების მიზნით გაიცეს სათანადო დოკუმენტები, როგორცაა პასპორტი, პირადობის დამადასტურებელი ბარათი, სამოქალაქო მოქმობები, დაბადების მოქმობები და ქორწინების მოქმობები.
3. მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ ახალი დოკუმენტების ან

გადაადგილების დროს დაკარგული ან განადგურებული დოკუმენტების შემცვლელი დოკუმენტების გაცემას, ისეთი არაგონივრული მოთხოვნის დაწესების გარეშე, როგორცაა აღნიშნული ან სხვა მოთხოვნილი დოკუმენტების მოსაპოვებლად მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება. იძულებით გადაადგილი პირისთვის ასეთი დოკუმენტის გაუცემლობის შემთხვევაში არ უნდა შეიზღუდოს მის მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობა ან მათი განხორციელება.

4. ქალსა და მამაკაცს, ასევე განცალკევებულ და უპატრონო ბავშვებს აქვთ თანაბარი უფლება მიიღონ პირადობის დამადასტურებელი საჭირო დოკუმენტები და უფლება ეს დოკუმენტები გაიცეს პირადად მათ სახელზე.

#### **მუხლი 14 - შესრულების მონიტორინგი**

1. მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან შექმნან მონაწილე სახელმწიფო-თა კონფერენცია ამ კონვენციის ამოცანების შესრულების მონიტორინგისა და განხილვის მიზნით.
2. მონაწილე სახელმწიფოები განამტკიცებენ მათი თანამშრომლობის შესაძლებლობებს და ურთიერთმხარდაჭერას მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის ეგიდით.
3. მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევა მოხდება რეგულარულად და მას დახმარებას გაუწევს აფრიკის კავშირი.
4. მონაწილე სახელმწიფოები, ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის 62 - ე მუხლით გათვალისწინებული მოხსენებების წარდგენისას, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, აფრიკის კოლეგიალური განხილვის მექანიზმის მეშვეობით, მიუთითებენ საკანონმდებლო და სხვა ზომებზე, რომლებიც მათ მიიღეს კონვენციის განხორციელებისთვის.

#### **დასკვნითი დებულებები**

#### **მუხლი 15 - გამოყენება**

1. მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ გარდა კონვენციაში მკაფიოდ მითითებული შემთხვევებისა, მისი დებულებები ვრცელდება იძულებითი გადაადგილების ყველა სიტუაციაზე, მისი გამომწვევი მიზეზების მიუხედავად.
2. მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ ამ კონვენციაში არაფერი შეიძლება განიმარტოს, როგორც სამართლებრივი სტატუსის ან ლეგიტიმაციის ან აღიარების მინიჭებად შეიარაღებული ჯგუფებისთვის და რომ მისი დებულებები მის წევრებს არ ათავისუფლებს ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან შიდასახელმწიფო ან საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძველზე.

#### **მუხლი 16 - ხელმოწერა, რატიფიცირება და წევრობა**

1. ეს კონვენცია აფრიკის კავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის ღიაა ხელმოსაწერად, რატიფიცირებისთვის ან შეერთებისთვის მათი საკონსტიტუციო პროცედურების შესაბამისად.
2. რატიფიცირების ან შეერთების დოკუმენტების დეკონირება ხდება

აფრიკის კავშირის კომისიის თავმჯდომარესთან.

### **მუხლი 17 - ძალაში შესვლა**

1. ეს კონვენცია ძალაში შედის მეთხუთმეტე (15) რატიფიცირების ან შეერთების დოკუმენტის დეპონირებიდან ოცდაათი (30) დღის შემდეგ.
2. აფრიკის კავშირის კომისიის თავმჯდომარე ატყობინებს წევრ სახელმწიფოებს კონვენციის ძალაში შესვლის შესახებ.

### **მუხლი 18 - შესწორებები და გადასინჯვა**

1. მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ ამ კონვენციის შესწორების ან გადასინჯვის შეთავაზება.
2. წინადადებები შესწორების ან გადასინჯვის შესახებ წარედგინება წერილობით აფრიკის კავშირის კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც ამავე წინადადებებს მათი მიღებიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში გადასცემს მონაწილე სახელმწიფოებს.
3. მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენცია, აღმასრულებელი საბჭოს რჩევით, განიხილავს ამ წინადადებებს მონაწილე სახელმწიფოთა შეტყობინების მიღებიდან ერთი (1) წლის განმავლობაში, ამ მუხლის მე - 2 პარაგრაფის შესაბამისად.
4. შესწორებები ან გადასინჯვა მიიღება მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მიერ, დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უბრალო უმრავლესობით.
5. შესწორებები ძალაში შედის აფრიკის კავშირის კომისიის თავმჯდომარესთან მეთხუთმეტე (15) სარატიფიკაციო დოკუმენტის დეპონირებიდან ოცდაათი (30) დღის შემდეგ.

### **მუხლი 19 - დენონსირება**

1. მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსირება აფრიკის კავშირის კომიტეტის თავმჯდომარისთვის შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით, დენონსირების მიზეზების მითითებით.
2. დენონსირება ძალაში შედის აფრიკის კავშირის კომისიის თავმჯდომარის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი (1) წლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსაზღვრულია უფრო გვიანი თარიღი.

### **მუხლი 20 - დათქმის დებულება**

1. ამ კონვენციის დებულებები არ უნდა იქნეს განმარტებული ისე, რომ ზემოქმედება იქონიოს ან ზიანი მიაყენოს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებას მოითხოვონ და მიიღონ თავშესაფარი ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის ფარგლებში, და ეძებოს დაცვა როგორც ლტოლვილებმა, აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემების სპეციფიკური ასპექტების მართვის შესახებ აევ-ის 1969 წლის კონვენციის ან ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაეროს 1951 წლის კონვენციის, ასევე ლტოლვლთა სტატუსის შესახებ 1967 წლის ოქმის საფუძველზე.
2. ეს კონვენცია გამოყენებული უნდა იყოს ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებებს, რომლებსაც

ითვალისწინებს ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა დოკუმენტები. ანალოგიურად, იგი არ უნდა განიმარტოს ისე, რომ მან შეზღუდოს, შეცვალოს ან ხელყოს დაცვა, რომელსაც უზრუნველყოფს აქ მითითებული ნებისმიერი დოკუმენტი.

3. ეს კონვენცია არანაირ ზეგავლენას არ ახდენს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებაზე საჩივარი შეიტანონ ადამიანის და ხალხთა უფლებათა აფრიკულ კომისიაში ან მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა აფრიკულ სასამართლოში, ან სხვა ნებისმიერ უფლებამოსილ საერთაშორისო ორგანოში.
4. ამ კონვენციის დებულებები არ უნდა იქნეს განმარტებული ისე, რომ ხელი შეუშალოს იძულებით გადაადგილებულ პირთა ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ეროვნული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ფარგლებში და მათ მოვალეობებს ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის საფუძველზე.

### **მუხლი 21 - დათქმები**

მონაწილე სახელმწიფოები ვერ გააკეთებენ დათქმას ამ კონვენციაზე, რომელიც არ შეესაბამება ამ კონვენციის საგანს და მიზანს.

### **მუხლი 22 - დავების მოგვარება**

1. მონაწილე სახელმწიფოებს შორის ამ კონვენციის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან აზრთა სხვაობა გვარდება მეგობრული გზით, მოცემულ მონაწილე სახელმწიფოებს შორის პირდაპირი კონსულტაციების მეშვეობით. როდესაც დავის ან აზრთა სხვაობის გადაწყვეტა ასეთი გზით ვერ ხერხდება, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ მართლმსაჯულების და ადამიანის უფლებათა აფრიკულ სასამართლოს.
2. გადაწყვეტილების მიღებამდე დავა ან აზრთა სხვაობა წარედგინება მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციას, რომელიც გადაწყვეტს კონსესუსით ან, კონსესუსის მიუღწევლობის შემთხვევაში, წარმოდგენილი და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა ორი-მესამედის (2/3) ხმით.

### **მუხლი 23 - დეპოზიტორი**

1. ამ კონვენციის დეპონირება ხდება აფრიკის კავშირის კომისიის თავმჯდომარესთან, რომელიც კონვენციის დამოწმებულ ავთენტურ პირებს უგზავნის თითოეული ხელმოწერილი სახელმწიფოს მთავრობას.
2. აფრიკის კავშირის კომისიის თავმჯდომარე ამ კონვენციის რეგისტრირებას ახდენს გაეროს გენერალურ მდივანთან კონვენციის ძალაში შესვლისთანავე.
3. ეს კონვენცია შესრულებულია ოთხ (4) ავთენტური ტექსტად არაბულ, ინგლისურ, ფრანგულ და პორტუგალიურ ენებზე, ოთხივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია.

**მიღებულია კავშირის საპიციალურ სამიტზე, კამაალაში, უგანდა, 2009 წლის 22 ოქტომბერს**



საავტორო უფლება © INTER-PARLIAMENTARY UNION (IPU), 2013

ყველა უფლება დაცულია. არ შეიძლება ამ გამოცემის რაიმე ნაწილის რეპროდუცირება, მისაწვდომ ფორმატში შენახვა, ან რაიმე ფორმით გადაცემა - ელექტრონულად, მექანიკურად, ფოტოკოპირებით, ჩანაწერით ან რაიმე სხვა სახით საპარლამენტთაშორისო კავშირის წინასწარი თანხმობის გარეშე. სახელმძღვანელოს გამოყენების, რეპროდუცირების და მსოფლიო მასშტაბით გავრცელების ექსკლუზიური უფლება აქვს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისს. ამ პუბლიკაციის გავრცელება ხდება იმ პირობით, რომ არ მოხდება მისი გასხვივება ან სხვაგვარად გავრცელება, მათ შორის, კომერციული საშუალებებით, გამომცემელთა წინასწარი თანხმობის გარეშე, და მხოლოდ ორიგინალის ფორმით და იმ პირობით, რომ შემდგომი გამომცემელი იმავე მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ამ წიგნის რეპროდუცირების ან თარგმნის უფლების მოსაპოვებლად განცხადება უნდა წარედგინოს საპარლამენტთაშორისო კავშირს. კავშირის წევრ პარლამენტებსა და მათ საპარლამენტო ინსტიტუტებს ამ ნაშრომის გამოცემა ან თარგმნა შეუძლიათ ნებართვის გარეშე, მაგრამ ევალებათ ინფორმაცია მიაწოდონ საპარლამენტთაშორისო კავშირს.

ISBN 978-92-9142-582-2 (IPU)

**Inter-Parliamentary Union (საპარლამენტთაშორისო კავშირი)**

Chemin du Pommier 5  
CH – 1218 Le Grand-Saconnex/Geneva  
ტელ.: +4122 919 41 50  
ფაქსი: +4122 919 41 60  
ელ.ფოსტა: [postbox@mail.ipu.org](mailto:postbox@mail.ipu.org)  
ვებგვერდი: [www.ipu.org](http://www.ipu.org)

**Office of the Permanent Observer of the Inter-Parliamentary Union to the United Nations (გაეროში საპარლამენტთაშორისო კავშირის მუდმივი დამკვირვებლის ოფისი)**

336 East 45th Street, Tenth Floor  
New York, N.Y. 10017  
USA  
ტელ.: +1 212 557 58 80  
ფაქსი: +1 212 557 39 54  
ელ.ფოსტა: [ny-office@mail.ipu.org](mailto:ny-office@mail.ipu.org)

**United Nations High Commissioner for Refugees (გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი)**

PO Box 2500  
CH-1211 Geneva 2 Dépôt  
Switzerland  
ტელ.: +4122 739 8111 (ავტომატური კომუტატორი)  
ფაქსი: +4122 739 7377  
ვებგვერდი: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/home>

ორიგინალური ვერსია: ინგლისური

გარეკანის დიზაინი და გაფორმება: მიშელ ფავრესი